ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 იანვარი **ორშაბათი** 2011
№ 001 (13298) ფასი 60 თეთრი

# მაგათს ყენია ახარებს

## ლევანს მეორე წრეში მნიშვნელოვან როლს უმზადებენ




7

## 3:3 ჩელSI თუ NO კარლიტოსისთვის

ანჩელოტის ანგელოზები დაუფრთხეს




8





## პრეზიდენტმა იმედი დააიმედა: ბათუმში გუნდიც იქნება და სტადიონიც!

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან



# ახლა ემპოლი მიჯობს, აქ უკეთესი გუნდისთვის მოვემზადები

**ხანგრძლივი უთამაშებლობის შემდეგ სერია B-ს „ემპოლის“ თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე მწყობრშია და უახლოესი მატჩებისთვის ემზადება. სხვა ლეგიონერების მსგავსად ამ საახალწლოდ ისიც სამშობლოშია.**

- ჩემპიონატი ნორმალურად დავიწყეთ, მაგრამ ბოლო 5 თამაში წავაგეთ. მიზეზი ტრავმებიც იყო და უიღბლობაც. ახლა 25 ქულით მე-11 ადგილზე ვართ, ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ 22 მატჩია და უფრო შედეგიანად უნდა ვიასპარეზოთ.

**- საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- კმაყოფილიც ვარ და უკმაყოფილოც. ხანგრძლივი უთამაშებლობის შემდეგ გუნდში ვარ, სათამაშო პრაქტიკა მაქვს და სერიოზული ტრავმა არ მქონია. უკმაყოფილო ვარ იმით, რომ 11 მატჩში ბურთი ვერ გავიტანე. არადა, საგოლე მომენტების სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივი. ზუსტად არ მახსოვს, ათამდე გოლი გავატანინე ფოტისა და კორალის. მეკარეებმა ისეთი ბურთები ამილეს, ყველას გაუკვირდა. დანავსულივით ვარ. ვიცი, ერთი რომ გავიტანო, ნავსს გავტეხ და მერე ბევრსაც შევაგდებ. ერთი შეხედვით ცუდად არ გამოვიყურები, მაგრამ ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ.

**- ტრავმის გამო თითქმის თვე გაგიცდათ...**

- ეგრე იყო და გამოვჯანმრთელდი თუ არა, პირველივე მატჩში მეტოქემ იდაყვი ნეკნში მომარტყა. გამაყუჩებელი ნემსი გამიკეთეს, მაგრამ მაინც მაწუხებდა და ექიმებმა დასვენება მირჩიეს. უკვე მწყობრში ვარ და უახლოესი მატჩისთვის ვემზადები.

**- „ემპოლი“ რა მიზნისთვის იბრძვის?**

- სეზონის წინ სერია A-ში გადასვლა დავისახეთ მიზნად. სერია B-ში აქამდე არ მითამაშია, სპეციფიკური პირველობაა და, როგორც ამბობენ, მთავარი ბრძოლები სეზონის მეორე ნახევარშია, ასე რომ, იმედი არ დაგვიკარგავს. 8 და 14 იანვარს ორი შინაური თამაში გვაქვს და ორივე რომ მოვიგოთ, მდგომარეობას გავიუმჯობესებთ.

**- სერია A-სა და სერია B-ს შორის სხვაობას რაში ხედავთ?**

- მთავარ ლიგასთან შედარებით სერია B-ში უფრო დაბალი კლასია და ტაქტიკა-სტრატეგიაზე ნაკლებად არიან ორიენტირებული. ამ ლიგაში უფრო ფიზიკური კონდიციებია მთავარი. იმდენად სპეციფიკური პირველობაა, „სიენასაც“ კი უჭირს თამაში, რომელიც სერია A-დან დაქვეითდა. ამ ლიგაში ყველაფერი გამძლეობაზეა აგებული. გუნდები უმეტესად ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, კლუბები მათ ზრდიან და მერე სერია A-ს ან სხვა ქვეყნის მთავარი ლიგის გუნდებში ასხვისებენ.

**- უახლოეს მომავალში თქვენს კარიერაშიც ხომ არ იქნება სიახლე?**

- ჩემმა აგენტმა დევიდე ტორკიამ მითხრა, რომ ინტერესი არის რამდენიმე კლუბიდან, მაგრამ „ემპოლიდან“ წასვლა ჯერ არ გადამიწყვეტია. 14 წლის ვიყავი, როცა „ოლიმპიკიდან“ ამ გუნდში გადავედი. კლუბის პრეზიდენტ კორსისთან და სპორტულ დირექტორ პინო ვიტალესთან საკმაო ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. ვატყობ, სერია A-ში გადასვლის ძალიან დიდი სურვილი აქვთ და უნდათ ამაში დავეხმარო. ამიტომაც წასვლას არ ვჩქარობ. თანაც, როცა 100 პროცენტით მზად არ ხარ, სჯობს დარჩე. მით უმეტეს, რომ სათამაშო პრაქტიკა მაქვს. ასე რომ, გუნდის შეცვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. უკეთეს გუნდში სათამაშოდ „ემპოლიში“ მოვემზადები. ამ სეზონს ჩავამთავრებ და მერე ვნახოთ.

**- „ემპოლიში“ კიდევ ერთი ქართველია, თავდამსხმელი ირაკლი შეყილაძე...**

- ყველა აღნიშნავს, რომ ირაკლიმ საგრძნობლად მოუმატა. სეზონის დაწყებამდე ჭაბუკთა გუნდიდან პრიმავერაში, ანუ დუბლშემადგენლობაში გადაიყვანეს. თუ ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას „ემპოლიმ“ რომელიმე შემტევი ფეხბურთელი გაასხვისა, შეყილაძეს მთავარი გუნდის შანსი ექნება. თუ არა, მთავარ გუნდში ზაფხულში გადაიყვანენ.

**- შემოდგომაზე ოთარ გაბელიამ ახალგაზრდულში გამოგიძახათ, მაგრამ ნაკრების შტაბს აცნობეთ, რომ მზად არ იყავით სანაკრებო დონეზე სათამაშოდ. მაინც რა მოხდა?**

- ვიცი, ჩემი ამბავი ზოგმა არასწორად გაიგო. არადა, ჩემი პოზიცია პროფესიული იყო და ვინც მდგომარეობა იცოდა, ყველა დამეთანხმება, რომ სწორად მოვიქეცი. თავად განსაჯეთ, 8 თვის უთამაშებელი ვიყავი, სპეციალური თვენახევრიანი პროგრამა მქონდა მოსამზადებლად, 20 დღეც არ იყო გასული, როცა ახალგაზრდულ ნაკრებში გამომიძახეს. ალალად გეუბნებით, სანაკრებო დონეზე სათამაშოდ კი არა, სერია B-ს დონეზეც არ ვიყავი მზად. ერთ მატჩში 20 წუთით შემიშვეს მოედანზე, თამაშის შეგრძნება არ მქონდა. ნაკრებში, თუნდაც ახალგაზრდულში თამაში ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტია, მაგრამ, ვიმეორებ, მზად არ ვიყავი. როცა ფეხბურთელი სანაკრებო დონეზე სათამაშოდ მზად არ არის, სჯობს, ეს თქვას და არ დამალოს.

**- ზოგმა მაშინ თქვა, მჭედლიძე ეროვნულ ნაკრებში რომ გამოეძახათ, ჩამოვიდოდაო...**

- რას ამბობთ, ეროვნული ნაკრები კიდევ უფრო მაღალი დონე და მეტი პასუხისმგებლობაა. არც ახლა ვარ ოპტიმალურ ფორმაში, მაგრამ ასეთ კონდიციაში რომ ვყოფილიყავი, ახალგაზრდულში სათამაშოდ ჩამოვიდოდი. მოედანზე მყოფი ფეხბურთელი თამაშს უნდა გრძნობდეს, რაც მაშინ არ მქონდა. საქმეს პროფესიულად მივუდექი და ეს არც დამიმალავს. 20 წლის ვარ და ახალგაზრდულ ნაკრებში კვლავაც მიწევს თამაში. ეროვნულშიც მითამაშია, ახალგაზრდულშიც და ასაკობრივ ნაკრებებშიც. ყველა ნაკრებში დიდი სიამოვნებით ვითამაშებ.

**- ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების მატჩებს თუ ადევნებდით თვალს?**

- შეძლებისდაგვარად ვახერხებდი. ახალგაზრდულ ნაკრებს ბოლომდე ვქომაგობდი, ძალიან მინდოდა, ჯგუფიდან გავსულიყავით, ბოლო თამაშამდე მქონდა იმედი, მაგრამ... რაც შეეხება ეროვნულს, ჩემი თანაგუნდელები და ყველა, ვისაც კი იტალიაში ვიცნობ, აღნიშნავენ, რომ ჩვენმა ნაკრებმა დიდი პროგრესი განიცადა. თემურ ქეცბაიას ხელი უკვე აშკარად ეტყობა ეროვნულს. უპირველესად სათამაშო დისციპლინა გამოსწორდა. ეს აშკარად აკლდა ჩვენს ნაკრებს. ფეხბურთელებს ეტყობათ, რომ იციან, რა უნდა აკეთონ, მწვრთნელის დავალების შესრულებას ცდილობენ. ნაკრები უფრო შეთამაშდება, გუნდს დაუბრუნდებიან ლევან ყენია, ჯაბა კანკავა და ის ფეხბურთელები, რომლებსაც ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გაუცდათ. ამდენი დამარცხების შემდეგ გუნდს რვამატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და აშკარაა, რომ ბევრი რამ გამოსწორდა.

**- სლოვენიასთან 17 ნოემბრის ამხანაგურ მატჩში ქეცბაიამ ნაკრებში ახალი ფეხბურთელები გამოსცადა. ამ თამაშის შემდეგ, ფეხბურთის სპეციალისტებმა აღნიშნეს, ქეცბაიამ ნაკრებში ლევან მჭედლიძეც უნდა გამოიძახოსო. 9 თებერვალს ეროვნულს სომხეთთან ამხანაგური მატჩი აქვს. ამ თამაშისთვის ნაკრებში რომ გამოგიძახონ, მზად ხართ?**

- რომელ ნაკრებშიც გამომიძახებენ, მზად ვარ, ვითამაშო. ეროვნულში ადრეც ვყოფილვარ და ამ დონეზე თამაში ჩემთვის უცხო არ არის. იმედია, ტრავმა ხელს არ შემიშლის, თებერვლამდე კარგ ფორმაშიც ვიქნები და თუ ნაკრებში გამომიძახებენ, ამჯერადაც ყველაფერს გავაკეთებ გუნდის წარმატებისთვის.

**დავით ცაგაძე**

გასაკეთებელი მართლა იმდენია...



ის, რაც არის და
რაც უნდა იყოს

# სააკაშვილი ბედობა დღეს ბათუმს სტადიონს დაჰპირდა

ეპოქალური მშენებლობების მიუხედავად, აჭარაში ფეხბურთს და მის ეკონომიკურ-სოციალურ მნიშვნელობას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამის მაგალითი ბათუმში სტადიონის მშენებლობის შეფერხება იყო.

ახალ სტადიონს აჭარელი გულშემატკივარი მას შემდეგ ითხოვს, რაც ბულვარის განახლებას საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი შეეწირა.

დანგრეული არენის ნაცვლად ბათუმში სამი წელია, ახლის აშენებას ელიან. 2010 წელს კონკრეტული პროექტებიც დასახელდა, 16 მაისს ჰოლანდიური და ქართული მხარეები მშენებლობაზე შეთანხმდნენ, ხელმოწერას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **ლევან ვარშალომიძე** და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** დაესწრნენ.

ჰოლანდიელები იძლეოდნენ პირობას, რომ მშენებლობა 2011 წელს დასრულდებოდა, პროექტის ღირებულება კი 40 მილიონ ევროს შეადგენდა. მერე ვითარება შეიცვალა და 18 აგვისტოს თურქულ-იაპონური ფირმა TAGO-ს არქიტექტორ **ტაცუია იამამოტოს** პროექტი წარადგინეს, რომელიც წინა პროექტზე ნაკლებხარჯიანი იყო. და კვლავ დუმილი, გასულ წელს სტადიონის მშენებლობის დაწყებას საშველი არა და არ დაადგა.

2 იანვარს ბათუმში მყოფმა **მიხეილ სააკაშვილმა** მორიგი იმედი გაალვიძა. საახალწლოდ ბათუმში, სახალხო სეირნობისას პრეზიდენტმა 2011 წლის პროექტებზე, ზღვისპირა ქალაქის კიდევ უფრო გალამაზებასა და გათანამედროვეობაზე ილაპარაკა.

პრეზიდენტი საფეხბურთო თემასაც შეეხო - ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის “სპარტაკის” პლეიმეიკერ **ჯანო ანანიძეს** გაესაუბრა და დაჰპირდა, რომ ბათუმში თანამედროვე, ოლიმპიური სტანდარტების შესაბამისი სტადიონი აშენდება.

გუშინ 2 იანვარი იყო და, იმედია, სტადიონებისა და მთლიანად ქვეყნის შენება დაგვებედება.

**მერაბ მამულაშვილი**

აღიარება

# ასი, ასი, ასმაგარი...

## ანანიძე მსოფლიოს იმედის ბიჭებშია



ჯანო ანანიძე

პოპულარულმა ვებგვერდმა Goal.com-მა 21 წლამდე ასაკის ასი გამორჩეული ფეხბურთელი დაასახელა. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ შემტევი ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** მსოფლიოს ამ ასეულშიც მოხვდა, სადაც გვარები ანბანის მიხედვით არის დალაგებული.

„ტექნიკური, ნიჭიერი, სწრაფად მოაზროვნე ეს ნახევარმცველი მოედანზე მსუბუქად გამოიყურება. გასულ სეზონში მთავარ გუნდში გადაიყვანეს და იქ დამკვიდრების კარგი პერსპექტივა აქვს. რუსული პრემიერლიგის ახალ სეზონში მასზე დიდ იმედს ამყარებენ. ის გრანდების, „მილანისა“ და „არსენალის“ სამიზნეა“, - წერს Goal.com-ი ჯანო ანანიძეზე.

**დავით ცაგაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდზე და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მეკარეები გამტანი ხალხია

# ქართველი იგიტები





თავიდან შოთაც მეკარე იყო...

შეტევაში ჩართული მეკარე ყოველთვის სახალისო საცქერია და ფეხბურთის იმ ხიბლს გვახსენებს, ჯერაც ველური ფეხბურთის პერიოდში ხშირი მოვლენა რომ იყო. დღეს ასეთი რამ იშვიათი სანახავია, მაგრამ შემორჩენილთა შემხედვარე ვხვდებით, რომ ფეხბურთს სილამაზეს ეს არაორდინარული პიროვნებებიც უნარჩუნებენ.

ყველას კარგად გვახსოვს ბოლო წუთზე შეტევაში ჩართული "მანჩესტერისა" და დანიის ნაკრების ლეგენდარული მეკარე **პეტერ შმაიხელი**, "სევილიას" გოროზი კიპერი **ანდრეს პალოპი**, არანორმალური კოლუმბიელი **რენე იგიტა** და მისი "მორიელის დარტყმა", პარაგვაელთა კაპიტანი **ხოსე ლუის ჩილავერტი**, მექსიკელი **ხოსე კამპოსი**. ეს უკანასკნელი ერთხელ კლუბის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. ბულგარეთისა და "ბურსასპორის" მეკარე **დიმიტარ ივანკოვი** მოქმედი მეკარეა და კარიერაში 40 გოლი გაუტანია, გერმანიის ნაკრების მეკარე **ჰანს-იორგ ბუტს** კი - 28.

>> მე-6 გვერდზე

● ფორუმული სალაღობოები

# რატომ არ ჰყავდა დუმბაძეს ძირითადი შემადგენლობა

**საახალწლო განწყობაზე ურიგო არ იქნებოდა იმ კურიოზების გაცნობა, რომლებსაც ქართულ ფორუმებზე უხვად წააწყდებით.**

- 1981 წლის შემოდგომაა. ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული თბილისის "დინამო" მადრიდში პრესტიჟულ ოთხთა ტურნირზე მიიწვიეს, რომელშიც ქართველების გარდა "რეალი", მიუნხენის "ბაიერნი" და ლისაბონის "ბენფიკა" მონაწილეობდნენ.

სასტუმროში, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, დიდი აუზი იყო, მის ახლოს კი აბრაზე ინგლისურად ეწერა „ნო პარკინგ", ანუ მანქანების გაჩერება აკრძალულია.

დინამოელთა უმრავლესობა ინგლისურთან მწყრალად იყო, მაგრამ ერთმა თავი გამოიდო - „ნო პარკინგ" ნიშნავს, რომ აუზში შავკანიანების ჩასვლა აკრძალულიაო.

არადა, წყალში ჩასულებმა დაინახეს, რომ რამდენიმე ასეთი აუზს უახლოვდება.

დინამოელებმა რეაქცია არ დააყოვნეს - აბრაზე უთითებენ და მთელი ხმით „ნო პარკინგს" გაჰყვირიან. მოსულებმა ვერაფერი გაიგეს, მხრები აიჩეჩეს და წყალში ჩავიდნენ.

დინამოელებმა პროტესტის ნიშნად აუზი გინებით დატოვეს.

☺☺☺

ეს ამბავი წინა ჩემპიონატის "ზესტაფონი"-"ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდული გუნდების შეხვედრის შემდეგ მოხდა:

სტადიონთან ქალბატონი ძაღლს ასეირნებდა და ადამიანის ოთხფეხა მეგობარმა სტადიონიდან გამოსულ მსაჯი რომ დაინახა, პირდაპირ მისკენ გაექანა.

მსაჯს გაეცინა და წითელი ბარათი აჩვენა. ბარათმა ძაღლი უფრო გადარია და კინაღამ დაკბინა.

სამშვიდობოს გასულმა არბიტრმა სიმწრით ჩაილაპარაკა – ყველა ცხოველი და ადამიანი როგორ გვერჩის, მე ამის...!



რატომ ადარებენ ქართველ მსაჯებს რეი ჩარლზს?

☺☺☺

მოსკოვის "დინამოში" ქართველმა შუამავალმა მცველი ჩაიყვანა გასასინჯად. მოსკოველებს მაშინ უკრაინელი მწვრთნელი **ევგენი პროკოპენკო** ავარჯიშებდა. ქართველის საქმეში სანახავად მან ორმხრივი თამაში მოაწყო.

ფეხბურთელის ჩამყვანი დამდგარა აუტის ხაზთან, მთელი თამაში მცველს დასდევდა და კარნახობდა, რა და როგორ გაეკეთებინა.

თამაშის მერე პროკოპენკოს უკითხავს, ეს ფეხბურთელი შუამავალთან ერთად უნდა ვიყიდოთო?

☺☺☺

თბილისის „დინამოს" თამაშია, მსაჯი კი სერიოზულ შეცდომებს უშვებს. დინამოელთა თავდამსხმელმა სანდრო იაშვილმა თავი ვერ შეიკავა და მსაჯს მიუტრიალდა – ბიჭო, რეი ჩარლზი ხარ?

მსაჯმა არ იცოდა, რეი ჩარლზი ვინ იყო, იაშვილის ნათქვამი კომპლიმენტად ჩათვალა და უპასუხა: - რა, არ ვგავარ თუ?

☺☺☺

- 1981 წელს "დინამომ" თასების მფლობელთა თასი მოიპოვა და ტრიუმფატორ გუნდს სხვადასხვა ორგანიზაციაში იწვევდნენ. ერთ-ერთი შეხვედრა საქართველოს მწერალთა კავშირში ჩატარდა.

ახალკაცმა შეხვედრაზე დუბლშემადგენლობის ფეხბურთელები მიიყვანა და მოიბოდიშა, „ასნავნოი" გუნდი დაღლილია, ხვალ მნიშვნელოვანი მატჩი გველის და დუბლები ამიტომ მოვიყვანეო.

იმ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე იყო, რომელმაც უპასუხა, ეგ არაფერი, ჩვენი "ასნავნოიც" მთაწმინდაზე ისვენებსო...

**მერაბ მამულაშვილი**

● ასლან ბალაძის ისტორიები

# როგორ გააგიჟა გურულმა გრეკოვმა რუსი ბორისოვი

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, საქართველოს ნაკრების პირველი მატჩის მონაწილე, "ბათუმის" ყოფილი მეკარე ასლან ბალაძე ადამიანი-კურიოზია. ის რამდენიმე ისტორიას "ლელოს" უყვება.**

## ვახშმად ქცეული ქორწილი

1982 წლის 19 თებერვალია, ჩემი ქორწილის დღე. ეს დღე საგანგებოდ შევარჩიეთ, სეზონის დაწყებამდე ბათუმის "დინამო" მშობლიურ ქალაქში ემზადებოდა და ვარჯიშის შემდეგ ქორწილში უპრობლემოდ წავიდოდი.

მოულოდნელად პრობლემა შემექმნა – თბილისის "დინამოსთან" ამხანაგური შეხვედრა მაინცდამაინც 19 თებერვალს დაგვინიშნეს. თამაშის გამოტოვების უფლებას მომცემდნენ, მაგრამ თბილისის "დინამოს" კანდიდატად მოვიაზრებოდი და ასეთ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი, მაგრამ ქორწილი უსიძეოდ ხომ ვერ ჩაივლიდა? მოკლედ, ვფიქრობდი, რა წყალში გადავვარდე-მეთქი.

გამოუვალი მდგომარეობაა: ხალხი დაპატიჟებულია და ვერ გადავდებთ, იქით "დინამოზეც" ვერ ვიტყვი უარს. მეუღლის ოჯახს მოველაპარაკე, რომ პირველ ტაიმს ჩავატარებდი და ეგრევე ქორწილში წავიდოდი.

მაგრამ თამაში კარგად წამივიდა, გამიტკბა და მეორე ტაიმიც მივაყოლე. სანამ მსაჯმა ჩასტვინა, შხაპი გადავივლე და ამისთანები, გახდა შვიდი საათი. მე კიდევ ბათუმში ვარ და უნდა წავიდე ლანჩხუთში – მეუღლე გურულია და სუფრა იქაა გაშლილი.

მაშინ სად იყო დღევანდელივით კარგი გზები? ჩავედი ცხრა საათზე, მაგარი წვიმა იყო, ეზოს მივადექი და სადაა ქორწილი? ჭიშკარი დაკეტილი დამხვდა, სუფრაზე - 5-6 კაცი, მეუღლე კი - ატირებული.

მოყვრები ძლივს შევირიგე, დავჯექით ეს მცირერიცხოვანი ხალხი და მაინც მოვულხინეთ, მაგრამ ქორწილი ვახშმად გადამექცა.

## სასტუმროს შვეიცარი

ჩვენ ხუთი დედმამიშვილი ვართ, მე - ყველაზე პატარა, უფროსები დაოჯახებულები, ნასწავლები და გზაზე დაყენებულები არიან.

მამაჩემი თანამდებობაზე მუშაობდა, ქობულეთში კარგად იცნობდნენ და ყველა ესალმებოდა.

ქობულეთში დიდი ფეხბურთელი რეზო ჩელებაძე იყო. იმ პერიოდში თბილისის "დინამოში" მოხვედრა უდიდეს ბედნიერებად ითვლებოდა, დინამოელებს კი ვაღმერთებდით.

უცებ გავარდა ხმა, ასლან ბალაძე "დინამოში" გამოიძახესო. ქობულეთში დიდი აჟიოტაჟია, ყველა მილოცავს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს...

არადა, სახლიდან გასულ მამას მეზობელმა ქალბატონმა ჩაუარა და არ მიესალმა. ასე მოხდა რამდენჯერმე და გაუკვირდა მამაჩემს, ასეთი რა გეწყინა, სალამი რომ გამიძვირეო.

- ოთხ შვილს ასწავლე, მაგრამ ისეთი რა გაგიჭირდა, მეხუთეს თბილისში შვეიცრად რომ აგზავნი? ქობულეთში სასტუმრო არ არის, აქ მაინც იმუშავებდაო – ეუბნება მეზობელი.

გაუკვირდა მამაჩემს: რა სასტუმრო, რის შვეიცარი, ასლანს სასტუმროში რა უნდაო?!

- მთელი ქობულეთი მაგას ლაპარაკობს, ასლანი თბილისში მეკარედ გადადის და მე მიმალავ?!

ეს ქალბატონი ფეხბურთის აზრზე არ იყო და რომ გაიგო, თბილისში მეკარედ მიმიწვიეს, იფიქრა, მამაჩემმა სასტუმროში შვეიცარად მომაწყო.

## ასლან აბაშიძის კონკურენტი

1999-დან 2004 წლამდე ბათუმში ბევრი თანამდებობა მეკავა: ვიყავი "ბათუმის" ბავშვთა საფეხბურთო და ბათუმის კომპლექსური სპორტული სკოლების დირექტორი, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, "ბათუმის" გუნდის უფროსი და მთავარი მწვრთნელი, ფეხბურთის ფედერაციამ კი დასავლეთ საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის კურირება დამავალა.

იმ დროს კლუბთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად ასლან აბაშიძეს შევხვდი. ხომ იცის ჩემი თანამდებობების ამბავი და მეუბნება: ასლან, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსობა გაკლია და აჭარა შენი გახდებაო.

## უნივერსალი გრეკოვის ლონდრესეული ფინტები

მრავალ თანამდებობაზე მუშაობდა ბათუმში ავთო გრეკოვიც, რომელიც მერე მერაბ ჟორდანიას ფედერაციაში ბავშვთა ფეხბურთის განყოფილებში საქმიანობდა - ძალიან კარგი ადამიანი, მშვენიერი იუმორის პატრონი.

ავთო ერთდროულად იყო ბათუმის სტადიონის დირექტორი, სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ოპერაში ვიოლონჩელოზე უკრავდა და ეკლესიაში გალობდა.



ასლან ბალაძე

აბაშიძის დროს აჭარაში რუსი გენერლები ხშირად ჩამოდიოდნენ. იმ პერიოდში ბათუმში რა იყო სანახავი? ზღვა, გარემონტებული სტადიონი, კორტები, ბავშვთა ოპერა და ცენტრში აშენებული ეკლესია.

ერთხელაც ჩამოვიდა გენერალი ბორისოვი, 2008 წელს ცხინვალსა და გორში რუსის ჯარს რომ ხელმძღვანელობდა.

აბაშიძემ ჯერ ოპერაში მიიყვანა და გრეკოვი წარუდგინა, რუსებს აჭარაში დიდ პატივს ვცემთ, აგერ, ბატონი ავთო სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელიაო. ამ დროს რისი რუსი, დუმბაძის გოგოლისა არ იყოს, გურულია.

ამასობაში დრო გავიდა, შევიდნენ დარბაზში და აბაშიძემ ბორისოვი გადაახედა, აგერ ჩვენი გრეკოვი ვიოლონჩელოზე უკრავსო. გენერალი დააკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

სტადიონზე გადავიდნენ. გრეკოვი კი, როგორც "ლონდრეშია", გავარდა და აბაშიძემ რუსს უკვე სტადიონის დირექტორად გააცნო.

ბორისოვი გაგიჟდა, მაგრამ არ იმჩნევს. იქიდან ეკლესიაში წავიდნენ, აბაშიძემ მოატრიალა და ისევ ავთო დაანახა, ხედავ, გალობსო.

კაცი გაგიჟდა, ეგონა, დასცინოდნენ, ეს გრეკოვი ის გრეკოვია თუ მისი ტყუპისცალიო? არ იჯერებდა, ასეთი ფენომენი ცხოვრებაში არ მინახავსო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნაური და ამოუცნობი ჩემპიონი

**რეალობას ვერსად გავექცევით: უმაღლეს ლიგაში „ოლიმპი“ მეხუთე სეზონს ატარებს და ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ კლუბად ჩამოყალიბდა. გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგებიც ამას მოწმობს: „ოლიმპი“ ორჯერ ჩემპიონი გახდა, ერთხელ მესამე ადგილზე გავიდა და ერთხელაც — მეოთხეზე. თუმცა, დაარსებიდან ამ გუნდს ამბიციური მიზნების გარდა სხვა „უცნაურობებიც“ დასჩემდა; ამ შემთხვევაში კი, რალა თქმა უნდა, კლუბის ხანმოკლე ისტორიის განმავლობაში განხორციელებულ მართლაც სარეკორდო რაოდენობის საკადრო ცვლილებებს (თანამედროვე ფეხბურთში მსგავსი ანალოგის მოძებნას ნურვინ შეეცდება) ვგულისხმობთ. ის კი არა, რუსთავის „ოლიმპი“ „გინესის რეკორდების წიგნშიც“ შესაყვანია... თავისი ზეაქტიური და „გონივრული“ სატრანსფერო საქმიანობით; აღარაფერს ვამბობთ იმ, მართლაც, განსაკუთრებულ მოვლენაზე, როცა კლუბის ხუთწლიან ისტორიაში ვერც ერთმა მწვრთნელმა სეზონის სრულად ჩამთავრება ვერ შეძლო. თუმცა, „ოლიმპის“ მწვრთნელ-ფეხბურთელთა გაუთავებელ ცვლაზე ქვემოთ ვისაუბროთ და მანამდე უფრო მასშტაბური ცვლილებები უნდა ვახსენოთ, კლუბის ხელმძღვანელობაში ამ სეზონის დაწყებამდეც და უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობისას რომ მოხდა. ჰო, ნამდვილად არ იყო პატარა ამბავი ის ფაქტი, როცა ფაქტობრივად, ამ სეზონის დაწყების წინ (კონკრეტულად, ევროტურნირებზე რუსთავის გუნდის ფიასკოს მერე), „ოლიმპისა“ და... დავით კირკიტაძის გზები გაიყო! არავისთვის არახალი ამბავია, წინა სეზონში თუ როგორ მხარდაჭერას გრძნობდნენ „ოლიმპის“ მწვრთნელ-ფეხბურთელები ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულისგან. ჩემპიონატის საშინაო თუ საგარეო მატჩებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, — დავით კირკიტაძეს „ოლიმპის“ არც ერთი საკონტროლო შეხვედრაც არ გაუცდენია რუსთავის გუნდის საჩემპიონო სეზონში. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყაზახურ „აქტობესთან“ დამარცხების შემდეგ ქვემო ქართლის გუბერნატორი „ფოლადის“ სტადიონის ვიპ-ლოჟაში არ გამოჩენილა; უფრო ზუსტად, ერთი-ორჯერ შემოიარა, მაგრამ სხვა გუნდების პაექრობებს მიადევნა თვალი: თუ არ ვცდებით, 24 სექტემბერს „ვიტ ჯორჯია“-„ტორპედოს“ მატჩზე იყო და მეორედ (ისიც, მცირე ხნით), 5 დეკემბერს, როცა „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ მასპინძლობდა...**

**...ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ოლიმპის“ გამოსვლის ზუსტი შეფასება მართლაც რთული საქმეა; ერთი შეხედვით, გუნდის ასპარეზობას წარუმატებელს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ: პირველი ეტაპის გამარჯვებულ „ზესტაფონს“ მხოლოდ იმით ჩამორჩება, რომ ერთი მოგებით ნაკლები აქვს; თუმცა, იმავე „ზესტაფონთან“ თასის მეოთხედფინალში დამარცხდა და „ოლიმპის“ ქომაგებს (რომელთა რიცხვიც, წინა სეზონთან შედარებით, უფრო და უფრო მცირდება) მცირეოდენ შვებას სუპერთასის აღება თუ მოჰგვრიდა. მაგრამ ამ ტიტულს ქვეყნის ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი... ზურაბ ჯაფარიძის გარეშე შეხვდა: „ოლიმპის“ დაარსება-ჩამოყალიბების ერთ-ერთმა ინიციატორმა, წლების განმავლობაში კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა და ქართული საკლუბო ფეხბურთის აშკარად არაერთგვაროვანმა პერსონამ თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. თუმცა, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ამბიციურ-უცნაურ-ამოუცნობი კლუბი... „უპატრონოდ“ არ დარჩენილა! პირიქით — პირველი ეტაპის დასკვნით მატჩებზე „ფოლადის“ სტადიონის ვიპ-ლოჟას უკვე... სხვები „განაგებდნენ“, კერძოდ, კლუბის მეპატრონე ჯოზეფ ქეი და მისი გარემოცვა. სხვათა შორის, ქართულ საფეხბურთო „ორბიტაზე“ ბატონი ქეის გამოჩენას ორი, მართლაც, უცნაური გადაწყვეტილება მოჰყვა: პირველი ეტაპის დამთავრებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, „ოლიმპში“ ყველასათვის მოულოდნელი სამწვრთნელო ცვლილება მოხდა; შემდეგ კი, კერძოდ, სუპერთასზე გამარჯვებიდან რამდენიმე წუთში, „ოლიმპის“ მეპატრონემ ქართულ სპორტულ მედიას სიამაყით განუცხადა, რომ ამიერიდან რუსთაველთა საყვარელ გუნდს „ისტორიული“ (და ასე „მონატრებული“) სახელი „მეტალურგი“ დაერქმეოდა...**



ზურაბ ჯაფარიძე

## ოლიმპიური კარუსელი

...როცა ესა თუ ის კლუბი გარკვეულ წარმატებებს ვერ აღწევს, საკადრო ცვლილებები მართლაც აუცილებლობას წარმოადგენს; მაგრამ, როდესაც ჩემპიონი-გუნდის შემადგენლობიდან სხვადასხვა მიზეზით 14 (!) ფეხბურთელი წავა, ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, უცნაურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. სწორედ ასე მოხდა „ოლიმპში“ — ევროტურნირებზე რუსთაველებმა, ფაქტობრივად, ახალი გუნდი გამოიყვანეს. ახალწვეულთა შეუთამაშებლობამ, რალა თქმა უნდა, თავისი როლი ითამაშა და „ოლიმპი“ ამჯერადაც პირველივე ეტაპზე გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას. არადა, გუნდს საჩემპიონო შემადგენლობის ძირითადი ბირთვი (კერძოდ, **გრიგოლ ჭანტურია, ალექს ფრაგა, გია კვარაცხელია, დავით იმედაშვილი, ანდერსონ აკინო, სანდრო იაშვილი**) რომ შეენარჩუნებინა, დიდი შანსი იყო, ყაზახური ბარიერი დაეძლია. ზაფხულში წასული 14 ფეხბურთელის ნაცვლად ამდენივე ახალწვეული მოვიდა. კიდევ ორი კი უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობისას დაემატათ; თუმცა, კლუბის სატრანსფერო „კარუსელი“ ფეხბურთელების გარდა მწვრთნელებშიც „დატრიალდა“ და „ოლიმპის“ მოთამაშეებსაც ლამის ყოველი თვის შემდეგ ახალ-ახალი სპეციალისტის ხელმძღვანელობით უწევდათ ვარჯიში. სეზონი **თემურ მახარაძემ** დაიწყო, მაგრამ VII ტურში, ფოთის „კოლხეთთან“ დიდი ანგარიშით (1:5) ნაგების შემდეგ ამ გამოცდილ სპეციალისტს კლუბის ხელმძღვანელობამ... ორტურიანი დასვენება „გამოუწერა“. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო ტურში, „ოლიმპმა“ საშინაო მატჩში „სამტრედიას“ რომ მოუგო (3:0), გუნდს მახარაძის ასისტენტები, **არმაზ ჯელაძე** და **იური გაბისკირია** მოძღვრავდნენ. თუმცა, ამ შეხვედრის მერე კვლავ მახარაძე დაბრუნდა, მაგრამ მცირე ხნით — ბოლნისში ნაგების მერე „ოლიმპში“ მორიგი სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა და გუნდის გაძღოლა **რამაზ მუმლაძეს** დაეკისრა. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „ოლიმპმა“ ჩემპიონატში 8 მატჩი ჩაატარა (5 მოგება და 3 ფრე), მაგრამ ვიდრე პირველი ეტაპი დამთავრდებოდა, რუსთაველთა გუნდში კიდევ ერთხელ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი: ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, რამაზ მუმლაძე გაათავისუფლეს! ამის მიზეზი, ალბათ, „ზესტაფონთან“ პირველ მეოთხედფინალურ მატჩში დამარცხება და სტუმრად „სამტრედიასთან“ ფრედ დამთავრებული შეხვედრა იყო. კიდევ ვიმეორებთ: მუმლაძის გათავისუფლება მართლაც მოულოდნელობა იყო, თუმცა არანაკლები სიურპრიზი წინ გველოდა — ჩემპიონი გუნდის გაძღოლა დებიუტანტ-მწვრთნელს, 32 წლის **თორნიკე მაისურაძეს** მიანდეს, ვისაც მანამდე მხოლოდ და მხოლოდ ბავშვთა ფეხბურთში ჰქონდა გარკვეული პერიოდი ნამუშევარი. ახალგაზრდა მწვრთნელის ხელმძღვანელობით „ოლიმპმა“ სამი მატჩი ჩაატარა: ჩემპიონატში „სიონს“ მოუგო (3:1), თასზე „ზესტაფონთან“ ფრედ ითამაშა (0:0) და, რაც მთავარია, „ვიტ ჯორჯიასთან“ პაექრობაში საქართველოს სუპერთასი მოიპოვა!

### მეკარეები

უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდს არა აქვს იმის ფუფუნება, რომ შემადგენლობაში სამი გამოცდილი მეკარე ჰყავდეს; თუმცა, ამ მხრივ „ოლიმპი გამონაკლისი იყო, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ამ რგოლს გუნდში საუკეთესოობაზე პრეტენზია ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონი გუნდი 18 მატჩში 15 ბურთს რომ გაუშვებს, ვფიქრობთ, მოსაწონი შედეგი ნამდვილად ვერ იქნება.

...ძირითადი მეკარის სტატუსით სეზონი „ვიტ ჯორჯიადან“ გადმოსულმა **გრიგოლ ბედიაშვილმა** დაიწყო; თუმცა, ფოთის ფიასკოს მერე „ოლიმპის“ კარში ამჯერად უკვე **ზურაბ ბათიაშვილი** ვიხილეთ. თანაც, სწორედ ამ პერიოდში დააბრუნეს გუნდში **გრიგოლ ჭანტურია** — 37 წლის მეკარეს საჩემპიონო სეზონის მერე, ფაქტობრივად, ფეხბურთისათვის თავი ჰქონდა დანებებული. ბათიაშვილიც არ ყოფილა დიდხანს გუნდის ძირითადი მეკარე — ბოლნისში წაგების მერე ეს პატივი ჭანტურიას ერგო, ვინც შემდეგ დაშავდა და პირველი ეტაპის ბოლომდე „ოლიმპის“ კარში ისევ ბედიაშვილი იდგა. რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტია, როცა გუნდში ორი თანაბარი სიძლიერის მეკარეა, მაგრამ, ამასთან, ერთ-ერთს მაინც უნდა ჰქონდეს ძირითადის სტატუსი.

### მცველები

„ოლიმპის“ მცველების მიმართ კლუბის ხელმძღვანელებსაც და ნახევარი სეზონის განმავლობაში გუნდში მომუშავე ხუთივე (!) მწვრთნელს პრეტენზია ნაკლები უნდა ჰქონოდათ. თუმცა, არც იმას დავმალავთ, რომ „ვიტ ჯორჯიადან“ გადმოსულ **ლაშა ჯაფარიძესა** და **ალექსანდრე კვახაძეს** გარკვეული დროც დასჭირდათ ახალ პარტნიორებთან შესათამაშებლად. ჯაფარიძე დაცვის მარცხენა ფლანგზე უალტერნატივო კანდიდატურა გახლდათ, კვახაძეს კი სულ მოკლე ხანში უდიდესი ნდობა გამოუცხადეს და „ოლიმპის“ კაპიტნადაც აირჩიეს; დაცვის მარჯვენა ფლანგზე მოასპარეზე **თემურ ლონლაძემ** სეზონის პირველი ეტაპი ჩვეულ დონეზე ჩაატარა; აი, 22 წლის



რევაზ გენაძე

**გიორგი რეხვიაშვილის** პროგრესი კი აშკარაა და ეს ახალგაზრდა ცენტრალური მცველი ნელ-ნელა გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ყალიბდება. ნურც გამოცდილ **რევაზ ქემოკლიძეს** დავივიწყებთ — 31 წლის ფეხბურთელს დაცვაშიც ნებისმიერ პოზიციაზეც შეუძლია თამაში და არცთუ იშვიათად „საყრდენ“ ნახევარმცველადაც გაუმწესებიათ მწვრთნელებს.

### ნახევარმცველები

„ოლიმპის“, უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესო რგოლი, განსაკუთრებით კი ეს ფლანგის ნახევარმცველებზე ითქმის — **რევაზ გენაძესა** და **გიორგი ქავთარაძეზე**. აზერბაიჯანიდან საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებული გენაძის შესაძლებლობებში ყოველთვის მაღალი აზრის ვიყავით, მაგრამ 25 წლის ნახევარმცველისთვის ეს სეზონი, ალბათ, მაინც განსაკუთრებულია. თანაც, გენაძე არა მხოლოდ „ოლიმპის“ უდავო ლიდერია, საერთოდაც პირველი ეტაპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც გახლავთ. გენაძის ზეაქტიური და სასარგებლო თამაში, ასე თუ ისე, მაინც „პროგნოზირებადი“ იყო; სამაგიეროდ, მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ გიორგი ქავთარაძის ასპარეზობა: ამ 22 წლის ფეხბურთელს წინა კლუბში („დინამო“) რატომღაც არ ენდობოდნენ, არადა ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე მართლაც რომ საჭირო მოთამაშეა, „ოლიმპში“ გამოჩენისთანავე ამტკიცებს. პირველი ეტაპის ბოლო მატჩებში ქავთარაძეს ფლანგზე ვხედავდით, თავდაპირველად კი ცენტრალურ ნახევარმცველად ასპარეზობდა და მაშინაც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

თავის ახალ გუნდს მალე „გაუშინაურდა“ **ლუკა რაზმაძე**, ვინც „ოლიმპის“ შტატიანი პენალტისტიც გახდა და ჯერჯერობით ამ მისიას უშეცდომოდ ასრულებს; რუსთაველთა გუნდის წარმატებული თამაში დიდად არის დამოკიდებული კიდევ ერთ ახალწვეულზე, ვინც თანაგუნდელების შეტევების ორგანიზება უნდა იტვირთოს — 30 წლის **დავით ბოლქვაძე** საქართველოს ჩემპიონატს გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და იმედი დავიტოვოთ, რომ მეორე ეტაპზე ბევრად უფრო შთამბეჭდავად ათამაშდება. **დენის დობროვოლსკისა** და **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს** ჩვენს ჩემპიონატში არაერთი სეზონი გაუტარებიათ, მაგრამ ამ სეზონში „ოლიმპის“ ძირითადში მოხვედრა უჭირდათ; ეგ კი არა, აზერბაიჯანიდან საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებული 30 წლის **რომან ახალკაციც** მხოლოდ ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე (ისიც შეცვლებზე). სამაგიეროდ, სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა 17 წლის **ვაკო ყაზაიშვილმა** — პირველ ეტაპზე უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლის გატანაც რომ მოახერხა.

### თავდამსხმელები

წინა სეზონთან შედარებით, ამ ზაფხულს „ოლიმპის“ თავდასხმის ხაზი მთლიანად გამოიცვალა; თუმცა, თავდაპირველად ჩემპიონი-გუნდის ფორვარდებისგან „ოლიმპის“ ქომაგები აშკარად მეტს მოელოდნენ - **ირაკლი მოდებაძეც** და **გიორგი ბერიაშვილიც** იმ კატეგორიის თავდამსხმელებს მიეკუთვნებიან, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე რომ შეუძლიათ კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა. სამწუხაროდ, ამ ორმა ფორვარდმა აშკარად არაერთგვაროვნად იასპარეზა: მოდებაძემ სეზონი „მძიმედ“ დაიწყო, ბევრი იმასაც ამტკიცებდა, რომ მისი უკრაინიდან ჩამოყვანა წარუმატებელი ტრანსფერი იყო და ასე შემდეგ. თუმცა, სეზონის დაწყებიდან თვე-ნახევარში მოდებაძემ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა დაიწყო და ამჟამად სამართლიანადაც იმყოფება ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა შორის. ეგ კი არა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **თემურ ქეცბაიას** ყურადღებაც დაიმსახურა. აი, ბერიაშვილზე კი გუნდის მწვრთნელების პერმანენტულმა ცვლამ აშკარად უარყოფითად იმოქმედა — ზოგი რომელ პოზიციაზე აყენებდა, ზოგი ნაკლებად ენდობოდა და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, მორიგი უიღბლობა დაემართა ნიჭიერ ფორვარდ **რევაზ ბარაბაძეს** — 22 წლის ტანმაღალი თავდამსხმელი „ოლიმპს“ ჩემპიონატის მსვლელობისას შეუერთდა, მაგრამ კვლავაც ტრავმა მიიღო. რაც შეეხება „ოლიმპის“ კიდევ ერთ ფორვარდს, 18 წლის **ჯაბა უგულავას**, ალბათ, მეორე ეტაპზე უფრო მეტი სათამაშო დრო ექნება.



ირაკლი მოდებაძე

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ისე კი, ამ დროისათვის მართლა ძნელი სათქმელია, თუ როგორი შემადგენლობით წარდგება „ოლიმპი“ მეორე ეტაპზე: ამ გუნდში ხომ ყოველ ექვს თვეში ძირითადი შემადგენლობის შეცვლა-გამოცვლა ჩვეულებრივი ამბავია...*

### ოლიმპის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| II ტური | ტორპედო-ოლიმპი | 1:1 |
| III ტური | ოლიმპი-დინამო | 1:0 |
| IV ტური | ზესტაფონი-ოლიმპი | 1:0 |
| V ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 2:0 |
| I ტური | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| VI ტური | ოლიმპი-ბაია | 2:0 |
| VII ტური | კოლხეთი-ოლიმპი | 5:1 |
| VIII ტური | ოლიმპი-სამტრედია | 3:0 |
| IX ტური | სიონი-ოლიმპი | 2:1 |
| X ტური | ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 0:4 |
| XI ტური | ოლიმპი-ტორპედო | 0:0 |
| XIV ტური | სპარტაკი-ოლიმპი | 2:3 |
| XII ტური | დინამო-ოლიმპი | 1:1 |
| XIII ტური | ოლიმპი-ზესტაფონი | 1:0 |
| XV ტური | ბაია-ოლიმპი | 0:1 |
| XVI ტური | ოლიმპი-კოხეთი | 2:0 |
| XVII ტური | სამტრედია-ოლიმპი | 1:1 |
| XVIII ტური | ოლიმპი-სიონი | 3:1 |

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი-12, გრიგოლ ჭანტურია-4, ზურაბ ბათიაშვილი-3;

მცველები: ლაშა ჯაფარიძე-18, ალექსანდრე კვახაძე-17 (2), გიორგი რეხვიაშვილი — 17 (2), თემურ ლონლაძე-16, რევაზ ქემოკლიძე — 15, დავით ხოჭოლავა—2;

ნახევარმცველები: ლუკა რაზმაძე — 17 (5), დავით ბოლქვაძე — 16 (2), რევაზ გენაძე — 15 (2), გიორგი ქავთარაძე — 15 (2), გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე — 14, დენის დობროვოლსკი — 14 (1), ვაკო ყაზაიშვილი — 7 (1), რომან ახალკაცი — 4, გიორგი ჭედია — 3.

თავდამსხმელები: ირაკლი მოდებაძე — 18 (9), გიორგი ბერიაშვილი — 16 (2), ჯაბა უგულავა — 4, რევაზ ბარაბაძე — 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკარეები გამტანი ხალხია

# ქართველი იგიტები

« მე-3 გვერდიდან

ჩვენთვის არანაკლებ საინტერესოა იმ ქართველი მეკარეების ჩამონათვალი, რომლებიც უცხოელი კოლეგებივით გამოირჩეოდნენ. მათ შორის ლიდერები ბათუმის "დინამოს" ყოფილი კარის დარაჯები, **ნიკა ტოგონიძე** და **ასლან ბალაძე** არიან.

ეროვნული ნაკრების ყოფილ მეკარე ტოგონიძეს საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებში 14 გოლი გაუტანია. ის არ იყო ტიპური მეკარე, მოედანზეც არაორდინარული იყო და ცხოვრებაშიც ასეთია. წინ გამოსული, რისკიანი და მაყურებლის ყოჩი თერთმეტმეტრიანების შესრულებითაც იყო ცნობილი.

იყო ასეთი შემთხვევა: ნიკა ხაშურის "ივერიაში" თამაშობდა, ქართლელებს ფეხბურთელები დააკლდათ და ბათუმის "დინამოს" მაშინდელ პლეიმეიკერ **ბახვა ამბიძის** წინააღმდეგ **ვლადიმერ ხაჩიძემ** სარდენ ნახევარმცველად ტოგონიძე დააყენა.

ცხადია, ნიკა მხოლოდ ამით არ გამოირჩეოდა, მეკარედ ვარგოდა და ეროვნულ ნაკრებში ამიტომ მიიწვიეს. ტოგონიძემ ერთხელ, ისევ და ისევ ბათუმის "დინამოსთან", აჭარელთა ბომბარდირ **პაატა მაჭუტაძეს** სამიდან ორი პენალტი აუღო, მესამეზე კი არ განძრეულა, ისე გაუშვა. სხვათა შორის, ამ მატჩის შემდეგ გადაიყვანეს ტოგონიძე ბათუმის "დინამოში", სადაც **დავით ყიფიანმა** შენიშნა, ეროვნულ ნაკრებში მიიწვია და დღემდე ერთადერთი ქართველია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს – ეს საჩუქარი 1997 წელს იტალიასთან მშვენივრად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ "სქაისპორტმა" უძღვნა. ინგლისურმა ტელეკომპანიამ ქართველებს კონკურენტ იტალიასთან ფრე, მისი მეორე ადგილზე ჩაჩოჩება და ჯგუფში ინგლისის პირველ ადგილზე გადაყვანა დაუფასა - ნიკა ოქტომბრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ტოგონიძეს ბათუმში მეორე ქართველი "იგიტა", ასლან ბალაძე დახვდა. ბალაძე "ბათუმის" შტატიანი პენალტისტი იყო და "ლელოსთან" ინტერვიუში თქვა, რომ საქართველოს ჩემპიონატში და თასზე 12 პენალტი აქვს გატანილი და ერთიც არ გაუცუდებია.

მომხდარა ისიც, რომ ნაკრებში ციკლის დასაწყისში მეკარედ აყვანილი ციკლის ბოლოს თავდამსხმელად მოგვევლინა, 1999 წელს კი 3 გოლით ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა – **ვალერი გაგუა**, პირველი ლიგის "ნორჩი დინამოს" ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი.

**შოთა არველაძემ** საფეხბურთო სკოლა "ავაზაში" ვარჯიში მეკარეობით დაიწყო და ნეტა ყველა მეკარე ისე გამოვიდეს კარიდან, როგორც "კაისერის" დღევანდელი მწვრთნელი – კარიერის ბოლოს შოთას საქართველოს, თურქეთის, ჰოლანდიისა და შოტლანდიის სტადიონებზე გატანილი 291 გოლი დაუგროვდა.

**მერაბ მამულაშვილი**

კაცია-პიარაქცია

# საქართველოზე შეყვარებული მსოფლიოს რეკორდსმენი

**სტენლი მეტიუზი** მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში არა მხოლოდ დიდი ფეხბურთელობის წყალობით, არამედ რეკორდითაც შევიდა – მან კარიერა 50 წლისამ "სტოკ სიტიში" დაასრულა. ამ ასაკამდე არც ერთ ფეხბურთელს არ ეთამაშა. თუმცა ინგლისური ფეხბურთის ლეგენდას რეკორდი ბელარუსმა **იური პუდიშევმა** ჩამოართვა.



იური პუდიშევი

პუდიშევის მაგალითი ამტკიცებს, რომ ფეხბურთი დიდი ხანია, შოუდ გადაიქცა, ამ ტენდენციას კი საქართველოში ანგარიშს არ ვუწევთ. მსოფლიოს მედიამ 2010 წლის 26 ოქტომბერს ერთ ჩვეულებრივ კლუბს, ბრესტის "დინამოს" ყურადღება სწორედ პუდიშევის გამო მიაქცია. ის ბრესტელთა კლუბის მთავარი მწვრთნელის ასისტენტია, ამჟამად 56 წლისაა და ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მინსკის "დინამოს" კაპიტნობდა.

საქმე ისაა, რომ პუდიშევი 26 ოქტომბერს "ბატესთან" მატჩის 90-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე, რითაც საკუთარი თავიც და ბრესტელებიც თანამედროვე ფეხბურთის ისტორიაში ჩაწერა – 56 წლისას ასეთი დონის პირველობაზე ჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ უთამაშია.

„რატომ გავიხსენეთ პუდიშევი? ბრესტის "დინამოს" ქართველი ნახევარმცველი **ზაზა ჭელიძე** ამბობს, რომ მსოფლიოს რეკორდსმენი საქართველოზეა შეყვარებული.

"პუდიშევი მთავარი მწვრთნელის, იური პუნტუსის ასისტენტი და მეგობარია. ახლა 56 წლისაა, უკვე სამი წელია, მასთან ერთად მუშაობს. კლუბში ასაკის შესაბამის ნომერს ილებს და თამაშობს – ასე იყო "მტზ-რიპოში", შემდეგ კი ბრესტის "დინამოში". წლეულს 56 წლისა გახდა და "დინამოში" 56-ნომრიანი მაისურა გადასცეს. მოედანზე იმ დროს გადის, როდესაც 3:0-ს ან 4:0-ს ვიგებთ, ან უიმედოდ ვაგებთ, მაქსიმუმ ხუთ-ათ წუთს თამაშობს. გასაგებია, რომ თანამედროვე ფეხბურთის ტემპს ვერ უძლებს და ველარ დარბის, მაგრამ ბურთსაც არ დაკარგავს, რადგან კლასი მაინც ეტყობა. ჩივაძის, შენგელიას, სულაქველიძის, გუცაევის, ყიფიანის, დარასელიას დონეზე არ უთამაშია, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრების ფორმა მასაც მოურგია.

*წლეულს პუდიშევი თითქმის ყველა მატჩის განაცხადში იყო. ამას საგანგებოდ აკეთებდნენ, მისი რეკორდი დიდხანს რომ ვერ მოხსნან. რეკორდი იქით იყოს და, ბელარუსებმა მიზანს მიაღწიეს, ამბის უჩვეულობის გამო მთელი მსოფლიოს მედია ბრესტის "დინამოზე" წერდა.*

*პუდიშევი კარგი ადამიანია. პირადად ჩემთვის უთქვამს, "დინამოსთან" უამრავჯერ მითამაშია, ბოლოს კი თბილისში ჩამოვედი, მინდორს ვაკოცე, თქვენი სტადიონი ისე მიყვარსო",* - გვითხრა ჭელიძემ.

ქართველებს ბევრად უფრო ცნობილი ფეხბურთელები გვყავს და ასეთი პიარაქცია ჩვენს ფეხბურთსაც არ აწყენდა, თორემ საქართველოს პირველობა ყველასგან დავიწყებულია.

**მერაბ მამულაშვილი**

ანალიზი


ფაბიოები, კუალიარელა და კანავარო სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ

# კალჩოს ხუთი სატკივარი

**2010 წელი იტალიური ფეხბურთისთვის მეტად რთული გამოდგა. მართალია, "ინტერმა" ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა და ბუნებრუივია, ეს მთლიანად კალჩოს გამარჯვებაც გახლდათ, მაგრამ თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავესესხებით, გასულ წელს უარყოფითი მეტი იყო. დღევანდელი ჩვენი სტატიაც სწორედ ამ თემას შეეხება - წარმოგიდგენთ იტალიური ფეხბურთისთვის გასული წლის 5 ყველაზე წარუმატებელ მოვლენას...**

## გაფიცვები სერია A-ში

იტალიური ფეხბურთი და სკანდალი ერთმანეთისგან განუყოფელი მცნებებია. ამ ქვეყანაში ხუმრობენ კიდეც, რომ მაშინ აღწევენ წარმატებას, როდესაც კალჩოში მორიგი სკანდალი იფეთქებს. ასე მოხდა 2006 წელსაც, როდესაც "სკუადრა აძურამ" კალჩოპოლის ფონზე მსოფლიოს საუკეთესო გუნდის სტატუსი მოიპოვა. მაშინ იტალიურ საკლუბო ფეხბურთში მართლაც ურთულესი ვითარება იყო და ეს ყველა იმ მოთამაშის ბედს ეხებოდა, რომლებსაც გერმანიის მინდვრებზე ქვეყნის ღირსება უნდა დაეცვათ. იმ სკანდალში თვით **მარჩელო ლიპი** იყო გარეული, რომლის ვაჟსაც ვირის აბანოში ჩასმით ემუქრებოდნენ. ბუნებრივია, ასეთი მძიმე ფსიქოლოგიური წნეხის ფონზე თამაში იოლი არ არის, მაგრამ აპენინელებმა ყველა დავალებას თავი იდეალურად გაართვეს.

გასაგებია, რომ ხშირად სკანდალი არ უშლის ხელს წარმატების მიღწევას, მაგრამ თავად ასეთი მოვლენები იტალიურ ფეხბურთს, რბილად რომ ვთქვათ, არ ამშვენებს. 2010 წელს არაერთხელ იყო სერია A-ს ტური ჩაშლის საფრთხის წინაშე, რაც ფედერკალჩოს ახალმა კანონპროექტმა განაპირობა. აპენინური ფეხბურთის მამები ახალი ინიციატივით გამოვიდნენ, რომლის მიხედვითაც კლუბებს შეეძლოთ მოთამაშის ტრანსფერის საკითხი მისი აზრის გაუთვალისწინებლად გადაეჭრათ. ამის წინააღმდეგ "იტალიელ ფეხბურთელთა ასოციაცია" გამოვიდა და სკანდალიც აგორდა. საბოლოო ჯამში, მხარეები კონსენსუსამდე მივიდნენ, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ არაერთი ტური იყო ჩაშლის პირას, იტალიურ ფეხბურთში არსებული პრობლემების ნათელი დადასტურებაა.

## უეფას საკლუბო რეიტინგი

ამ თემას იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე დიდი ხანია აქტიურად აშუქებენ და ეს სრულიად ბუნებრივიც არის. რომ არა "ინტერის" მიერ ჩემპიონთა ლიგის მოგება, სერია A უკვე მომდევნო სეზონიდან გადაულოცავდა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მეოთხე საგზურს ბუნდესლიგას, თუმცა ეს ამბავი ერთი წლით გადაიდო. დიახ, გადაიდოო - ვამბობთ, რადგან იტალიურმა გუნდებმა ვერც ამ სეზონის პირველ ნახევარში იბრწყინეს ევროარენაზე და უკვე ჩამორჩებიან კიდეც უეფას საკლუბო რეიტინგში გერმანელებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ევროპის ლიგაში სერია A-ს ბინადართაგან მხოლოდ "ნაპოლია" შემორჩენილი, უნდა ვაღიაროთ, რომ ბუნდესლიგა ძალიან ახლოს არის სანუკვარ მიზანთან. გერმანელებს ძალიან უნდათ რეიტინგში იტალიას გადაასწრონ და ამასთან ისე ახლოს არიან, როგორც არასდროს.

მას შემდეგ, რაც ევროპის ლიგის მიმდინარე გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე "იუვენტუსი", "პალერმო" და "სამპდორია" ჩარჩნენ, **ადრიანო გალიანიმ** ველარ მოითმინა და ამ გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტის თქმით, სწორედ ევროპის ლიგაზე მოასპარეზეთა ბრალია, იტალიური საკლუბო ფეხბურთი ასეთ მძიმე ვითარებაში რომ ჩავარდა. ამ საკითხს კიდევ არაერთი ცნობილი ადამიანი გამოეხმაურა, მათ შორის არასაფეხბურთო წრეებიდან. მდგომარეობის გამოსწორება ძალიან რთული იქნება - აპენინელთა იმედები მთლიანად ჩემპიონთა ლიგაზეა დამყარებული, სადაც ჯერ კიდევ ასპარეზობენ "მილანი", "ინტერი" და "რომა".

## მარიო ბალოტელი - ნაციზმი და რასიზმი

დიდი ხანია, შევეჩვიეთ იმას, რომ ეროვნულ ნაკრებებში ნატურალიზებული ფეხბურთელები ასპარეზობენ. უკვე წლებია საფრანგეთის უმთავრეს გუნდში მეტად რთული ამბავია სუფთა ფრანგის მოძებნა და ზოგადად, ევროპულ ქვეყნებში ეს ტენდენცია სახეზეა. ვის წარმოედგინა თუნდაც ოცი წლის წინ, რომ გერმანიის ნაკრებში ამდენი რჯულის ფეხბურთელი იასპარეზებდა... მეტიც, გერმანელებისთვის ეს სიამაყის საფუძველი გახდა, რაც ბუნდესგუნდის ამასწინანდელმა პაექრობამ თურქეთის ეროვნულ ნაკრებთან ნათლად დაადასტურა. ქვეყნის პირველი პირი **ანგელა მერკელი** თამაშის შემდეგ გასახდელში ჩავიდა და პერსონალურად უთხრა მადლობა **მესუთ იოზილს**, რომელმაც ისტორიული სამშობლოს წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა.

და რა ხდება ამ დროს იტალიაში? - აპენინელები ვერაფრით შეეგუენ იმ აზრს, რომ "სკუადრა აძურაში" **მარიო ბალოტელი** ასპარეზობს. მოკლედ გეტყვით, რომ მარიო ბარვუა წარმოშობით განელი გახლავთ, ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ბალოტელების ოჯახმა იშვილა და საცხოვრებლად იტალიაში ჩაიყვანა. ამგვარად გახდა ბარვუა ბალოტელი და შესაბამისად, იტალიელი. თუმცა, ასე თავად მიაჩნია და ჰკითხეთ აბა ტიფოზებს? მათ სულ სხვა მოსაზრება აქვთ, მათთვის მარიო განელია და სწორედ ისტორიული სამშობლოს ღირსება უნდა დაეცვა. იტალია-რუმინეთის თამაშს, რომელიც შვეიცარიაში გაიმართა, ასობით ტიფოზი დაესწრო, რომლებსაც დიდი ბანერი ჰქონდათ გამოფენილი - "იტალია იტალიელებისთვის". ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩის გამართვა "მანჩესტერ სიტის" ტურინში უწევდა "იუვენტუსის" წინააღმდეგ - მიუხედავად იმისა, რომ ბალოტელი სრულიად ჯანმრთელი გახლდათ, ფეხბურთელმა მთავარ მწვრთნელს მისი მანჩესტერში დატოვება სთხოვა, რადგან კარგად იცოდა, ტიფოზები ძალიან ცუდად დახვდებოდნენ. "იუვე"-"სიტის" პაექრობაში ბალოტელის საერთოდ არ უთამაშია, ტრიბუნებზე კი არაერთხელ გაისმა მარიოს სალანძღავი შეძახილები და სიმღერები.

## ევრო 2016

ის, რომ იტალიურ საკლუბო ფეხბურთს ბევრი პრობლემა აქვს, ამაში სტადიონების და ზოგადად, ინფრასტრუქტურის მოძველებას დიდი როლი მიუძღვის. სერია A-ს პაექრობებზე იმდენი გულშემატკივარი არ დადის, რამდენიც მაგალითად გერმანიის ბულდესლიგასა და ინგლისის პრემიერლიგაში. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ კუთხითაც უმნიშვნელოვანესი იყო, იტალიას ევროპის 20!6 წლის ჩემპიონატისთვის ემასპინძლა.

გახსოვთ ალბათ, აპენინელებს ევრო 2012-ის მასპინძლობის სურვილიც ჰქონდათ, თუმცა მაშინ უეფამ არჩევანი უკრაინასა და პოლონეთის ტანდემზე შეაჩერა. გამომდინარე აქედან, ევრო 2016-ის მასპინძლის შერჩევისას ფავორიტად იტალია ითვლებოდა, თუმცა აპენინელებს ამჯერადაც მოეცარათ ხელი - არჩევანი საფრანგეთზე შეჩერდა. იტალიაში ეს **მიშელ პლატინის** არაობიექტურობას და სამშობლოს ლობირებას მიაწერეს, თუმცა ფაქტია, როდესაც ფავორიტის რანგში ორჯერ დარჩები ხელმოცარული, პრობლემები საკუთარ თავშიც უნდა ეძებო. როგორც ჩანს, ფედერკალჩომ კარგად ვერ იმუშავა და ვერ დაარწმუნა ევროპული საფეხბურთო საზოგადოება იმაში, რომ ევროფორუმს ყველაზე უკეთ სწორედ იტალია უმასპინძლებდა. 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიაში ტარდება, 2016-ის ევროპირველობა საფრანგეთში, 2018 წლის მუნდიალი რუსეთში და უმჯობესია, აპენინებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გეგმა B აამოქმედონ - თუ ასეთი საერთოდ არსებობს.

## მუნდიალი

გასული წლის ყველაზე დიდი წარუმატებლობა იტალიელებმა სამხრეთ აფრიკაში გამართულ მუნდიალზე იგემეს. შავ კონტინენტზე "სკუადრა აძურა" ჩემპიონის რანგში ჩავიდა და ჯგუფურ ეტაპზე ბოლო ადგილი დაიკავა. გავიხსენოთ თამაშები: პარაგვაისთან და ახალ ზელანდიასთან ფრეს გამორჩა, სლოვაკეთთან კი სულაც დამარცხდა. არადა, მესამე შეხვედრაც რომ ფრედ დაესრულებინა, სამი ქულით გადიოდა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში. სწორედ ასე გაძვრა "აძურა" 1982 წლის მუნდიალის ჯგუფიდან და შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 2010 წლის ფორმაციის "აძურა" უბრალოდ არ იყო ის გუნდი, რომელსაც წარმატებისთვის უნდა მიეღწია და ამაში **მარჩელო ლიპის** მიუძღვის ბრალი. იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჩათვალა, რომ ყველაფერი იცოდა; რომ მას ვერავინ ვერაფერს ასწავლიდა და ჩათვალა, რომ ყოველთვის და ყველაფერში გაუმართლებდა; ჩათვალა და მწარედაც შეცდა - მაესტრო დაეცა, 2006 წლის მუნდიალის ტრიუმფატორმა ერთ-ერთი ყველაზე შავი ფურცელი ჩაწერა იტალიური ფეხბურთის ისტორიაში.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოფენჰაიმი

# სოფელში მონასტერი აირია

## ჰოფეს ცუდი ახალი წელი: ლუის გუსტავო მიუნხენში წავიდა, ამით გამწარებული რანგნიკი კი პოსტიდან გადადგა



ლუის გუსტავო ჰოფენჰაიმიდან ბაიერნში გადავიდა

2011 წელი „ჰოფენჰაიმისთვის" ძალიან ცუდად დაიწყო. **ლუის გუსტავოს** მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლა მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, რადგან გერმანიაში ამ ტრანსფერზე სამი კვირის განმავლობაში საუბრობდნენ. მონასტერი იმ ამბავმა არია, რომ ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველის წასვლამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** ისე გააბრაზა, რომ მან თანამდებობა დატოვა. „პროფესორი რალფი" ასე ძალიან არ გაბრაზდებოდა, რომ არა გუნდის მფლობელის, მილიარდერი **დიტმარ ჰოპის** ამასწინანდელი განცხადებები, რომელთა მიხედვითაც ის ლუის გუსტავოს ფაქტობრივად უბრძოლველად თმობდა - ჰოპმა თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მიუნხენურ გრანდს ლანგრით მიართვა. დეკემბრის მიწურულს გერმანულ პრესაში ერთი-ორჯერ კი გავრცელდა ინფორმაცია, თუ „ჰოფე" ლუის გუსტავოს გაუშვებს, რანგნიკი გადადგებაო, მაგრამ სერიოზულად ამის მაინც არავის სჯეროდა.

კვირას „ჰოფენჰაიმის" ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც გაცხადდა, რომ რალფ რანგნიკს მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მარკო პეცაიუოლი** შეცვლის - სპეციალისტი, რომელიც „პროფესორი რალფის" ასისტენტი იყო. 52 წლის რანგნიკმა კი განცხადება პირველ იანვარს, საღამოს დაწერა. არადა, რალფმა „ჰოფენჰაიმთან" ახალი კონტრაქტი მაისში გააფორმა და თავისი ბედი ამ კლუბს 2012 წლამდე დაუკავშირა. „კიკერი" წერს, რანგნიკის გაბრაზების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჰოპმა და „ჰოფენჰაიმის" მენეჯერმა **ერნსტ ტანერმა** ლუის გუსტავოს თაობაზე „ბაიერნის" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები ისე გამართეს, რანგნიკისთვის არაფერი უცნობებიათ.

„ჰოფენჰაიმს" ბოლო წლების ერთ-ერთ უდიდეს სენსაციად რომ მივიჩნევთ, ჰოპის მილიონებთან ერთად, პირველ რიგში, სწორედ რანგნიკის დამსახურებაა. რალფმა ეს გუნდი 2006 წელს ჩაიბარა. მაშინ „ჰოფენჰაიმი" სამხრეთ რეგიონალლიგაში თამაშობდა. „სოფლელებმა" უდიდესი პროგრესი სწორედ „პროფესორი რალფის" ხელში განიცადეს - რანგნიკმა გუნდი ჯერ მეორე, მერე კი პირველ ბუნდესლიგაში გადაიყვანა და ეს სულ რაღაც ორ წელიწადში მოახერხა. ელიტაში კი, პირველივე სეზონში მის მიერ გაწვრთნილმა „ჰოფემ" გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე მოიგო და გერმანიის თასის მეოთხედფინალში გავიდა. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და რალფი „ჰოფენჰაიმის" დამრიგებელი აღარ არის.

რაც შეეხება პეცაიუოლის, სპეციალისტს, რომელიც რანგნიკს შეცვლის. ეს უკანასკნელი რალფის ასისტენტი ზაფხულში გახდა, მანამდე კი გერმანიის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში მუშაობდა. მის სამწვრთნელო კარიერაში უდიდეს მიღწევად 2009 წელს ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის მოგება მიიჩნევა.

### კარგი ამბავი: ჰოფემ ალაბა ინათხოვრა

რანგნიკი მაშინვე გადადგა, როცა „ბაიერნმა" ლუის გუსტავოს ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურა. ბრაზილიელმა რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2015 წლამდე გააფორმა. მიუნხენელებმა „სოფლელებს" ბრაზილიელის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაუხადეს და ლუის გუსტავოს ტრანსფერის დადასტურებასთან ერთად ისიც აღნიშნეს, რომ 18 წლის მარცხენა მცველ **დავიდ ალაბას** სეზონის ბოლომდე „ჰოფენჰაიმში" ანათხოვრებენ.

*„ჩვენ ის კი არ გავყიდეთ, გავანათხოვრეთ. თანაც, მხოლოდ სეზონის ბოლომდე. დავიდ ალაბა უდიდესი ტალანტია, მაგრამ „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თამაში მისთვის ჯერ ძალიან ადრეა. არადა, სათამაშო პრაქტიკა ძალიან სჭირდება. „ჰოფენჰაიმში" ათამაშებენ და ეს ძალიან კარგია,"* - განაცხადა „ბაიერნის" თავკაცმა **ლუის ვან გაალმა** ყატარში გაფრენამდე, სადაც ბავარიულმა გრანდმა მეორე წრისთვის მოსამზადებელი შეკრება დაიწყო.

დავიდ ალაბას ბუნდესლიგაში ხუთი თამაში აქვს ჩატარებული და სხვათა შორის, „ბაიერნის" ფორმა ჩემპიონთა ლიგის ორ შეხვედრაშიც მოარგეს. ალაბა ბოლო დროს „ბაიერნის" მოყვარულებში თამაშობდა.

● ტრანსფერის გამოხმაურება

# მელოდრამის დაგვიანებული დასასრული

**მორჩა, მარტინ დემიკელისი „ბაიერნის" ფეხბურთელი აღარ არის: არგენტინელმა მცველმა მიუნხენი დატოვა და კარიერას ესპანურ „მალაგაში" გააგრძელებს. მიუნხენელებმა ტრანსფერი უკვე ოფიციალურად დაადასტურეს და ისიც თქვეს, რომ „ბაიერნს" დემიკელისი არ გაუნათხოვრებია, როგორც ამას ჩვენი გერმანელი თუ ესპანელი კოლეგები იტყობინებოდნენ - დემიკელისი სრულფასოვანი მალაგელი გახდა, სატრანსფერო თანხას კი ორივე მხარე საიდუმლოდ ტოვებს.**

როცა **მარტინ დემიკელისი** მიუნხენის „ბაიერნში" გადავიდა, რეკორდმაისტერის ღირსებას ისეთი ფეხბურთელები იცავდნენ, როგორებიც იყვნენ **ჯოვანი ელბერი, მეჰმეთ შოლი, ტორსტენ ფინკი, ალექსანდერ ციკლერი** და ა.შ. არგენტინელი უკანახაზელი ახალ თანაგუნდელებს რომ შეუერთდა, პირველ გუნდში ახალი გადაყვანილი იყო თინეიჯერი **ბასტიან შვაინშტაიგერიც**, რომელიც ნელ-ნელა უნდა შეჩვეოდა პირველი გუნდის ატმოსფეროს, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედი ჰქონდათ **კრისტიან ლელსა** და **მიხაელ რენზინგს**, ეს უკანასკნელი კი სულაც მხოლოდ ოცნებობდა, რადგან მაშინ რეკორდმაისტერის კარს თვით **ოლივერ კანი** იცავდა.

ეს ყველაფერი 2003 წელს ხდებოდა და მას მერე, დემიკელისმა „ბაიერნში" შვიდი წელიწადი გაატარა, რაც ნამდვილად არ არის ცოტა. მარტინი ამბობს, მიუნხენში გატარებული წლები ჩემთვის დაუვიწყარიაო, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „ბაიერნიდან" ზაფხულში უნდა წასულიყო. ოთხი ჩემპიონობა, ოთხი თასი და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა - ასეთია დემიკელისის მიუნხენური მონაგარი ხუთი სხვადასხვა მწვრთნელის ხელში.

იყო დრო, როცა „ახალ ბეკენბაუერს" უწოდებდნენ - ეს მაშინ, როცა მას საფეხბურთო გერმანია მხოლოდ გაზეთის ფურცლებიდან იცნობდა. მერე, როცა დემიკელისმა „ბაიერნის" ფორმა მოირგო და თამაში დაიწყო, ყველა მიხვდა, რომ მთლად „ახალ ბეკენბაუერთან" არა, მაგრამ საკმაოდ კარგ, მებრძოლ მცველთან ჰქონდათ საქმე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებაც ძალიან კარგად შეეძლო. თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდში დემიკელისი **ლუსიოსთან** ერთად დაცვაში ძალიან კარგ ტანდემს ქმნიდა და ცოტა აკლდა იქამდე, რომ ბავარიული გრანდის დაცვის ბურჯად მოეხსენიებინათ.

თუმცა დღეს უკვე 30 წლის დემიკელისის კარიერაში ხშირი იყო და არის უსიამოვნო ამბებიც. არგენტინელს არავინ მოუკლავს და არც არავინ უცემია, მაგრამ ერთი სერიოზული პრობლემა კი ყოველთვის ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს: კარგად მხოლოდ მაშინ თამაშობს, როცა უნდა და საქმეც ისაა, რომ ყოველთვის არ უნდა. სწორედ ამის გამო დაატყდებოდა ხოლმე თავს კრიტიკის ქარცეცხლი. ყველაფერთან ერთად, მარტინი ძალიან მგრძნობიარე ადამიანია. არაერთხელ უთქვამს, საკმარისია, ერთი არაზუსტი პასი გავაკეთო, რომ მერე მთელი მატჩის განმავლობაში ცუდად ვგრძნობ თავს, რაც ჩემს თამაშზეც თავისთავად აისახებაო. 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე რომ არ გაუშვეს, ეს მისთვის „სულისშემძვრელი კატასტროფა" იყო, ხოლო 2006 წლის მუნდიალზე რომ არ წაიყვანეს, „სერიოზულად ფიქრობდა თავის მოკვლაზე."



მარტინ დემიკელისმა ბაიერნში შვიდი წელი ითამაშა და კარიერას მალაგაში გააგრძელებს

შესაძლოა, „ბაიერნისა" და არგენტინის გულშემატკივრებს დემიკელისის ასეთი დახასიათება აქამდე არსად წაუკითხავთ და ვერც კი წარმოედგინათ, რომ მარტინის შინაგანი სამყარო საკმაოდ ჩახლართული და მძიმეა, რადგან დემიკელისს არასდროს დასტყობია ის, რომ ძალიან რთული ბავშვობა ჰქონდა, რაც დღემდე მოჰყვება და ცხოვრებაში ბოლომდე კარგად მოლხენის საშუალებას არ აძლევს.

დედა მაშინ გარდაეცვალა, როცა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მამამისმა კი მალევე დაკარგა სამსახური და არგენტინის უმძიმესი ფინანსური კრიზისი მარტინ დემიკელისს ძალიან მაგრად შეეხო. ერთხელ, „ბაიერნის" საშინელი თამაშის შემდეგ თქვა, დღეს ისე ვითამაშეთ, როგორც ჩემს ბავშვობაში არგენტინას უჭირდაო. გერმანიაში სულ ორი დღის ჩამოსული იყო, როცა „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, კითხვაზე, რა განსხვავებაა გერმანიასა და არგენტინას შორის, ასე უპასუხა: *„ქუჩაში ჩხუბი ვერ ვნახე, ორი დღეა აქ ვარ და ქუჩაში არავის უჩხუბია! არგენტინაში კი ეს ჩვეულებრივი ამბავია."*

მარტინისთვის ძალიან რთული მოსასმენი იყო „ბაიერნის" თავკაც **ლუის ვან გაალის** ამასწინანდელი სიტყვები, როცა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა თქვა, დემიკელისზე შემიძლია ვთქვა, რომ აღარ მჭირდება, რადგან ძალიან არასტაბილური გახდაო. მარტინი „ბაიერნზე" შეყვარებულია, რადგან სწორედ ამ გუნდმა „იშვილა" (როგორც თვითონ ამბობს) და შესაბამისად, მიუნხენური კლუბის დატოვება კატასტროფულად უმძიმდა. მაგრამ რაკი ვან გაალმა თქვა, არგენტინელს „ზებენერ შტრასეზე" აღარ დაედგომებოდა. ვერც ჰოლანდიელს გავამტყუნებთ, რადგან დემიკელისმა ბოლო დროს მართლაც ძალიან უმატა შეცდომებს.

დემიკელისს (174 მატჩი ბუნდესლიგაში) „ბაიერნიდან" წასვლას აბსოლუტურად ყველა ექსპერტი უწინასწარმეტყველებდა. განსაკუთრებით მას მერე, რაც ვან გაალი საბოლოოდ გაანაწყენა. ეს ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის პირველ ტურამდე მოხდა: „ვოლფსბურგთან" მატჩის წინა დღეს ვან გაალმა ძირითადი შემადგენლობა ჩამოთვალა და დემიკელისი საუკეთესო თერთმეტეულში მოხსენიებული არ იყო. ამით განრისხებულმა არგენტინელმა თქვა, რომ სათადარიგოთა სკამზეც არ დაჯდებოდა და სწორედ მაშინ დაკარგა ვან გაალის თვალში ბოლო კრედიტი.

ესპანეთში კი დემიკელისის მელოდრამა ბოლოს და ბოლოს დამთავრდება. მარტინს მისთვის უსაყვარლესი მწვრთნელისკენ, **მანუელ პელეგრინისკენ** მიუხარია – „მალაგას" სწორედ ეს უკანასკნელი წვრთნის.

● მოსალოდნელი ტრანსფერი



კევინ კურანის მოსკოვის დინამოსთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული

# ჯეკოს კურანი შეცვლის? რუსებმა, არაო!

## ვოლფსბურგის სამეთვალყურეო საბჭომ ჯეკოს ტრანსფერს მწვანე ერთი პირობით აუნთო

დეკემბრის მიწურულს გაუწყეთ, რომ „მანჩესტერ სიტი" მზადაა, „ვოლფსბურგს" ბოსნიელი გოლეადორის, **ედინ ჯეკოს** სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო გადაუხადოს და რომ ინგლისელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ჯეკო 5 იანვრამდე იყიდონ. სიახლე ჯერჯერობით მხოლოდ ისაა, რომ „ვოლფსბურგი" ესპანურ შეკრებაზე (მარბელიაში) ედინის გარეშე გაფრინდა, მაგრამ მიზეზი იმისა, რის გამოც ბოსნიელი ესპანეთში ვერ გაფრინდა, არა „მანჩესტერ სიტიში" ტრანსფერი ან ინგლისურ კლუბთან მოლაპარაკებები, არამედ ის არის, რომ დიდთოვლობის გამო მისი გაფრენა ვერ მოხერხდა და ჯეკო ბოსნიაში ჩარჩა. „ვოლფსბურგის" ოფიციალური განცხადებით, ედინ ჯეკო სარაევოდან მარბელიასკენ გეზს დღეს აიღებს.

მიუხედავად ამისა, მაინც გაურკვეველია, დარჩება თუ არა ბოსნიელი „ვოლფსბურგში". ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფეხბურთელის მრჩეველი **ირფან რეჯეპაგიჩი** „სიტისთან" კონტრაქტის უკანასკნელ დეტალებს ათანხმებს, გერმანული პრესა იმასაც იტყობინება, რომ „ვოლფსბურგის" სამეთვალყურეო საბჭომ მენეჯერ **დიტერ ჰიონესს** ჯეკოს გაყიდვის ნება დართო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ბოსნიელი თავდამსხმელის ღირსეულ შემცვლელს იყიდის.

ამასობაში, გერმანულ და რუსულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ვოლფსბურგი" მოსკოვის „დინამოს" გერმანელი ფორვარდის, **კევინ კურანის** ყიდვას აპირებს, რაზეც მოსკოვური კლუბის შეფებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. „დინამოს" პრეზიდენტ **იური ისაიევის** თქმით, კურანი არ იყიდება. ყოფილ შალკელს მოსკოველებთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული.

# კლოზე რეალში?

ესპანური გაზეთი „ელ მუნდო დეპორტივო" იტყობინება, რომ მადრიდის „რეალმა" „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელ **მიროსლავ კლოზეს** დაადგა თვალი. „სამეფო გუნდის" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** კლოზეს ტრავმირებული არგენტინელი გოლეადორის, **გონსალო იგუაინის** შემცვლელად მოიაზრებს. ხსენებული გამოცემის ცნობით, მოურინიომ „რეალის" ხელმძღვანელებს ახალი თავდამსხმელის ყიდვა კატეგორიულად მოსთხოვა. იგუაინი ნოემბერში დაშავდა და ახლახან გაირკვა, რომ ლაზარეთში ყოფნა კიდევ სამი თვის მანძილზე მოუწევს. „ელ მუნდო დეპორტივოს" ინფორმაციით, კლოზესთან ერთად, „რეალში" გადასვლის კანდიდატი ფრანკფურტის „აინტრახტის" ბერძენი თავდამსხმელი **თეოფანის გეკასიცაა**.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ბლატერის იდეა

ვერ გეტყვით, უკავშირდება თუ არა 2018 და 2022 წლების მუნდიალების მასპინძელთა დასახელებას, მაგრამ ცოტა საეჭვოდ კი გვეჩვენება, რომ სწორედ ამ მოვლენის შემდეგ გადაწყვიტა თვითონაც არცთუ უმწიკვლო რეპუტაციის მქონე **იოზეპ პლატერმა** ფიფაში ანტიკორუფციული კომიტეტის შექმნა.

"ამაზე პირადად ვიზრუნებ. ანტიკორუფციული კომიტეტის მუშაობის შედეგები ყველას დაარწმუნებს, რომ პატიოსნად ვმუშაობთ და ფიფაში კორუფცია საერთოდ არ არსებობს", - აცხადებს ფიფას პრეზიდენტი.

მან იქვე დასძინა, რომ კომიტეტს შვიდი ან ცხრა წევრი ეყოლება და იგი მხოლოდ საფეხბურთო წრეებში ცნობილი პიროვნებებით კი არა, სხვა სფეროების წარმომადგენლებითაც დაკომპლექტდება.

## ზენიტმა პისაროს დაუძახა

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ "რომამ" **დავიდ პისაროს** გაყიდვაზე უარი განაცხადა, მაგრამ 31 წლის ჩილელმა ნახევარმცველმა "ზენიტისგან" ისეთი ხელსაყრელი შეთავაზება მიიღო, ალბათ, ყველანაირად შეეცდება, რომაული კლუბის შეფობის გადარწმუნებას - სანკტპეტერბურგელები პისაროს წლიურად 4 მილიონ ევროს სთავაზობენ. ეს უკანასკნელი ახლა სამშობლოშია, სადაც ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო პროცესს გადის. იტალიაში იგი 15 იანვრამდე დაბრუნდება.

## ლანსი ბოლონის ჩააბარეს

"ლანსის" ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **ჟან-გი ვალემი** დაითხოვა და მის ნაცვლად ცნობილი რუმინელი **ლასლო ბოლონი** მიიწვია. 57 წლის ბოლონი ბოლოს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მოღვაწეობდა და იქაურ "ალ ვაჰდას" წვრთნიდა, საფრანგეთში მუშაობის გამოცდილება კი საკმაოდ დიდი აქვს. სხვადასხვა დროს მას "ნანსი", "მონაკო" და "რენი" გაუწვრთნია.

დღეისათვის "ლანსი" საფრანგეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება.

## აიალამ კარიერა დაასრულა

**რობერტო ფაბიან აიალამ** საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ მან უკვე შეატყობინა თავის ბოლო კლუბს, არგენტინულ "რასინგს" და მისგან დაბრკოლება არ შეჰქმნია.

37 წლის აიალას არგენტინის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 115 მატჩი აქვს ჩატარებულ. მისი თაობის არგენტინელებიდან ამაზე უკეთეს შედეგს მხოლოდ **ხავიერ ძანეტიმ** მიაღწია. რამდენიმე წლის განმავლობაში აიალა ნაკრების კაპიტანი იყო, 2004 წელს კი ოლიმპიადა მოიგო. სხვადასხვა დროს იგი ისეთი ცნობილი კლუბების ღირსებას იცავდა, როგორებიც "რივერ პლეიტი", "ნაპოლი", "მილანი", "ვალენსია" და "სარაგოსა" არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ინტერვიუ

# ფელიქს მაგათი: ყენიას იმედი მაქვს!

## დესპოტმა ფელიქსმა ლევანს ვარჯიშებზე უდიდესი მონდომება შეატყო




ფელიქს მაგათი იმედოვნებს, რომ ლევან ყენია შალკეს წინა ხაზს მეორე წრეში მნიშვნელოვლად გააძლიერებს

**„შალკემ" გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადება გუშინ დაიწყო და გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა 2011 წელს ჩატარებული პირველი ვარჯიშის შემდეგ „კიკერს" საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მისცა, სადაც „შალკეში" მოსალოდნელ ტრანსფერებზე გულახდილად ისაუბრა. რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, „დესპოტმა ფელიქსმა" ლევან ყენიას შესახებაც ისაუბრა.**

**- ჰერ მაგათ, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ერიკ იენდრიშეკი „შალკეს" დატოვებს. ზაფხულში დიდი იმედით ნაყიდ თავდამსხმელს საკმაოდ მარტივად ელევით. რატომ ვერ გაამართლა მან იმედები?**

- დიახ, იენდრიშეკი დაგვტოვებს. მან „შალკედან" წასვლის სურვილი გამოთქვა, რაც ჩემთვის მისაღებია. მე დღემდე ვფიქრობ, რომ ერიკს „შალკეში" თავის დამკვიდრება შეეძლო, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, რაღაც დააკლდა, ალბათ, უფრო მონდომება. იენდრიშეკის გარდა ჯერ არავის უთქვამს, რომ „შალკედან" წასვლა უნდა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მასთან ერთად კიდევ რამდენიმე მოთამაშე დაგვტოვებს.

**- შეიძენთ თუ არა ახალ ფეხბურთელებს?**

- სიმართლე გითხრათ, არავის ყიდვას ვაპირებთ, მაგრამ გამორიცხულიც არაფერია.

**- „შალკესთვის" ყველაზე პრობლემატური მარცხენა მცველის პოზიციაა...**

- გეთანხმებით, პირველ წრეში ეს პოზიცია ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური იყო, მაგრამ ახალი მარცხენა მცველის ყიდვაზე არ ვფიქრობთ. ლუკას შმიტცის იმედი მაქვს და თანაც, კრისტიან პანდერიც გამოჯანმრთელდა. გვყავს სერხიო ესკუდეროც, რომელსაც გერმანულ ფეხბურთთან შეგუება გაუჭირდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მას მეორე წრეშიც უნდა მივცე შანსი.

**- სათადარიგო მეკარე მათიას შობერს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება. რას აპირებთ?**

- ჯერ არ ვიცი, შობერის საკითხს გაზაფხულამდე გადავწყვეტ. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ საჩქარო არაფერია. ორი აზრი არ არსებობს, მათიასი იდეალური მეორე მეკარეა და ძალიან მინდა, რომ „შალკეში" დარჩეს. მისი მომავალი კი იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები მანუელ ნოიერის გარშემო. სხვათა შორის, ახალგაზრდა ლარს უნერშტალიც ძალიან პერსპექტიული კიპერია.

**- სხვა რეზერვისტების შესახებ რას გვეტყვით?**

- სხვებთან ერთად, თავის გამოჩენა ვერც მარიო გავრანოვიჩმა შეძლო, არადა, ამ ფეხბურთელზე დიდ იმედებს ვამყარებდი და ჯერ კიდევ ვამყარებ. ბოლო დროს ვარჯიშებზე ძალიან მოუმატა და იმედი მაქვს, რომ მეორე წრეში თავს გამოიჩენს. იგივე ეხება ჩიპრიან დეაცსაც, მაგრამ მას გერმანული ენის სწავლა გაუჭირდა, ეს კი სერიოზული პრობლემაა.

**- ამასობაში, ლევან ყენია გამოჯანმრთელდა...**

- ლევანს ერთი წელი გაუცდა და ახლა გუნდის ახალწვეულივითაა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ვარჯიშებზე უდიდესი მონდომება ეტყობა, რაც ძალიან მახარებს. „აუგსბურგთან" სათასო მატჩში განაცხადში პირველად შევიყვანე. მართალია, საუკეთესო ფორმისგან ჯერ შორსაა, მაგრამ უდიდესი გულმოდგინებით ვარჯიშობს და იმედი მაქვს, რომ მეორე წრეში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. სანამ ტრავმას მიიღებდა, ძალიან კარგ ფორმაში იყო და თუ გახსოვთ, მუდმივად ვათამაშებდი. ყენიას დიდი პოტენციალი აქვს და იმედია, მეორე წრეში ჩვენს წინა ხაზს გააძლიერებს.

**- ტიმ ჰოოგლანდი უკვე ჩამოწერილია?**

- არა, ტიმის იმედიც მაქვს. ახლა აცუტო უჩიდა აზიის თასზე ითამაშებს და იმედი მაქვს, რომ ჰოოგლანდი დაცვის მარჯვენა ფლანგზე მას იდეალურად შეცვლის.

**გოტფრიდ ლენცი**

იუვენტუსი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# მაკედა, ჯილა თუ კარაჩოლო?

## დელნერის პირველ რიგში ახალი თავდამსხმელი სჭირდება

*„შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ფედერიკოს გადაბირება თითქმის ყველა იტალიურ გრანდს უნდა. გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ ჩემი კლიენტი იანვარში „ინტერში", „იუვენტუსში", „ფიორენტინაში" ან „ლაციოში" აღმოჩნდეს,"* - ეს სიტყვები „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა იტალიელი თავდამსხმელის, **ფედერიკო მაკედას** აგენტ **ჯოვანი ბიას** ეკუთვნის და სიტუაცია, როგორც ყოველთვის, როცა საქმე იტალიურ ამბავს ეხება, ამჯერადაც ძალიან ჩახლართულია.

განცხადება, რომელსაც ზემოთ გაეცანით, ბიამ „დეილი მირორისთვის" გააკეთა და იქვე დაამატა: *„თუმცა ვაღიარებ, რომ კონკრეტულ მოლაპარაკებამდე საქმე ჯერ არ მისულა."* ფაქტია, რომ იტალიური გრანდები მაკედათი დაინტერესდნენ, ჩვენი იტალიელი კოლეგების ინფორმაციით კი, ყველაზე მეტად „იუვენტუსი" აქტიურობს. ბიას თქმით, ახლა მთავარია, რას იტყვის **სერ ალექს ფერგიუსონი**. მაკედათი დაინტერესება ტურინული გრანდის ბოსებმაც დაადასტურეს, მაგრამ „გაძეტა დელო სპორტში" ვკითხულობთ, „იუვემ" ეს შესაძლოა იმიტომ გააკეთა, რომ „ფიორენტინასთან" მოლაპარაკებები გაუადვილდესო. რა შუაშია „ფიორენტინა"? საქმე ისაა, რომ „ბებერ ქალბატონს" ფლორენციელთა გოლეადორის, **ალბერტო ჯილარდინოს** გადაბირებაც უნდა. უფრო სწორად, „იუვეს" ჯილარდინო მაკედაზე მეტად აინტერესებს.



ალბერტო ჯილარდინო შესაძლოა იუვენტუსში გადავიდეს

„იუვეს" თავკაც **ლუიჯი დელნერის** პირველ რიგში ყოფილი შეგირდის, **ჯამპაოლო პაცინის** გადაბირება უნდოდა, მაგრამ, როგორც ჩვენი იტალიელი კოლეგები იუწყებიან, ამას ვერ შეძლებს, რადგან „სამპდორია" კატეგორიულ უარზეა. დეკემბრის მიწურულს გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ „იუვეს" „ჯენოას" ფორვარდი **ლუკა ტონიც** აინტერესებს, მაგრამ 31 დეკემბრის შემდეგ იტალიაში „ბიანკონერის" ტონით დაინტერესების შესახებ აღარაფერი თქმულა. სამაგიეროდ, „ტუტოსპორტმა" და „გაძეტამ" „იუვენტუსს" „ბრეშას" 29 წლის თავდამსხმელის, **ანდრეა კარაჩოლოს** ბედი დაუკავშირეს...

„იუვენტუსმა" აუცილებლად უნდა გაყიდოს **მომო სისოკო**, რომელიც დელნერის აღარ სჭირდება. ამ უკანასკნელს გელზენკირხენის „შალკეში" ეპატიჟებიან. თუმცა გერმანული კლუბი „იუვენტუსს" ფულის ნაცვლად გაცვლით გარიგებას სთავაზობს და მზადაა, სისოკოს სანაცვლოდ **ივან რაკიტიჩი** დათმოს. ახლა საქმე ისაა, რამდენად სჭირდება „იუვენტუსს" რაკიტიჩი, რომელიც უფრო გამთამაშებელია, ვიდრე საყრდენი ნახევარმცველი. დელნერის კი, ხომ იცით, პლეიმეიქერები არ უყვარს. თანაც, „იუვეს" ფული უფრო სჭირდება, რადგან დელნერის ძალიან მოსწონს **ლუკა ჩიგარინი**, რომელიც საყრდენი ნახევარმცველია და სისოკოს წასვლით გამოწვეულ სიცარიელეს შეავსებდა. ჩიგარინის დელნერი ჯერ კიდევ „ატალანტადან" იცნობს.

მაგრამ დავუბრუნდეთ „იუვენტუსის" მთავარ პრობლემასა და მიზანს. ახალი თავდამსხმელის ყიდვა ორმაგად აქტუალურია მას მერე, რაც ტურინულ გრანდს წინა ხაზში პრობლემები მიეძალა - **კარვალიო ამაურის** შემდეგ, რომელიც კიდევ ერთი კვირა ვერ ივარჯიშებს და უკვე ფაქტია, რომ იტალიის ჩემპიონატის მომდევნო ტურს გამოტოვებს, დაშავდა **ვინჩენცო იაკუინტაც**. უფრო სწორად, ამ უკანასკნელს ტრავმა გაურთულდა - იაკუინტა დეკემბერშიც ტრავმირებული იყო და გამოჯანმრთელდა, მაგრამ პირველივე ვარჯიშზე ისევ დაშავდა. „იუვენტუსის" სამედიცინო შტაბი ვინჩენცოს დიაგნოზს დღეს-ხვალ დაუსვამს, მაგრამ უკვე ფაქტია, რომ იაკუინტა მინიმუმ სამ კვირას დაისვენებს. გადაღლილია **ალესანდრო დელ პიეროც** - „იუვეს" ცოცხალი ლეგენდა 90 წუთს ისედაც ველარ უძლებს ხოლმე და მას მერე, რაც მუხლი იტკინა, მწყობრიდან გამოსულია და დელნერის მისი იმედი ვერ ექნება. ამრიგად, „ბიანკონერის" თავკაცის განკარგულებაში ამ დროისთვის მხოლოდ ორი თავდამსხმელია: **ფაბიო კუალიარელა** და **ნიკოლო ჯანეტი**...

**გოტფრიდ ლენცი**

მილანი

# რონალდინიო: გრემიო თუ ფლამენგო?

ორი აზრი არ არსებობს: **რონალდინიო** „მილანში" აღარ დაბრუნდება! ბრაზილიელი სამშობლოშია და ორ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებებს - რონალდინიო კარიერას ან „გრემიოში" გააგრძელებს, ანაც „ფლამენგოში". ევროპის წამყვანი სპორტული გამოცემები ბრაზილიურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყებოდნენ, რომ რონის „გრემიოსთან" სიტყვიერი შეთანხმება ჰქონდა მიღწეული და ტრანსფერი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ რონალდინიოსთვის ბრძოლაში „ფლამენგოც" აქტიურად ჩაება.

რამდენიმე დღის წინ, „გრემიოს" ხელმძღვანელებმა გაავრცელეს ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რონალდინიოსთან შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ რონის მშობლიურ კლუბში ტრანსფერი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. გუშინ ასეთივე ცნობა „ფლამენგოს" შეფებმაც გაავრცელეს და ისინიც ამტკიცებენ, რონალდინიოს ყველა დეტალზე შევუთანხმდითო. აღსანიშნავია, რომ რონის გადაბირებისთვის ლოს ანჯელეს „გალაქსიც" იბრძვის, მაგრამ ამერიკულ კლუბს ყველაზე მცირე შანსი აქვს.

**გოტფრიდ ლენცი**

რონალდინიო სამშობლოში ბრუნდება






# მანჩესტერი მანჩესტერის ტყავს დახევს

მექსიკელმა ვარსკვლავბიჭუნამ **ხავიერ ერნანდესმა** ამ სეზონში უკვე მერამდენედ მოუტანა „მანჩესტერ იუნაიტედს" ნანატრი ქულები - ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია. მოედანზე მეორე ტაიმის შუაში შესულმა მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე შეაგდო ის გოლი, რომელმაც სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი ლიდერად დატოვა, თუმცა „იუნაიტედის" გამარჯვებას ხინჯი ჰქონდა: **გარი ნევილი** ბოლო იმედის ჯარიმისთვის გასაძევებელიც იყო პენალტიც უნდა დანიშნულიყო. მასპინძელთა სამწუხაროდ, ეს აშკარა რამ „ჰოუთორნზე" ერთადერთმა კაცმა ვერ დაინახა და ის მაინცდამაინც მსაჯი **კრის ფოი** გამოდგა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში მანჩესტერელების პირველი გოლი **უეინ რუნიმ** შეაგდო - ცხრათვიანი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, პენალტის დაუხმარებლად გაიტანა - თუმცა, ბოლოს მოედანი საეჭვო კოჭლობით დატოვა.

*„რთული თამაში გამოდგა. მოედანი საშინლად მოყინული იყო* - თქვა მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა - *დღევანდელ გამარჯვებას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მეორე ტაიმი პირველზე უკეთ ჩავატარეთ. ტრავმების გამო ორი ფეხბურთელის შეცვლა მოგვიხდა".*

ჟურნალისტებმა, რასაკვირველია, ნევილის ეპიზოდზეც ჰკითხეს. ფერგიმ უპასუხა: *„გარის ძალიან გაუმართლა, მოედანზე რომ დატოვეს. რასაკვირველია, პენალტი იყო. თავიდან გავიფიქრე, იქნებ მაინც ბურთს გაკრა ფეხი-მეთქი, მაგრამ ჩანაწერი რომ ვნახე, სალაპარაკო არაფერია".*

კიდევ ერთი კითხვა რუნის ეხებოდა. „იუნაიტედის" მწვრთნელმა ბრძანა: *„ასეთია უეინი. ხანდახან კაცს გეგონება, რომ რამდენიმე კვირა გამოტოვა და თამაშს არის მოწყურებული. ვფიქრობ, დღეს მან უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენა".*

„მანჩესტერ სიტიმ" კი „ნადირის სუნი იგრძნო" და მწევარივით მოსდევს თანაქალაქელს - ახალი წელი ისტლენდელებმა „ბლექპულის" ძლევით დაიწყეს. მეორე მხრივ, ამ შეხვედრას თავისი დრამაც ჰქონდა: **კარლოს ტევესმა** პენალტი ვერ გაიტანა, თუმცა მარტო პენალტს ვინ ჩივის - ორი ისეთი მომენტი გაუშვა ხელიდან, რომ მაყურებელი სახტად დარჩა. ერთ ეპიზოდში ტევესმა მეკარეც კი მოატყუა და დაუცველი კართან პირისპირ დარჩენილი დაეცა. ამ შეხვედრაში ვერ ითამაშა წინა ტურში ჰეთ-თრიკის ავტორმა **მარიო ბალოტელიმ** რომელსაც მუხლი სტკიოდა.

მატჩის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე **რობერტო მანჩინის** ასისტენტი **დევიდ პლატი** წარსდგა. მან თქვა: *„დღეს ერთი სერიოზული წუნი გვქონდა - აშკარა საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. მომდევნო შეხვედრებში ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ტევესმა პენალტი ჯონსონის გოლიდან სამ წუთში ვერ გაიტანა. ამას ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ გოლს მეორეც რომ მიჰყოლოდა, გუნდი სხვანაირად ითამაშებდა".*

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა", რომელშიც ინგლისური ფეხბურთის ვეტერანს **დევიდ ბექჰემს** სურს გადასვლა, ლონდონურ დერბიში „ფულჰემს" აჯობა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **გარეთ ბეილმა** გაიტანა. ეს ამბავი პირველი ტაიმის დასრულებამდე 3 წუთით ადრე მოხდა, როდესაც **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** ჯარიმა დაარტყა, უელსელმა კი ბურთს წაკრა და ხახამშრალი **მარკ შვარცერის** კარში შეაგდო. „სფურზმა" სხვა მომენტებიც გაუშვა ხელიდან, თუმცა ერთ ეპიზოდში თავადაც გადარჩა - **მაიკლ დოუსონმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

„არსენალმა" „ბირმინგემს" სტუმრად მოუგო 3:0 - ლონდონელები მანჩესტერის ორ გუნდს კვალში უდგანან.

*„ძალიან მიხარია, რომ ფიზიკურად ასეთი მძლავრი ფეხბურთი ვაჩვენეთ* - თქვა მატჩის შემდეგ „მეთოფეთა" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** - *გარდა ამისა, დავრწმუნდი, რომ ჩემი გუნდი საჩემპიონო გამოწვევისთვის მენტალურადაც მზად არის".*

„ლივერპულმა" „ბოლტონს" **ჯო კოულის** მიერ 90-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით 2:1 მოუგო.

*„მე კლუბის ახალ მეპატრონეებს ველაპარაკე და მათ მითხრეს, რომ წინა ტურში „ვულვზთან" განცდილი მარცხის გამო მითანაგრძნობენ. რამდენადაც მივხვდი, ისინი მხარს მიჭერენ და ეს ძალიან მახარებს"* - თქვა „ბოლტონთან" მოგების მერე გამოცოცხლებულმა **როი ჰოჯსონმა.**

„ვესტ ჰემმა" 2:0 მოიგო და, როგორც იქნა, ეს ლონდონის გუნდი გასავარდნთა ზონას ასცდა. სამაგიეროდ, ცხრილის ფსკერზე დაეშვა ამ შეხვედრაში დამარცხებული „ვულვერჰემპტონი".

„სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსიმ" და „ასტონ ვილამ" თრილერი მოაწყვეს, განსაკუთრებით შეხვედრის ბოლო წუთებში. თავიდან „ჩელსი" დაწინაურდა - **ფრენკ ლემპარდმა** პენალტი გაიტანა - მერე კი ბირმინგემელებმა გაიტანეს ორი გოლი და ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელს **კარლო ანჩელოტის** ფერიც დააკარგინეს, მაგრამ თამაშის დასრულებამდე 6 წუთი რომ დარჩა, **დიდიე დროგბამ** და **ჯონ ტერიმ** კვლავ „ლურჯები" დააწინაურეს, ოღონდ, თუ გაიფიქრეს კიდეც მოვიგეთო, ძალიან შემცდარან - მსაჯის წამატებულ დროში **კირეან კლარკმა** გოლი შეაგდო და თამაში ფრედ დაასრულა.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

## მომდევნო ტური

4 იანვარი: **ბლექპული-ბირმინგემი, ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი, მანჩესტერ იუნაიტედი-სტოკი;** 5 იანვარი: **არსენალი-მანჩესტერ სიტი, ასტონ ვილა-სანდერლენდი, ნიუკასლი-ვესტ ჰემი, ვულვერჰემპტონი-ჩელსი, ბლექბერნი-ლივერპული, ბოლტონი-უიგანი, ევერტონი-ტოტენჰემი.**

## ვესტ ბრომვ.-მანჩესტერ იუნ. 1:2

**მანჩესტერ სიტი** (4-5-1): კერსონი - რიდი (64. ზუივერლონი), შარნერი, იბანიესი (71. ტჩოი), მ. ჩეხი - მორისონი, დორანსი, მულუმბუ (90. ფორჩუნი), ბრანტი, ტომასი - ოდემვინგე.

**ასტონ ვილა** (4-4-2): კუშჩაკი - გ. ნევილი (71. ფაბიო). ვიდიჩი, რ. ფერდინანდი, ევრა - ანდერსონი, ქერიკი, ობერტანი (61. გიბსონი), დ. ფლეტჩერი - რუნი, ბერბატოვი (61. ერნანდესი).

**გოლები:** 0:1 რუნი (3), 1:1 მორისონი (14), 1:2 ერნანდესი (75)

**ვერ გაიტანა პენალტი:** ოდემვინგე (63-ვესტ ბრომვიჩი)

**გაფრთხილება:** ბრანრი - ერნანდესი, ფაბიო, ვიდიჩი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 9-15; **კარში დარტყმა:** 21-6 (3-4); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 25 499

## ლივერპული-ბოლტონი 2:1

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - გ. ჯონსონი, აგერი (89. კირიაკოსი), შკრტელი, აურელიო - კუიტი, ლუკასი, მეირელეში (21. ჯერარდი), მაქსი როდრიგესი - ჯ. კოული (82. ნგოგი), ტორესი.

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი - რიკეტსი, ნაითი, გ. კეჰილი, ალონსო - როდრიგო (70. კლასნიჩი), მ. დევისი, მუამბა, ტეილორი (82. მ. პეტროვი) - კ. დევისი, ელმანდერი.

**გოლები:** 0:1 კ. დევისი (43), 1:1 ტორესი (49), 2:1 ჯ. კოული (90)

**გაფრთხილება:** აურელიო, ლუკასი - ალონსო, ტეილორი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 13-16; **კარში დარტყმა:** 26-15 (5-4); **თამაშგარე:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 35 400

## მანჩესტერ სიტი-ბლექპული 1:0

**მანჩესტერ სიტი** (4-3-3): ჰარტი - ბოატენგი, ლესკოტი, კომპანი, კოლაროვი (58. საბალეტა) - ი. ტურე (85. ვიეირა), დე იონგი, ბერი - ა. ჯონსონი, სილვა (64. მილნერი), ტევესი.

**ბლექპული** (4-3-3): კინგსონი - ერდლი, ივეტი, კეთკერტი, კრეინი - ადამი, სილვესტი (45. ფილიპსი), ვუგანი - ტეილორ-ფლეტჩერი (74. ორმეროდი), ვერნი (83. ჩერნი), კემპბელი.

**გოლი:** 1:0 ა. ჯონსონი (34)

**ვერ გაიტანა პენალტი:** ტევესი (36-მანჩესტერ სიტი)

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 11-10; **კარში დარტყმა:** 22-9 (3-5); **თამაშგარე:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 47 296

## სტოკი-ევერტონი 2:0

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილკინსონი, ჰიგინბოტემი, შოუკროსი, კოლინზი - პენანტი (59. თუნჩაი), დილეპი, უაიტჰედი, ეზერინგტონი (80. უილანი) - ფულერი (84. უოლტერსი), კ. ჯონსი.

**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი - ფ. ნევილი (66. ენიჩიბე), დისტინი, ჯეგიელკა, ბეინესი - კოულმენი, არტეტა (66. ოსმანი), ტ. კეჰილი, ფელაინი, პიენაარი - საა (80. ბეკფორდი).

**გოლები:** 1:0 კ. ჯონსი (23), 2:0 ჯეგიელკა (69 ს.კ.)

**გაფრთხილება:** კოლინზი, ბეგოვიჩი, უაიტჰედი, დილეპი - ტ. კეჰილი

**კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 13-10; **კარში დარტყმა:** 8-15 (1-2); **თამაშგარე:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 27 418

## სანდერლენდი-ბლექბერნი 3:0

**სანდერლენდი** (4-4-2): გორდონი - ბერდსლი, ა. ფერდინანდი, ბრამბლი, რიჩარდსონი - ალ მუჰამადი (86. ანხელერი), მეილერი, ჰენდერსონი, მოლბრანკი - ბენტი (82. ასამოა), უილბეკი (69. ზენდენი).

**ბლექბერნი** (4-4-2): ბანი - ჰენლი (45. მვარუვარი), ჟივე, ნილსენი, ოლსონი - ე. ჰ დიუფი, პედერსენი, ემერტონი, ჰოილეტი (78. მორისი) - დანი (85. გულონი), მ.ბ. დიუფი.

**გოლები:** 1:0 უილბეკი (11), 2:0 ბენტი (19), 3:0 ასამოა (89)

**გაფრთხილება:** ა. ფერდინანდი - დანი, მ.ბ. დიუფი

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 13-9; **კარში დარტყმა:** 14-11 (4-0); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 36 242

## ტოტენჰემი-ფულჰემი 1:0

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომეში - ჰატონი (27. ჩორლუკა), დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო - ლენონი, მოდრიჩი, პალასიოსი, ბეილი - ვან დერ ვაარტი (83. ჯენასი), პავლიუჩენკო (67. პავლიუჩენკო).

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი - პენტსილი, ჰანგელანდი, ჰიუზი, ბეირდი - დაფი (82. გერა), მერფი, ეტუჰუ, ს. დევისი - დემპსი, ენ. ჯონსონი.

**გოლი:** 1:0 ბეილი (42)

**გაფრთხილება:** დოუსონი, ასუ-ეკოტო - პენტსილი

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 12-11; **კარში დარტყმა:** 15-14 (5-2); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 35 603

## ვესტ ჰემი-ვულვერჰემპტონი 2:0

**ვესტ ჰემი** (4-4-2): გრინი - ბენ-ჰაიმი, აპსონი, ტომკინსი, გებიდონი - სირსი, პარკერი, კოვაჩი, სტანისლასი (70. ნობლი) - პიქვიონი, კოული.

**ვულვერჰემპტონი** (4-5-1): ჰენესი - ზუბარი, ბერა, სტირმენი, ელოკობი (75. ს. ფლეტჩერი) - ჰანტი (75. ედუარდსი), ფოული, მილიაში (87. მ. ბენტი), უორდი, ჯერვისი - ებანკს-ბლეიკი.

**გოლები:** 1:0 ზუბარი (51 ს.კ.), 2:0 სირსი (79)

**გაფრთხილება:** სტირმენი (ვულვერჰემპტონი)

**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 10-15; **კარში დარტყმა:** 13-16 (7-3); **თამაშგარე:** 5-0; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 33 550

## ბირმინგემი-არსენალი 0:3

**ბირმინგემი** (4-5-1): ფოსტერი - კარი, ს. დანი, რ. ჯონსონი, რიჯუელი - ლარსონი, ბიუსეჟური (59. ჰლები), ბოიერი (69. ჟიგიჩი), გარდნერი, ფერგიუსონი - ჯერომი (80. ფილიპსი).

**არსენალი** (4-4-2): ფაბიანსკი - სანია, კოშელნი, ჯურუ, კლიში - უოლკოტი (79. არშავინი), უილშერი (79. დენილსონი), სონგი, ნასრი - ფაბრეგასი, ვან პერსი.

**გოლები:** 0:1 ვან პერსი (13), 0:2 ნასრი (58), 0:3 რ. ჯონსონი (65. ს.კ.)

**გაფრთხილება:** რ. ჯონსონი, რიჯუელი, ს. დანი - ჯურუ

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 8-9; **კარში დარტყმა:** 6-19 (1-11); **თამაშგარე:** 6-0; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 24 341

## ჩელსი-ასტონ ვილა 3:3

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი - ფერეირა (57. ბოსინგვა), ტერი, ბრუმა, ე. კოული - რამირესი (73. კალუ), ესიენი, ლემპარდი - ანელკა (78. სტარიჯი), მალუდა, დროგბა.

**ასტონ ვილა** (4-5-1): ფრიდელი - კუელარი, დანი, კოლინზი, კლარკი - დაუნინგი, რიო-კოკერი, ს. პეტროვი, ე. იანგი, აგბონლაჰორი (85. ოლბრაიტონი) - ჰესკი.

**გოლები:** 1:0 ლემპარდი (23-პენ), 1:1 ე. იანგი (41-პენ), 1:2 ჰესკი (47), 2:2 დროგბა (84), 3:2 ტერი (89), 3:3 კლარკი (90)

**გაფრთხილება:** რამირესი, ტერი - ს. პეტროვი, ფრიდელი, კოლინზი, რიო-კოკერი, აგბონლაჰორი, კლარკი, ჰესკი

**კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 20-13; **კარში დარტყმა:** 21-17 (7-5); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 41 222

## უიგანი-ნიუკასლი 0:1

**უიგანი** (4-4-2): ალ ჰაბსი - სტამი (84. მაკმანამანი), ალკარასი, კოლდუელი, გოჰური - გომესი (60. ბოსელი), უოტსონი, ტომასი (45. მაკარტური), კლივერლი - დიამე, როდალეგა.

**ნიუკასლი** (4-4-2): ჰარპერი - სიმპსონი, კოლოჩინი, ტეილორი, სანჩესი - ბარტონი, ნოლანი (86. სმიტი), ტიოტე, ხონასი - ამეობი (77. ბესტი), ლოვენკრანდსი (70. რუტლიჯი).

**გოლი:** 0:1 ამეობი (19)

**გაფრთხილება:** უოტსონი, კოლდუელი - სიმპსონი, ბარტონი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 15-16; **კარში დარტყმა:** 9-15 (2-4); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 15 277

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 19 | 11 | 8 | 0 | 41:18 | 41 |
| 2. სიტი | 21 | 12 | 5 | 4 | [illegible] | 41 |
| 3. არსენალი | 20 | 12 | 3 | 5 | 42:22 | 39 |
| 4. ტოტენჰემი | 20 | 10 | 6 | 4 | 30:23 | 36 |
| 5. ჩელსი | 20 | 10 | 5 | 5 | 36:18 | 35 |
| 6. სანდერლენდი | 21 | 7 | 9 | 5 | 24:22 | 30 |
| 7. ბოლტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 33:28 | 29 |
| 8. სტოკი | 20 | 8 | 3 | 9 | 25:24 | 27 |
| 9. ლივერპული | 19 | 7 | 4 | 8 | 23:24 | 25 |
| 10. ბლექპული | 18 | 7 | 4 | 7 | 26:30 | 25 |
| 11. ნიუკასლი | 20 | 7 | 4 | 9 | 29:31 | 25 |
| 12. ბლექბერნი | 21 | 7 | 4 | 10 | 26:34 | 25 |
| 13. ევერტონი | 20 | 4 | 10 | 6 | 21:24 | 22 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 20 | 6 | 4 | 10 | 26:36 | 22 |
| 15. ასტონ ვილა | 20 | 5 | 6 | 9 | 23:37 | 21 |
| 16. ვესტ ჰემი | 21 | 4 | 8 | 9 | 22:33 | 20 |
| 17. უიგანი | 20 | 4 | 8 | 8 | 17:32 | 20 |
| 18. ფულჰემი | 20 | 3 | 10 | 7 | 19:24 | 19 |
| 19. ბირმინგემი | 19 | 3 | 10 | 6 | 18:24 | 19 |
| 20. ვულვზი | 20 | 5 | 3 | 12 | 20:34 | 18 |

**ბომბარდირები:** 14 – ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 12 – ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 9 –კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი), ნასრი (არსენალი); 8 - ბენტი (სანდერლენდი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ნოლანი (ნიუკასლი), მალუდა (ჩელსი); 7 – ბეილი (ტოტენჰემი), დევისი (ბოლტონი), შამახი (არსენალი), დროგბა (ჩელსი); 6 –კალუ (ჩელსი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი), ასამოა (სანდერლენდი).

## ჩემპიონშიპი

### XXV ტური

**ლიდსი-მიდლსბრო 1:1**

**გოლები:** 0:1 უიტერი (20), 1:1 ბეკიო (90)

**მილუოლი-კრისტალ პალასი 3:0**

**გოლები:** 1:0 პანჩიონი (8), 2:0 პანჩიონი (65), 3:0 პანჩიონი (71)

**ბრისტოლი-კარდიფი 3:0**

**გოლები:** 1:0 პიტმენი (3), 2:0 ჯონსონი (39), 3:0 კემპბელ-რაისი (55)

**ბარნლი-შეფილდი 4:2**

**გოლები:** 0:1 იეტსი (9), 1:1 იგლზი (29), 2:1 იუელუმო (45), 3:1 როდრიგესი (45), 3:2 ევანსი (47), 4:2 ტომპსონი (85)

**ქოვენთრი-იფსვიჩი 1:1**

**გოლები:** 0:1 ფელონი (44), 1:1 ისტვუდი (48)

**დონკასტერი-სკანტორპი 3:0**

**გოლები:** 1:0 შარპი (26), 2:0 ჰეიტერი (38), 3:0 მილსი (45)

**ჰალი-ლესტერი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვასელი (11)

**ნორვიჩი-ქუინზ პარკი 1:0**

**გოლი:** 1:0 მარტინი (10)

**ნოტინგემი-ბარნსლი 2:2**

**გოლები:** 0:1 ჰილი (17), 0:2 გრეი (50), 1:2 მაკგუგანი (68), 2:2 ტაისონი (80)

**პრესტონი-დერბი 1:2**

**გოლები:** 0:1 პორტერი (70), 0:2 პორტერი (84), 1:2 დევიდსონი (90)

**სუონსი-რედინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 პრეტლი (65)

**უოტფორდი-პორტსმუთი 3:0**

**გოლები:** 1:0 ტეილორი (42), 2:0 სორდელი (52), 3:0 გრემი (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 24 | 13 | 8 | 3 | 42:15 | 47 |
| 2. სუონსი | 25 | 13 | 4 | 8 | 30:23 | 43 |
| 3. ნორვიჩი | 24 | 12 | 6 | 6 | 40:32 | 42 |
| 4. ლიდსი | 25 | 11 | 8 | 6 | 45:41 | 41 |
| 5. კარდიფი | 24 | 12 | 4 | 8 | 38:29 | 40 |
| 6. უოტფორდი | 23 | 10 | 6 | 7 | 45:34 | 36 |
| 7. მილუოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 31:23 | 35 |
| 8. ბარნლი | 23 | 9 | 8 | 6 | 38:31 | 35 |
| 9. ქოვენთრი | 25 | 10 | 5 | 10 | 30:30 | 35 |
| 10. ნოტინგემი | 22 | 8 | 10 | 4 | 31:21 | 34 |
| 11. რედინგი | 24 | 8 | 10 | 6 | 35:26 | 34 |
| 12. დერბი | 24 | 10 | 3 | 11 | 39:35 | 33 |
| 13. დონკასტერი | 22 | 9 | 6 | 7 | 36:35 | 33 |
| 14. ლესტერი | 25 | 9 | 5 | 11 | 34:42 | 32 |
| 15. პორტსმუთი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:34 | 30 |
| 16. ჰალი | 24 | 7 | 9 | 8 | 23:27 | 30 |
| 17. ბრისტოლ სიტი | 24 | 8 | 6 | 10 | 29:35 | 30 |
| 18. ბარნსლი | 23 | 8 | 6 | 9 | 28:34 | 30 |
| 19. იფსვიჩი | 23 | 8 | 4 | 11 | 26:31 | 28 |
| 20. მიდლსბრო | 24 | 7 | 4 | 13 | 25:34 | 25 |
| 21. შეფილდ იუნ. | 24 | 7 | 4 | 13 | 23:39 | 25 |
| 22. სკანთორპი | 22 | 7 | 2 | 13 | 25:38 | 23 |
| 23. კრ. პალასი | 24 | 6 | 4 | 14 | 25:44 | 22 |
| 24. პრესტონი | 23 | 5 | 4 | 14 | 27:44 | 19 |

**ბომბარდირები:** 13 – ბოთროიდი (კარდიფი), კომონსი (დერბი), გრემი (უოტფორდი); 12 – ბეკიო (ლიდსი); 11 - ტაარაბტი (ქუინზ პარკი); 10 - იუელუმო (ბარნლი), მაკგუგანი (ნოტინგემი); 9 - ჰოლტი (ნორვიჩი), მორისონი (მილუოლი), მეკი (ქუინზ პარკი), კინგი (ლესტერი); 8 – ჰემილი (ბარნსლი), ლონგი (რედინგი), სინკლერი (სუონსი), ჰულაჰანი (ნორვიჩი), გრეიდელი (ლიდსი), ჰეიტერი (დონკასტერი).

## პირველი ლიგა

### XXIII ტური

ბრაიტონი-ლეიტონი 5:0, ბრენტფორდი-დაგენჰემი 2:1, კერლისლი-ჰადერსფილდი 2:2, კოლჩესტერი-ჩარლტონი 3:3, ჰარტლპული-ოლდჰემი 4:2, მილტონი-ბრისტოლი 2:0, პლიმუთი-იეოვილი 0:0, როჩდეილი-ტრანმერი 3:2, საუთჰემპტონი-ექსეტერი 4:0, სუინდონი-ბურნმუთი 1:2, უოლსოლი-ნოთს ქაუნთი 0:3. *შეფილდ უენსდი-პიტერბორო გადაიდო.*

## მეორე ლიგა

### XXIII ტური

ბერნეტი-ოლდერშოტი 1:2, ბარტონი-შრუსბერი 0:0, ბერი-მაკლსფილდი 2:2, ჩელტენჰემი-უაიკომბი 1:2, ჩესტერფილდი-სტოკპორტი 4:1, ქრუ-ნორთემპტონი 2:0, ჯილინგემი-სტივენიჯი 1:0, ჰერეფორდი-თორგუეი 2:2, ლინკოლნი-ბრედფორდი 1:2, მორკეიმბი-ეკრინგტონი 1:2, ოქსფორდი-საუთენდი 0:2, როტერჰემი-პორტ ვეილი 5:0.

## კონფერენცია

### XXIV ტური

უიმბლდონი-ჰეიესი 3:1, ელტრინჩემი-ვრექსჰემი 0:0, ბეროუ-საუთპორტი 1:1, კემბრიჯი-ჰისტონი 0:0, ქროულიისტბერნი 3:1, ფლიტვუდი-დარლინგტონი 1:0, გეიტსჰედიიორკი 0:3, გრიმსბი-მენსფილდი 7:2, კეტერინგი-ტემუორთი 0:1, კიდერმინსტერი-ფორესტ გრინი 1:0, ლუტონი-რაშდენი 3:0, ნიუპორტი-ბათი 1:2.

ჩავის რეკორდული მატჩი



# ბედობა: ბარსელონამ ლიდერობა, ჩავიმ რეკორდი

## წლის პირველი გოლი და სენსაცია

„ბარსელონამ“ წვალება, ექსპერიმენტები და 5-ქულიანი ლიდერობა დაიბედა, **ჩავიმ** კი - რეკორდები. არავინ ელოდა, რომ „კამპ ნოუზე“ ჩემპიონს იმ „ლევანტესთან“ გაუჭირდებოდა, რომელსაც წინასაახალწლოდ „რეალმა“ 8:0 მოუგო, მაგრამ ასე კი მოხდა: „ბარსა“ **პედროს** უნდა უმადლოდეს, რომ სძლია ვალენსიურ კლუბს, მადრიდული პრესა არდანიშნულ პენალტზეც კი ალაპარაკდა, თითქოს, **პერეს ლასამ** ვერ დაინახა პირველ ტაიმში **ერიკ აბიდალის** ჯარიმა სტუმარ **ხუანლუზე**. თუმცა ყველაფერს რომ თანმიმდევრულად მივყვეთ, სჯობს...

ეს მატჩი გამორჩეული იყო ჩავისთვის, „ოქროს ბურთის“ კანდიდატმა „ბარსელონას“ მაისურით 549-ე მატჩი ჩაატარა, ეს კი გუნდის 70-80-იანი წლების მცველ **მიგელის** რეკორდის გამეორებაა. თუკი მიგელიმ ამისთვის 20 წელი დახარჯა, ჩავი ჯერ მე-12 სეზონს ატარებს და 30 წლის ნახევარმცველს წინ კიდევ ბევრი მატჩი აქვს, მას ხომ 2016 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი „ბლაუგრანასთან“. **ხოსეპ გვარდიოლას** ერთდროულად ორი ცენტრალური მცველის, **კარლეს პუიოლისა** (ტრავმა) და **ჟერარდ პიკეს** (დისკვალიფიკაცია) გარეშე მოუწია ფონს გასვლამ, არ უთამაშია **ლეო მესისაც**. და აი, ექსპერიმენტიც - დაცვის ცენტრში **ერიკ აბიდალისა** და... **სერხიო ბუსკეტსის** დუეტმა ითამაშა.

ტაიმი უგოლოდ ჩამთავრდა და ამის მიზეზი თავად „ბარსა“ იყო. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიური გრანდი ყველაფერს აკონტროლებდა, ეს ამ გუნდის უცუდესი ტაიმი იყო სეზონში. „რეალთან“ მატჩში **ლუის გარსიას** გუნდის დაცვის ხაზი საბრალო სანახავი იყო, „ლევანტეს“ მცველები ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ, ახლა კი იგივე ფეხბურთელები ძალზე სოლიდურად გამოიყურებოდნენ, კარგად თამაშობდა **მანოლო რეინაც**. სწორედ მან არ მისცა **ანდრეს ინიესტას** ანგარიშის გახსნის საშუალება მე-6 წუთზე. „ბარსა“ უტევდა, მაგრამ კარგად ჩანდა, რომ მესის გარეშე მის შეტევებს რაღაც აკლდა. ის კი არა, კინაღამ „ლევანტე“ დაწინაურდა - **ვიქტორ ვალდესმა** უხეიროდ მოიგერია ბურთი, რომელიც **სისკო ნადალს** მიუვიდა, მისი პასით კი მეკარესთან პირისპირ **რაფა ხორდა** დარჩა, თავდამსხმელმა მაინცდამაინც ვალდესს გაარტყა ბურთი.

დაიწყო მეორე ტაიმი და „კამპ ნოუმ“ შვებით ამოისუნთქა, **დანი ალვეშმა** ჩვეულად შეუტია, ბურთთან განშორება კი გაუჭირდა, მაგრამ როგორლაც ეს მოახერხა და პედრომაც აულებლად დაარტყა. გვარდიოლა მიხვდა, რომ **მასკერანო** მეტისმეტად უკნიდან უტევდა და მის ნაცვლად **ტიაგო ალკანტარა** შეუშვა. სხვათა შორის, ამ ცვლილებამ გაამართლა, „ბარსა“ უკეთ ათამაშდა. ერთი საათის თავზე კი პედრომ დუბლი შეასრულა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ისევ დანი ალვეში იყო ასისტენტი. „მარკამ“ პედროს „დონ პედრო“ უწოდა. აი, ასე - სულ რაღაც 15-იოდე თვეში პედრიტო იქცა „დონ პედროდ“.

მაგრამ ბოლო 10 წუთში მატჩი ისევ დაიძაბა - ვალდესის კარში გოლი შეცვლაზე შესულთა დამსახურებაა - **ვალმირო ვალდოს** პასით **კრისტიან სტუანიმ** დაუმუშავებლად ისე დაარტყა, რომ მასპინძელთა ფანებმაც კი ტაში დაუკრეს - 2:1. დარჩენილ დროში საგოლე მომენტები მხოლოდ „ბარსას“ ჰქონდა...

მატჩის შემდეგ გვარდიოლამ ჩავი შეაქო: *„ჩვენ გვინდოდა მოგვეგო მისთვის. ასე მგონია, მთელი ცხოვრება აქ გავატარე და 300-ზე მეტი მატჩი ძლივს მოვაგროვე. ჩავი კი „ცხოველია“, მას შეუძლია 700-მატჩიანი ნიშნულის მიღწევა“.*

წლის პირველი გოლი პრიმერაში „დეპორტივოს“ ახალგაზრდა ფორვარდმა **ადრიან ლოპეს ალვარესმა** გაიტანა, რომლის ანგარიშზეც გუშინ დუბლი იყო, არადა, სანამ „სან მამესზე“ თავს გამოიჩენდა, ადრიანის მონაგარი სეზონში ორი გოლი იყო. „დეპორტივომ“ კი წლის პირველი სენსაცია გამოაცხო ესპანეთში - ბილბაოში „ატლეტიკს“ 2:1 მოუგო. 22-ე წუთზე ადრიანი **უსტარიცმა** აკრძალული ხერხით შეაჩერა და პენალტი თავად დაზარალებულმა გაიტანა. ამის შემდეგ ჯერ ბასკი **მიკელ სან ხოსე** გააძევეს, მერე სტუმარი - **ხუან როდრიგესი**. მეორე ტაიმის დასაწყისში ადრიანმა, რომელიც ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია, გალისიური კლუბი 2 ბურთის სხვაობით დააწინაურა, ბურთი ოდნავ შეეხო მასპინძელთა მცველს. მატჩის მიწურულს **ფერნანდო ლორენტემ** მასპინძლებს თამაშის გადარჩენის შანსი გაუჩინა, მაგრამ უსტარიცის წითელმა ბარათმა თამაში დაამთავრა, ბასკებმა შინ წააგეს.

**მანუელ პელეგრინის** „მალაგამ“ წელინადი გამარჯვებით დაიწყო, ხიხონში „სპორტინგი“ 2:1 დაამარცხა. ამ თამაშის შემდეგ ჩილელი დილემის წინაშე დადგება - მოგებულ შემადგენლობას კი არ ცვლიან, მაგრამ შემდეგი ტურიდან ხომ ანდალუსიელთა 5 ახალწვეული უნდა ჩაერთოს საქმეში (კვირას მათ თამაშის უფლება არ ჰქონდათ, სატრანსფერო სეზონი ოფიციალურად დღეს გაიხსნა). ასტურიელები პენალტის ნიშნულიდან მათმა საუკეთესო მეგოლე **დიეგო კასტრომ** დააწინაურა. მალაგელებმა **ველიგტონის** წყალობით გაათანაბრეს, ბრაზილიელმა მცველმა **დუდას** ჩაწოდებული გამოიყენა, ხოლო **ელიზეუს** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი **აპონიომ** აქცია გამარჯვების გოლად.

### მომდევნო ტური

8 იანვარი: **მალაგა-ბილბაო, რეალ სოსიედადი-სევილია, დეპორტივო-ბარსელონა**; 9 იანვარი: **ესპანიოლი-სარაგოსა, მალიორკა-ალმერია, ოსასუნა-ხეტაფე, რასინგი-სპორტინგი, რეალი-ვილიარეალი, ლევანტე-ვალენსია**; 10 იანვარი: **ერკულესი-ატლეტიკო**.

### ბილბაო-დეპორტივო 1:2

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, უსტარიცი, კასტილიო (61. გაბილონდო) - დ. ლოპესი (58. სუსაეტა), გურპეგი, ორბაისი, მუნიაინი - ტოკერო (58. ველესი), ფ. ლორენტე.

**დეპორტივო (5-4-1):** არანსუბია - ლაურე, კოლოტო, აიტამი, ლოპო, მ. პაბლო - ხ. როდრიგესი, რ. პერესი, ხ. დომინგესი (83. ჟუკა), ადრიანი (89. პ. ალვარესი) - ლასადი (48. ტომასი).

**გოლები:** 0:1 ადრიანი (22-პენ), 0:2 ადრიანი (52), 1:2 ლორენტე (86)

**გაფრთხილება:** გურპეგი, უსტარიცი - ხ. როდრიგესი, ლაურე, აიტამი

**გაძევება:** სან ხოსე (33), ხ. როდრიგესი (45), უსტარიცი (90)

**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 21-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 38 000

### ბარსელონა-ლევანტე 2:1

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, ბუსკეტსი, აბიდალი, მაქსველი (76. გ. მილიტო) - ჩავი, მასკერანო (48. ტ. ალკანტარა), ინიესტა - პედრო, კრკიჩი (64. კეიტა), ვილია.

**ლევანტე (4-1-4-1):** მ. რეინა - სერა, რობუსტე, ნანო, დელ ორნო - პალიარდო - ნადალი (70. ვალდო), ხ. ტორესი, ლარეა, ხუანლუ (72. მუნიოსი) - რაფა ხორდა (70. სტუანი).

**გოლები:** 1:0 პედრო (47), 2:0 პედრო (59), 2:1 სტუანი (80)

**გაფრთხილება:** კრკიჩი, ბუსკეტსი, ჩავი, კეიტა - ნანო, სტუანი

**კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 22-4 (10-2); **ბურთის ფლობა:** 76%-24%.

**მაყურებელი:** 71 600

### სპორტინგი-მალაგა 1:2

**სპორტინგი (4-2-3-1):** კუელიარი - ლორა, ბოტია, გრეგორი, ანხელი - რივერა, ეგურენი (62. ნ. ნოვო) - დე ლას კუევასი, კარმელო (59. ბილიჩი), დ. კასტრო - სანგოი.

**მალაგა (4-2-3-1):** არნაუ - გამესი, სტადსგაარდი, ველიგტონი, მტილიგა - რესიო, აპონიო - ელიზეუ (87. ფერნანდო), ქუინსი (69. პორტილიო), დუდა - რონდონი (76. ბა).

**გოლები:** 1:0 კასტრო (42-პენ), 1:1 ველიგტონი (45), 1:2 აპონიო (59-პენ)

**გაფრთხილება:** ეგურენი, კუელიარი, ბოტია, დე ლას კუევასი, ბილიჩი - სტადსგაარდი, მტილიგა, ელიზეუ

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 14-6 (6-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 20 000

### სევილია-ოსასუნა 1:0

**სევილია (4-4-1-1):** პალოპი - დაბო, ალექსისი, ესკუდე, ფ. ნავარო (88. კასერესი) - ხ. ნავასი (90. ალფარო), ზოკორა, რომარიკი, კაპელი - კანუტე - ნეგრედო 74. რენატო).

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, სერხიო, ფლანიო, ოიერი - ვადოცი, პუნიალი - ხუანფრანი, სორიანო (65. კიკე სოლა), დამია (71. კალეხა) - არანდა (85. ლეკიჩი).

**გოლი:** 1:0 კანუტე (35)

**გაფრთხილება:** ზოკორა - სორიანო, ოიერი, ვადოცი, პუნიალი, ნელსონი

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 17-22; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 13-7 (5-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 31 000

### ვალენსია-ესპანიოლი 2:1

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - მიგელი (80. ბრუნო), სტანკევიჩიუსი, რ. კოშტა, მატიო - მადურო, მ. თოფალი (67. ბანეგა) - ხოაკინი (58. ვისენტე), მატა, პ. ერნანდესი - ადურისი.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ამატი, ფორლინი, დიდაცი - ბაენა, ხ. მარკესი (65. დატოლო) - ლ. გარსია, ვერდიუ, კალეხონი (80. ს. გარსია) - ოსვალდო (15. ალვარო).

**გოლები:** 1:0 ადურისი (29), 1:1 რ. კოშტა (45-პენ), 2:1 მატა (92)

**გაფრთხილება:** რ. კოშტა, მ. თოფალი - ფორლინი, დიდაცი, დატოლო

**გაძევება:** ადურისი (60)

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 13-15 (8-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 38 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 17 | 15 | 1 | 1 | 53-10 | 46 |
| 2. რეალი | 16 | 13 | 2 | 1 | 39-12 | 41 |
| 3. ვილიარეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 30-14 | 33 |
| 4. ვალენსია | 17 | 9 | 4 | 4 | 26-20 | 31 |
| 5. ესპანიოლი | 17 | 9 | 1 | 7 | 19-24 | 28 |
| 6. ატლეტიკო | 16 | 8 | 2 | 6 | 27-19 | 26 |
| 7. ხეტაფე | 16 | 8 | 2 | 6 | 26-22 | 26 |
| 8. ბილბაო | 17 | 8 | 1 | 8 | 26-29 | 25 |
| 9. სევილია | 17 | 7 | 2 | 8 | 22-27 | 23 |
| 10. სოსიედადი | 16 | 7 | 1 | 8 | 22-26 | 22 |
| 11. მალიორკა | 16 | 6 | 3 | 7 | 16-20 | 21 |
| 12. დეპორტივო | 17 | 5 | 6 | 6 | 15-20 | 21 |
| 13. ერკულესი | 16 | 5 | 4 | 7 | 18-22 | 19 |
| 14. რასინგი | 16 | 5 | 3 | 8 | 13-23 | 18 |
| 15. ოსასუნა | 17 | 4 | 5 | 8 | 15-21 | 17 |
| 16. მალაგა | 17 | 5 | 1 | 11 | 22-36 | 16 |
| 17. ლევანტე | 17 | 4 | 3 | 10 | 19-28 | 15 |
| 18. ალმერია | 16 | 2 | 7 | 7 | 15-25 | 13 |
| 19. სპორტინგი | 17 | 2 | 6 | 9 | 14-26 | 12 |
| 20. რეალი | 16 | 1 | 7 | 8 | 14-27 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - მესი (ბარსელონა), რონალდო (რეალი); 11 - ვილია (ბარსელონა), ფ. ლორენტე (ბილბაო); 10 - ნილმარი (ვილიარეალი); 9 - როსი (ვილიარეალი); 8 - ტრეზეგე (ერკულესი), პედრო (ბარსელონა); 7 - იგუაინი (რეალი), აგუერო (ატლეტიკო), ფ. კაისედო (ლევანტე)

### სეგუნდადივიზიონი

### XVIII ტური

**გრანადა-ალკორკონი 1:0**
**გოლი:** 1:0 ა. გეიხო (63)
**გაძევება:** ნაგორე (71. ალკორკონი), დანი ბენიტესი (90. გრანადა)

**რაიო ვალეკანო-სელტა 1:3**
**გოლები:** 1:0 კოკე (7), 1:1 ამაია (49 ს.კ.), 1:2 დ. როდრიგესი (53), 1:3 დ. როდრიგესი (81)

**ბეტისი-ხიმნასტიკი 1:0**
**გოლი:** 1:0 ემანა (38-პენ)

**ალბასეტე-კორდობა 1:0**
**გოლი:** 1:0 ასენი (78)

**ხირონა-კარტახენა 1:1**
**გოლები:** 1:0 ხ. კასტრო (77), 1:1 ტოჩე (85)

**უელვა-უესკა 0:1**
**გოლი:** 0:1 ოჩოა (75)

**ლას პალმასი-ბარსელონა B 2:2**
**გოლები:** 1:0 ხ. გერერო (27), 1:1 სორიანო (71), 1:2 ნოლიტო (79), 2:2 სამუელი (89)

**პონფერადინა-ნუმანსია 0:4**
**გოლები:** 0:1 ხაიო (9), 0:2 ბარკერო (18), 0:3 გარმენდია (27), 0:4 გარმენდია (47)

**ვალიადოლიდი-ტენერიფე 2:2**
**გოლები:** 1:0 ო. გონსალესი (9), 1:1 ნინო (10), 2:1 ალემანი (25), 2:2 ირიომე (85)

**ვილიარეალი B-ელჩე 1:1**
**გოლები:** 0:1 პალანკა (13), 1:1 გულონი (23)

**სალამანკა-ხერესი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 18 | 13 | 3 | 2 | 42-16 | 42 |
| 2. სელტა | 18 | 10 | 6 | 2 | 32-17 | 36 |
| 3. ვალეკანო | 18 | 10 | 4 | 4 | 29-19 | 34 |
| 4. კარტახენა | 18 | 8 | 5 | 5 | 28-22 | 29 |
| 5. ბარსელონა B | 18 | 7 | 7 | 4 | 28-26 | 28 |
| 6. ხერესი | 17 | 8 | 3 | 6 | 27-24 | 27 |
| 7. გრანადა | 17 | 7 | 5 | 5 | 31-20 | 26 |
| 8. ელჩე | 18 | 6 | 8 | 4 | 17-16 | 26 |
| 9. ვილიარეალი B | 18 | 7 | 4 | 7 | 22-28 | 25 |
| 10. ნუმანსია | 18 | 7 | 3 | 8 | 25-22 | 24 |
| 11. სალამანკა | 17 | 7 | 3 | 7 | 19-20 | 24 |
| 12. ვალიადოლიდი | 18 | 6 | 5 | 7 | 26-26 | 23 |
| 13. ლას პალმასი | 18 | 5 | 7 | 6 | 29-34 | 22 |
| 14. უესკა | 18 | 4 | 9 | 5 | 13-17 | 21 |
| 15. კორდობა | 18 | 4 | 8 | 6 | 22-24 | 20 |
| 16. ალბასეტე | 18 | 4 | 8 | 6 | 16-19 | 20 |
| 17. ხირონა | 18 | 4 | 7 | 7 | 23-25 | 19 |
| 18. უელვა | 18 | 3 | 10 | 5 | 16-19 | 19 |
| 19. ალკორკონი | 18 | 5 | 3 | 10 | 20-27 | 18 |
| 20. პონფერადინა | 18 | 3 | 6 | 9 | 13-33 | 15 |
| 21. ტენერიფე | 17 | 3 | 5 | 9 | 14-28 | 14 |
| 22. ხიმნასტიკი | 18 | 2 | 7 | 9 | 13-23 | 13 |

**ბომბარდირები:** 14 - ა. გეიხო (გრანადა); 12 - ქუინი (ალკორკონი), რ. კასტრო (ბეტისი); 10 - ხ. გუერა (ვალიადოლიდი), არმენტეროსი (რაიო ვალეკანო), ემანა (ბეტისი), ტოჩე (კარტახენა); 9 - დ. როდრიგესი (სელტა); 8 - ხოსე მარი (ხერესი).

# დღეს კაკას დღეა?

**ატლეტიკო-რასინგი 23:00**
**ტრავმა:** დიეგო ფორლანი (?), ხოსე ანტონიო რეიესი -ტონიო, გონსალო კოლსა

**მალიორკა-ერკულესი 23:00**
**ტრავმა:** როისტონ დრენტე (კონფლიქტი), ტოტე, ტიაგო გომეში, ოლივიე ტომერი (ერკულესი)

**ვილიარეალი-ალმერია 23:00**
**დისკვალიფიკაცია:** ვალერი (ალმერია, გუნდიდან წავიდა)
**ტრავმა:** მარკოს სენა, ნილმარი - მიჩელი, მიგელ ანხელ ნიეტო, ერნან პელერანო

**სარაგოსა-რეალ სოსიედადი 23:00**
**დისკვალიფიკაცია:** დიეგო რივასი (სოსიედადი)
**ტრავმა:** იკეჩუკვუ უჩე, ვიქტორ ლაგვარდია, მატეო კონტინი (?) - დიეგო იფრანი (?)

**ხეტაფე-რეალი 01:00**
**ტრავმა:** გონსალო იგუაინი, სერხიო კანალესი (რეალი)

დღის მთავარ ამბავს მადრიდის გარეუბანში უნდა ველოდოთ - ამბობენ, მცირე მადრიდულ დერბიში „სამეფო კლუბს“ **კაკა** დაუბრუნდებაო. ბრაზილიელ ვარსკვლავს „რეალის“ მაისურით მაისის შემდეგ არ უთამაშია. კაკამ საკმაოდ სერიოზული ოპერაცია გადაიტანა მუხლზე და თუკი მას დღეს „ალფონსო პერეს კოლისეუმზე“ ვიხილავთ, ეს ექიმების გრაფიკთან შედარებით ნაადრევი დაბრუნება იქნება. „ასი“ იუწყება, რომ, თუკი ანგარიში ხელს შეუწყობს, **ჟოზე მოურინიო** ბოლო წუთებზე კაკას გამოუშვებს. შეგახსენებთ, რომ კაკა „რეალს“ 65 მილიონ ევროდ ერგო, 29 წლის ბრაზილიელი კი ფაქტობრივად ახლიდან იწყებს კარიერას...

ჟოზემ „ხეტაფესთან“ მატჩისთვის მზადება 1 იანვარს დახურულ ბაზაზე განაახლა. პორტუგალიელ თავკაცს ერთობ ცუდი ამბავი შეატყობინეს საახალწლოდ, როგორც ჩანს, **გონსალო იგუაინი** ოპერაციის გარეშე ვერ მორჩება, ეს კი 3-თვიან იძულებით შესვენებას ნიშნავს. ორივე გუნდმა ძალიან კარგად დაასრულა 2010 წელი - „რეალმა“ ბოლო 11-დან 10 მოიგო (მართალია, ის ერთი და მთავარი სამარცხვინოდ წააგო), ხოლო „ხეტაფე“ ბოლო 8 მატჩია არ დამარცხებულა. შეგახსენებთ, რომ „ხეტაფეს“ **მიჩელი** წვრთნის, „რეალის“ ლეგენდა, რომელიც, რომ არა მოურინიო, **მანუელ პელეგრინის** სავარაუდო შემცვლელად ითვლებოდა.

„რეალის“ რიგებში თამაშობს ფეხბურთელი, რომელმაც ამ გუნდების ბოლო დაპირისპირებაში (4:2 „სამეფო კლუბის“ სასარგებლოდ) „რეალის“ კარში გოლი გაიტანა - **პედრო ლეონი**: *„გასულ სეზონს თუ არ ჩავთვლით, „რეალს“ ყოველთვის უჭირდა „ხეტაფესთან“ ბრძოლა. იმედია, ორშაბათს შარშანდელი გამეორდება“*, - განაცხადა პედრო ლეონმა.

„ვისენტე კალდერონზე“ „ატლეტიკო“ „რასინგს“ მასპინძლობს. **კიკე ფლორესის** მთავარი საფიქრალი **დიეგო ფორლანის** კოჭია. დღეს გაირკვევა, შეძლებს თუ არა მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი თამაშს კანტაბრიელებთან. „ვილიარეალს“ კი „ალმერიასთან“ ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, თუკი **მარკოს სენა** ბოლო დროს ვერ ხვდებოდა სასტარტო შემადგენლობაში, **ნილმარის** ერთი თვით გამოკლება „წყალქვეშა ყვითელი ნავისთვის“ დიდი დარტყმაა, ბრაზილიელი 10 გოლით კლუბის მთავარი მეგოლეა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




კაკამ სრულფასოვნად ივარჯიშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

**სატრანსფერო ციებ-ცხელება**

# დღეს ხსნილია




## ესპანური არმადა ინგლისში

„ნისლიანი ალბიონის“ „ესპანურ არმადას“ კიდევ ერთი წევრი შეემატა - „დეპორტივოს“ 23 წლის მცველი **ადრიან „პისკუ“ გონსალესი** „უიგანში“ გადავიდა. თავიდანვე გეტყვით, რომ ეს ადრიანი თანაკლუბელ **ადრიან ლოპეს ალვარესში** არ აგერიოთ, რომელიც ფორვარდია და გუშინ „ბილბაოს“ კარში დუბლით გამოიჩინა თავი. პისკუს ამ სეზონში ერთი წუთიც არ უთამაშია გალისიურ კლუბში და ვერც ითამაშებდა - საკმაოდ ჩახლართული და უცნაური ამბავია: პისკუს კონტრაქტი „დეპორტივოსთან“ ზაფხულში მთავრდებოდა, კლუბმა კი ის ავტომატურად ერთი სეზონით განაახლა, ისე რომ, ფეხბურთელისთვის არ უკითხავს. ადრიანს ეგონა, გალისიაში არავის ვჭირდებიო და ეგრევე „უიგანის“ ვარჯიშზე გამოცხადდა, სადაც მიწვევა ჰქონდა. ფიფამ ტრანსფერი „გაყინა“ - სანამ მხარეები შეთანხმდებოდნენ და მტყუან-მართალი გაირკვეოდა, პისკუ ოდენ „უიგანში“ ვარჯიშით გადიოდა ფონს. და აი, წლის ბოლოს ფიფამ დაუმტკიცა ესპანელ მცველს თავისუფალი აგენტის სტატუსი და „უიგანმაც“ მასთან ოფიციალურად, სეზონის ბოლომდე გააფორმა ხელშეკრულება.

„ლეტიკსის“ რიგებში ადრიანი 24-ნომრიანი მაისურით ითამაშებს: *„ჩვენ დიდხანს ველოდით ფიფას ვერდიქტს. ძალიან კარგია, რომ ადრიანის ოფიციალურად დამატების საშუალება მოგვეცა. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, რომელსაც „დეპორტივოს“ სკოლა და ესპანეთის ასაკობრივი ნაკრებები აქვს გავლილი“*, - განუცხადა პრესას „უიგანის“ თავკაცმა **რობერტო მარტინესმა**.

ესპანეთიდან ინგლისში მეორე ტრანსფერიც პირობითია - ადრიანი თუ მხოლოდ ვარჯიშობდა „უიგანში“, **ჯერმეინ პენანტი** „სტოკ სიტიში“ თამაშობდა კიდეც, ოღონდ, კვლავ „სარაგოსას“ ეკუთვნოდა. მოხეტიალე ფეხბურთელის ხეტიალის კიდევ ერთი ეტაპი დასრულდა - 1,9 მილიონი ევროს სანაცვლოდ ინგლისურმა გუნდმა პენანტი გამოისყიდა და ახლა ის ნამდვილი სტოკელია.

### პელეგრინის ფულჰაუსი

ამ დროს „მალაგამ“ თითქმის მოამთავრა ზამთრის სატრანსფერო სეზონი: ხუთი საკმაოდ კარგი ფეხბურთელი შეიმატა. ასე რომ, ახალი წლიდან **მანუელ პელეგრინის** გუნდი მნიშვნელოვნად შეიცვლება. პელეგრინიმ გუნდი ყველა პოზიციაზე გააძლიერა - დაიმატა მეკარე **სერხიო ასენხო** „ატლეტიკოდან“ (იჯარა), გამოცდილი არგენტინელი მცველი **მარტინ დემიკელისი** (წყაროები ხან იჯარას ამბობენ, ხან - პირდაპირ ტრანსფერს), არანაკლებ გამოცდილი იტალიელი ნახევარმცველი **ენცო მარესკა**, 20 წლის შუახაზელი „ატლეტიკოდან“ **იგნასიო კამაჩო** (1,5 მილიონი ევრო) და საქვეყნოდ აღიარებული ბრაზილიელი თავდამსხმელი **ჟულიო ბაპტიშტა** „რომადან“ (2 მილიონი ევრო). ვნახოთ, რას გამოადნობს აქედან „რეალის“ ყოფილი თავკაცი.

### მუნდიალის გმირი უკან გააბრუნეს

სანტანდერის „რასინგმა“ უკან, ჩილეში გაუშვა მსოფლიოს ჩემპიონატზე თავგამოჩენილი მცველი **ვალდო პონსე**. საოცარია, მაგრამ მუნდიალის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ვერაფერი აჩვენა კანტაბრიულ კლუბში, სადაც მხოლოდ 2 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ის „ო'ჰიგინსში“ გადავიდა იჯარით, თუმცა ჩილეური კლუბი პონსეს დღედღეზე მექსიკურ „კრუს ასულში“ გაყიდის.

სხვა ტრანსფერებს კი, უბრალოდ, ჩამოვთვლით: „რასინგმა“ 21 წლის ნახევარმცველი **ედუ ბედია** „სალამანკას“ ათხოვა. „პორტუმ“ 22 წლის ნახევარმცველი **ანდრე კასტრო** (რომელიც „ოლანენშეში“ თამაშობდა) ახლა ხიხონის „სპორტინგს“ ათხოვა, სამაგიეროდ პორტუგალიურმა გრანდმა „ალმერიადან“ არგენტინელი შუახაზელი **დიეგო ვალერი** დაიბრუნა, რომელიც ანდალუსიაში იჯარით თამაშობდა.

ოფიციალურად ზამთრის სატრანსფერო სეზონი ევროპაში დღეს გაიხსნა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**შოტლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური**

# სამარ-ასი პროცენტი!




| | |
|---|---|
| **ჰართსი-ჰიბერნიანი** | 1:0 |
| გოლი: 1:0 კაილი (86) | |
| **აბერდინი-დანდი** | 1:1 |
| გოლები: 1:0 მექუაირი (36), 1:1 გუდვილი (90) | |
| **ჰემილტონი-მოზერუელი** | 0:0 |
| **რეინჯერსი-სელტიკი** | 0:2 |
| გოლები: 0:1 სამარასი (62), 0:2 სამარასი (70-პენ) | |
| **სტ. ჯონსტონი-ინვერნესი** | 1:0 |
| გოლი: 1:0 სემუელი (85) | |

სქოთები ახალ წელს „ოლდ ფირმ დერბით“ ანუ „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ თამაშით შეეგებნენ. ამჯერად „სელტიკმა“ გაიმარჯვა - 2:0. ორივე გოლი 25 წლის ბერძენმა გარემარბმა **გეორგიოს სამარასმა** გაიტანა და დაამტკიცა, რომ შოტლანდიის პრემიერლიგაში მთავარ კითხვაზე პასუხამდე ჯერ მეტისმეტად შორია.

ვითარება მართლაც რთულია - „სელტიკი“ ცხრილში 4 ქულით დაწინაურდა, თუმცა „რეინჯერსს“ ორი თამაშით ნაკლები აქვს. ცნობისათვის: ამ შეხვედრაში, „რეინჯერსის“ სასტარტო შემადგენლობაში პირველად ითამაშა 19 წლის **ჯეიმი ნესმა**, რომელიც პირდაპირ „ოლდ ფირმში“ იმიტომ მოხვდა, რომ **სტივენ ნეისმითმა** ორთავა კუნთის ტრავმა დროულად ვერ მოირჩინა. დანაკარგი ჰქონდა „სელტიკსაც“: კაპიტანი **სკოტ ბრაუნი** დისკვალიფიცირებული იყო, ახალშეძენილმა **ფრედი ლიუნგბერგმა** კი ჯერჯერობით გრიპით დაავადება მოასწრო, მეტი ვერაფერი.

თამაშის წინ, გუნდებმა და მათმა ფანებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ერთი მხრივ „რეინჯერსის“ იმ 66 ფანს, რომლებიც ზუსტად 40 წლის წინ „აიბროქსის“ ტრაგედიას ემსხვერპლნენ, მეორე მხრივ კი იმავ „რეინჯერსის“ (და „ლივერპულის“) ყოფილ მცველს, ებრაელ ვარსკვლავ **ავი კოენს**, რომელიც 29 დეკემბერს მოტოკატასტროფაში დაიღუპა.

მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა მწვრთნელმა **ნილ ლენონმა** თქვა: *„დღეს ორ გუნდს შორის განსხვავება სამარასმა განაპირობა. როდესაც ის დღევანდელივით თამაშობს, მისი გაჩერება შეუძლებელია. სამარასი უბრალოდ ძლიერი ან ძალიან ძლიერი კი არა, მსოფლიო კლასის ფეხბურთელია“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 19 | 14 | 3 | 2 | 41:13 | 45 |
| 2. რეინჯერსი | 17 | 13 | 2 | 2 | 39:19 | 41 |
| 3. ჰართსი | 19 | 12 | 3 | 4 | 33:15 | 39 |
| 4. კილმარნოკი | 18 | 8 | 3 | 7 | 30:21 | 27 |
| 5. ინვერნესი | 20 | 7 | 6 | 7 | 30:26 | 27 |
| 6. მოზერუელი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:23 | 24 |
| 7. დანდი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:23 | 21 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 18 | 6 | 3 | 9 | 13:25 | 21 |
| 9. აბერდინი | 19 | 5 | 2 | 12 | 19:38 | 17 |
| 10. ჰიბერნიანი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:32 | 16 |
| 11. სტ. მირენი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:31 | 16 |
| 12. ჰემილტონი | 17 | 2 | 5 | 10 | 11:30 | 11 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 12 - სემონი (კილმარნოკი); 11 – რუნი (ინვერნესი); 10 - გუდვილი (დანდი), ბლექმენი (მოზერუელი); 9 –ჰუპერი (სელტიკი); 8 - რიორდანი (ჰიბერნიანი); 7 – კაილი (ჰართსი), სკაცელი (ჰართსი), ტემპლტონი (ჰართსი); 6 –ჰიგდონი (სენტ მირენი), ვერნონი (აბერდინი); 5 - ნეისმითი (რეინჯერსი), სტოკსი (სელტიკი), ჰეიესი (ინვერნესი), ჰემილი (კილმარნოკი), მაკკოურტი (სელტიკი).

**პორტუგალიური ამბები**

### პორტუგალიელთა რჩეულები

პორტუგალიურმა “პორტუგოლმა” 2010 წლის ლაურეატები დაასახელა. ქვეყნის წლის საუკეთესო კლუბად ლისაბონის “ბენფიკა” აღიარეს, რომელმაც გასულ სეზონში ჩემპიონობა იზეიმა. საუკეთესო ფეხბურთელი, რაღა თქმა უნდა, **კრიშტიანო რონალდო** გახდა, პორტუგალიაში მოთამაშე პორტუგალიელებს შორის კი **ფაბიო კოენტრაო** გამოარჩიეს. პორტუგალიური ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად ერთბაშად სამი დაასახელეს – ბენფიკელი **ლუიზაო** და პორტუელები, **ფალკაო** და **ჰალკი**. საუკეთესო გოლის ავტორი ფალკაო გახდა, გასული წლის საუკეთესო მატჩში კი “პორტუმ” “ბენფიკა” 5:0 გაანადგურა.

### ლიტუშის ნაცვლად აზენია

ახალ წელს უთუოდ ცუდ გუნებაზე შეხვდებოდა “პორტიმონენსეს” ან უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ლიტუში**. კლუბის ხელმძღვანელობამ იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა და მისი ადგილი **კარლუშ აზენიას** გადაულოცა. ამ უკანასკნელის წინაშე მკაფიოდ დასახული ამოცანა დგას – უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება. დღეისათვის “პორტიმონენსეს” სატურნირო მდგომარეობა საგანგაშოა – 16-გუნდიან ელიტაში ბოლოსწინა ადგილზეა, ქვედა ლიგაში კი ორი კლუბივარდება.

აზენიას “პორტუში” **ჟოსუალდო ფერეირას** ასისტენტად უმუშევია, დამოუკიდებლად კი “სეტუბალი” გაუწვრთნია.

### ჟოზეს ასისტენტი ნავალში

ბრაზილიისნაკრებისა და ლისაბონის “ბენფიკას” ყოფილი ცენტრალური მცველი **კარლოს მოზერი** “ნავალის” მწვრთნელად დაინიშნა. მოზერმა თავის დროზე დიდი გამოცდილება “ბენფიკაში” **ჟოზე მოურინიოს** ასისტენტად მუშაობისას მიიღო, რის შემდეგაც ჯერ ანგოლის, ხოლო შემდეგ მაროკოს ეროვნული ნაკრებების თავკაცი იყო. “ნავალის” მდგომარეობა “პორტიმონენსეზე” უარესია – ალბათ მიხვდით, რომ 50 წლის მოზერის ახალი გუნდი ბოლო ადგილზეა. 14 ტურში “ნავალს” ერთადერთი გამარჯვება მოუპოვებია და ხუთიოდე ქულა აქვს.

### პორტუმ ვილას-ბოასი დააფასა

“პორტუს” ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარ მწვრთნელ **ანდრე ვილას-ბოასს** წარმატებული მუშაობა დაუფასა და მოქმედი კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულება ძალაში 2013 წლის ზაფხულამდე იქნება.

ვილას-ბოასმა, რომელიც თავის დროზე “დრაკონებში” ჟოზე მოურინიოს ასისტენტად მუშაობდა, “პორტუ” გასულ ზაფხულს ჩაიბარა და ჯერჯერობით, პორტუგალიის ჩემპიონატში არ დამარცხებულა. 14 ტურის შემდეგ “პორტუ” 12 გამარჯვებითა და 2 ფრით ლიდერობს და უახლოეს მდევარ “ბენფიკას” 8 ქულით უსწრებს, ევროპის ლიგაზე კი მეთექვსმეტედფინალშია გასული.

*“ჩემთვის უდიდესი პატივია, კლუბი ასეთ ნდობას რომ მიცხადებს. ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ “პორტუს” პროგრესი გაგრძელდეს”*, - ამბობს ვილას-ბოასი.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ჭადრაკი



ნანა ძაგნიძე

# ფიდეს საახალწლო რეიტინგი

ტრადიციისამებრ, ფიდემ 2011 წლის პირველი იანვრისთვის გამოაქვეყნა მოჭადრაკეთა საუკეთესო ასეულები. ვაჟთა რეიტინგის სათავეში ისევ ნორვეგიელი **მაგნუს კარლსენია** 2814 პუნქტით. მას 4 პუნქტით ჩამორჩება ინდოელი მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი. 2805 პუნქტით მესამე ადგილზეა სომეხი ლევონ არონიანი. პირველ ათეულში შემდეგ მოდიან: ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2784), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2776), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2775), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2773), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2772), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2764), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2751). 2707 პუნქტით **ბაადურ ჯობავა** 36-ე ადგილზეა. პირველ ასეულში ქართველთაგან მეტი არავინაა.

ქალებსაც უწინდებურად უნგრელი **იუდით პოლგარი** (2686) მეწინავეობს. მეორე ადგილზეა ინდოელი ჰამფი კონერუ (2607). მას ხუთი პუნქტით ჩამორჩება ამჟამინდელი 16 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი). მომდევნო ორ ადგილზე რუსი დები - ტატიანა (2570) და ნადეჟდა (2552) კოსინცევები არიან. კვლავ მეექვსე ადგილზეა **ნანა ძაგნიძე** (2550), თუმცა მან ლიდერებთან სხვაობა საგრძნობლად შეამცირა. მეშვიდე-მეათე ადგილებს ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) , ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2529), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2526) და ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2520) ინაწილებენ.

ჩვენებურთაგან პირველ ასეულში შევიდნენ: 14. **მაია ჩიბურდანიძე** (2502), 35. **ნაზი პაიკიძე** (2455), 42. **სალომე მელია** (2449), 47. **ბელა ხოტენაშვილი** (2440), 48. **ლელა ჯავახიშვილი** (2438), 49. **სოფიკო ხუხაშვილი** (2437), 50. **ნინო ხურციძე** (2436), 71. **ანა მათნაძე** (2397), 73. **ნინო ბაციაშვილი** (2396), 89. **თამარ წერეთელი** (2379), 92. **ინგა ქარხალაშვილი** (2375), 100-101. **ნონა გაფრინდაშვილი** (2362) და **მირანდა მიქაძე** (2362). ბოლო ორი თვის განმავლობაში ძალიან დაწინაურდა ნაზი პაიკიძე, რომელმაც შარშან მოსკოვის ჩემპიონატი და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ლიგის პირველობა მოიგო, სუპერფინალში კი მეოთხე იყო. ამჟამად იგი ქართველთა შორის რეიტინგით მესამეა. სასიამოვნოა ისიც, რომ პირველ ასეულს ისევ დაუბრუნდა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

20-წლიან ვაჟებში იტალიელი **ფაბიანო კარუანა** (2721) ლიდერობს. ქართველთაგან პირველ ოცეულში აქ ვერავის ვხედავთ, რაც ფრიად სამწუხაროა. სამაგიეროდ, ამავე ასაკის გოგონებში, სადაც ჰოუ იფანი მეწინავეობს, სამი ქართველია - 5. ნაზი პაიკიძე, 15. **სოფიკო გურამიშვილი** (2330) და 18. **მერი არაბიძე** (2315).

# სუსტად დაიწყო, კარგად დასრულა

ფრანგულ ბეტიუნში ახალი წლის წინა დღეს დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომლის მთავარ ტურნირში 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი პოლონელმა **ბარტოშ სოჩკომ** დაიკავა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და მეორე-მესამე ადგილები **იულის მუსარმა** (საფრანგეთი) და **თორნიკე სანიკიძემ** გაინაწილეს. ქართველმა მოჭადრაკემ ტურნირი სუსტად კი დაიწყო, მაგრამ ბოლო 6 ტურში 5,5 ქულას მოუყარა თავი. **მალხაზ სულაშვილმა** 6 ქულით მეცხრე-მეცხრამეტე ადგილები (კოეფიციენტით მე-15) გაინაწილა.

ამავე ფესტივალის ქალთა ტურნირში, როგორც გაუწყეთ, **ბელა ხოტენაშვილმა** მე-2 ადგილი დაიკავა. პირველი იყო პოლონელი **მონიკა სოჩკო.**

# ქართველთა დუეტმა იყოჩაღა

სარაგოსაში Stadium Casablanca-ს საჭადრაკო ტურნირზე ქართველმა დიდოსტატებმა - **ანა მათნაძემ** და **სოფიკო გურამიშვილმა** 9 შესაძლებლიდან 6-6 ქულით ქალებში პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს. 5 ქულით მესამე ადგილზე ესპანელი დიდოსტატი **მონიკა გალსეტა** გავიდა. საერთოდ, ტურნირი კი 7,5 ქულით ფიდეს ესპანელმა ოსტატმა **დანიელ ფორსენმა** მოიგო . ამდენივე ქულა მოაგროვა **არტურ კოგანმა** (ისრაელი), რომელსაც უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ხვდა. 7 ქულით **ოლეგ კორნეევმა** (რუსეთი) მესამე ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

## თავგადასავლები

# პუბლიცისტი დემიკო ლოლაძე

## „ფრთხილად, ანდრო!“

1959 წელს საფრანგეთში ბრწყინვალედ ჩატარებული ტურნეს დროს თბილისის დინამოელები პარიზში სასტუმრო „მეტროპოლში“ დაბინავდნენ.

გაიგეს ქართველმა ემიგრანტებმა მათი ადგილსამყოფელი, მივიდნენ სანახავად.

ბატონი ანდრო ჟორდანია ნომრიდან არ გამოდიოდა. მრავალჯერ გადაურჩა რეპრესიებს, ძალიან ფრთხილობდა.

ცხადია, იმ დროს „დინამოს“ უშიშროების თანამშრომლების გარეშე საზღვარგარეთ არ უშვებდნენ. ბოლოს, თავად ემიგრანტებმა მოინდომეს ბატონ ანდროსთან შეხვედრა. ეს ერთ-ერთი მატჩის დამთავრების შემდეგ მოხდა, როცა გამარჯვება რესტორანში აღინიშნა.

ჟორდანია გამოსულა ნომრიდან, ჩასულა რესტორანში, მაგრამ ჩვეულ სიფრთხილეს არ ივიწყებდა. უნდოდა შეუმჩნევლად დამჯდარიყო თავის მაგიდასთან და კედელ-კედელ, ფეხაკრეფით მიდიოდა. მაგრამ ემიგრანტებს რას გამოაპარებ! თურმე ერთმა ნათესავმა ემიგრანტმა მთელი დარბაზის გასაგონად დაუყვირა: „ფრთხილად ანდრო, ფრთხილად! კედელს თავი არ დაარტყა!“

მთელი რესტორანი ოვაციებით შეხვედრია ამ დიდებულ პიროვნებას.

## „ტელეგრამა არ მოგივიდა?!“

ბატონ ანდროს, მიუხედავად იმისა, რომ დიდად ნატანჯი იყო, იუმორის საოცარი გრძნობა ჰქონდა.

ბაქოში, ადგილობრივ „ნეფთჩისთან“ შეხვედრისას კარს ანზორ კვაჭაძე იცავდა. პირველ ტაიმში შორიდან, დაახლოებით 40 მეტრიდან, დარტყმული ბურთი გაუშვა.

შესვენებისას მწვრთნელმა უსაყვედურა:

— ანზორ, იმ სიშორიდან დარტყმული ბურთი რატომ ვერ დაიჭირე?

— რა ჩემი ბრალია, დიმიტრიჩ — ულიმღამოდ იმართლა თავი მეკარემ

არ ველოდი, თორემ მაგის დაჭერას რა უნდოდაო.

— კი, მაგრამ შორიდან დარტყმული ბურთი გოლად არ ითვლება, კაცო?!

— არ ველოდი! — იხტიბარს არ იტეხდა მეკარე.

— შეხედე შენ! — ირონიით უპასუხა ანდრომ, მოწინააღმდეგეს დეპეშა უნდა გამოეგზავნა — არიქა, ვურტყამო?!

შერცხვენილ მეკარეს ხმა აღარ ამოუღია.

## სპორტული „კონცერტები“

ამჟამად დინამოელთა დაცვის ბურჯის, გუნდის კაპიტნის, შესანიშნავი პიროვნების და საინტერესო მოსაუბრის ვლადიმერ ელოშვილის შესახებ ვამზადებ წიგნს.

სწორედ მისი მოგონებებით დავიწყებ, რომელიც წიგნშია შესული.

...1949 წელს ლავრენტი ბერიას მითითებით ლესელიძის ბაზა „დინამოს“ გადასცეს და გუნდი პირველად წავიდა იქ წინა საჩემპიონატო შეკრებაზე.

ახლოს არავინ ცხოვრობდა. ჰყავდათ ერთი მზარეული, დარაჯი და რასაკვირველია — დირექტორი.

თავისუფალ დროს რა უნდა ეკეთებინათ. გუნდში ბევრი ნიჭიერი შემოქმედი ჰყავდათ და „კონცერტებს“ მართავდნენ.

1950 წელს თბილისელებს უკვე მოსკოვის „დინამო“ შეუერთდა. ახალგაზდა ლევ იაშინიც ჩამოიყვანეს და ერთ-ერთი ტრადიციული „კონცერტისას“ ბორის პაიჭაძის გვერდით დასვეს.

ერთი ასეთი ეპიზოდია: ავთანდილ ღოღობერიძე იწყებს „ხორუმს“ გეტრებში, თავზე პირსახოცით. ისეთი შესახედავი ყოფილა, თვალს ვერ მოაშორებდით, თავისებური სტვენა იცოდა. ბორის პაიჭაძე ამაზე სიცილს ვერ იკავებდა.

ვ. ელოშვილმა სკამი გამოიყენა დოლის მაგივრად.

ბასამ ჩაუსტვინა... არავინ გამოდის... კიდევ ჩაუსტვინა, ისევ არავინ ჩანს. ბასამ ველარ მოითმინა და სცენიდან დაუძახა პაიჭაძეს:

— ბორის სოლომონოვიჩ, არ გამოდიან ეს შობელძაღლებიო (მისგან მსგავსი სიტყვა არავის მოუსმენია მანამდე).

არადა, რას გამოვიდოდნენ, თურმე მოულაპარაკებიათ გიორგი ანთაძეს, მიხეილ ჯოჯუას და კაკო თოდრიას — ღოღობერიძე მარტო ვაცეკვოთო და ასეც მოხდა.

ერთ-ერთ „კონცერტს“ დაესწრო რუსი გენერალი, რომელიც სანატორიუმში ისვენებდა თურმე.

დაიდგა „ოტელო“. კაკო თოდრია დეზდემონას ასახიერებდა, მიშა ჯოჯუა — მავრს. სახე სულ ნახშირით ჰქონდა მოსვრილი.

ოტელო-ჯოჯუამ ვრცელი მონოლოგი წაიკითხა, უნდა მივიდეს თავის მსხვერპლთან და ამ დროს ავთო ჭკუასელი ეძახის: „ტოროს მიშა!“



ამას ოტელო-ჯოჯუას ისეთი სიტყვები მოჰყვა, რომელთა ნაწარმოებში შეტანა შექსპირს „დაავიწყდა“.

სცენიდან დეზდემონა-თოდრია ფეხებს შლის და გაჰკივის: — მოდი, თუ მახრჩობ, მოათავე საქმე!

დარბაზში ხარხარია. გენერალი თავის ცოლთან ერთად, ვერ გაერკვა სიტუაციაში და მეორე დღეს იჩივლა — „ვიღაც“ „ხალტურჩიკები“, შარლატანები მაყურებელს ატყუებენო.

თბილისიდან სასწრაფოდ ვიღაც ჩამოვიდა პაიჭაძესთან, იკითხა ვინ მსახიობები იყვნენ გუშინ თქვენთანო? როცა გაიგო, რომ ფეხბურთელები მოსახლეობას ართობდნენ, ბოდიში მოუთხოვია და დაუტოვებია იქაურობა.

## სიზმარი - ცხადში

1966 წელს ინგლისში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთმანეთის პირისპირ უნდა დამდგარიყვნენ პორტუგალიის და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები.

ლონდონში შეხვედრის წინა დღეს, სსრკ-ს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა მურთაზ ხურცილავას დაავალა ტანმაღალი ტორესის მეთვალყურეობა, არადა, მურთაზი დარწმუნებული იყო, რომ ეუსებიოს გაუწევდა პერსონალურ მეთვალყურეობას.

თამაშის წინა ღამე მურთაზმა ნერვიულობაში გაატარა. ესიზმრებოდა 1 მეტრის და 98 სმ სიმაღლის თავდამსხმელი (ტორესი თავის დროზე კალათბურთს თამაშობდა).

დაესიზმრა რომ ხელით ითამაშებდა იმ დროს, როდესაც ტორესს მაღალ ბურთს მიაწოდებდნენ.

სიზმარი, დილით მხოლოდ გიორგი სიჭინავას გაუმხილა, რომელმაც მეგრულად მიაძახა: „არ გააკეთო ეგ ცხადში — შე ამოსაწყვეტო!“

მურთაზმა ვერ შებედა უარი მწვრთნელს, არ იფიქროს შემეშინდაო.

ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში გამოვიდა იგი მოედანზე და ვერც კი მოასწრო დაწყნარება, რომ „თავის“ სიზმარში დაპროგრამებული პენალტი აიკიდა.

მატჩის მე-13 წუთზე გიგანტურ ტორესთან მაღალ ბურთზე ორთაბრძოლაში ბურთი ხელზე მოხვდა (თუმცა მაყურებელთა გარკვეულ რაოდენობას ეგონა, ხელით ითამაშა, რაც სიმართლეს არ შეეფერება), ჩვევად ჰქონდა ხურცილავას, რომ მაღალ ბურთზე ახტომისას ხელებს აღმართავდა ხოლმე) და ინგლისელი მსაჯის დანიშნულმა პენალტმა გარკვეული დაღი დაამჩნია შეხვედრის შემდგომ მსვლელობას. მურთაზი მეტრეველის მიერ გატანილმა საპასუხო გოლმაც ვერ დააწყნარა, თუმცა მის მიმართ არავის სასაყვედურო სიტყვა არ დასცდენია.

მატჩის ბოლოს ტორესმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა და პორტუგალია მესამე ადგილზე გავიდა.

მოდი და ამის შემდეგ ნუ დაუჯერებ სიზმარს.

## „ვინც დაიჭერს, - „მისია“

1965 წლის ივლისში მოსკოვს მსოფლიო ჩემპიონები — ბრაზილიელები ესტუმრნენ.

მთელი საქართველო დაიძრა „ჩვენი უძლეველი და დიადი ქვეყნის“ დედაქალაქისკენ, რათა საკუთარი თვალით გვინდოდა გვენახა პელე, გარინჩა, სანტოსი, ორლანდო, ჟაირი და ძმანი მათნი.

სსრკ ნაკრების მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა ტრადიციული გარჩევისას ფეხბურთელებს უთხრა: „დღევანდელი შეხვედრა, წესით, ჩვენ არ უნდა მოვიგოთ“, რაზეც გაოცებულმა ვალენტინ ივანოვმა ჰკითხა — „რატომ“?

— იმიტომ, რომ მომავალ წელს, მსოფლიოს ჩემპიონატში ოქროს მედლებს მოგვთხოვენ — მოკლედ მოუჭრა მოროზოვმა.

განსაკუთრებით პელეს მეურვეობის საკითხი გააქტიურებულა. ალბერტ შესტერნიოვი ავადმყოფობის გამო არ იყო შემადგენლობაში. მწვრთნელს გიორგი სიჭინავასთვის უკითხავს:

— დაიჭერ პელეს?

გიორგის თავი დაუქნევია — კიო.

პელეზე საუბარი დიდხანს გაგრძელებულა, რის გამოც ვალერი ვორონინს უთქვამს:

— კი, მაგრამ პელეს გარდა სხვა არავინ ითამაშებს?

(ეს ისტორია, იმ დროს იქ მყოფმა ვლადიმერ მარქაიამ მიამბო).

საყოველთაოდ ცნობილია ვ. ბარქაიას ჩვეული ენაკვიმატობა. ჩვეულებისთვის არც მაშინ უღალატია და პატარა „სიჭისთვის“ უთქვამს:

„გაჩერდი ბიჭო, რას დასდევ ამ პელეს? დადექი, უყურე და დატკბი მისი თამაშითო“.

ამ დაუვიწყარ შეხვედრასთან დაკავშირებით ერთი მოარული ამბავია გასახსენებელი.

მატჩის შემდეგ უფროს მწვრთნელს საყვედური გამოუთქვამს, რომ ვერავინ შეძლო პელეს ნეიტრალიზება.

ყველას ერთმანეთისთვის გადაუხედავს, თუმცა ხმა არავის ამოუღია. როცა მოროზოვს ნათქვამი გაუმეორებია გიორგი სიჭინავას ხმა ამოუღია:

— ნიკალაი პეტროვიჩ...

— გისმენთ სიჩინავა.

— ნიკალაი პეტროვიჩ, მე მხოლოდ ერთი კაცი ვიცი, ვისაც პელეს დაჭერა შეუძლია.

მოროზოვს თვალები გაბრწყინებია — ჩქარა თქვი, ვინაა ეს ბედნიერის?

— ბერია... ბერია — ლავრენტი პავლოვიჩი! — სერიოზულად უთქვამს სიჭინავას. ამტყდარა ჟრიამული. სიომა ბარქაიას კი იქვე დაუყოლებია:

— მეგონა ფეხბურთს ვთამაშობდი! (ამით ყველაფერი ითქვა).

... არადა, ყველამ ვიცით და იციან, თუ რა ფეხბურთს თამაშობდა ჩვენი სიომა, მწვანე მინდვრის დიდი ოსტატი.

ერევნის „არარატში“ თამაშობდა სოხუმში დაბადებული და გაზრდილი თავდამსხმელი სარქის ოვივიანი.

ბუნებრივია, საქართველოში გაზრდილმა ჭაბუკმა ქართული შესანიშნავად, რომ იტყვიან, „წყალივით“ იცოდა და ეშმაკი თავდამსხმელი ამას ჩვენების წინააღმდეგ მოხერხებულად იყენებდა-ხოლმე.

მაგალითად, მცველებს დაუყვირებდა ხოლმე:

— გაატარეთ! გაატარეთ, ბურთიო... და ხელსაყრელ პოზიციაში რჩებოდა.

ერთხელ... ორჯერ გაუვიდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩვენებმაც კარგად აითვისეს მისი ეს ეშმაკური „ილეთი“ და ადვილად აღარ ტყუვდებოდნენ.

ერთი ბედნიერი წელია. ჩვენი „დინამო“ ერევანში ხვდება ადგილობრივ „არარატს“, მასპინძლები (მათ სანაქებოდ უნდა ითქვას) თავგამოდებით, ძლიერად უტევენ ჩვენს კარს.

ბურთი მეკარის მოედნისკენ გადააწოდეს და მაშინვე სარქის ოვივიანი იქით გავარდა.

ჩვენმა ლეგენდარულმა მეკარემ ერთ-ერთი შეტევის დროს იგრძნო, რომ ბურთთან ვერ მიასწრებდა ოვივიანს და თუ მოწინააღმდეგე დარტყმას მოასწრებდა, გოლი გარდაუვალი იყო. არც აცია, არც აცხელა:

— სარქის თოლ! — დაუყვირა სომხურად — გაუშვი-მეთქი!

ოვივიანი, რა თქმა უნდა, ვერ ხედავდა, თუ რა ხდებოდა მის უკან და ინსტინქტურად, ეგონა მისი თანაგუნდელი იყო უკეთეს პოზიციაში და მართლაც გაატარა ბურთი.

დანარჩენი სერგოს ტექნიკის საქმე იყო და ბურთი მის ხელებში აღმოჩნდა. რა სიტყვებით შეამკობდა ოვივიანი ჩვენს საყვარელ მეკარეს, - ადვილი გამოსაცნობია. თუმცა ვალში არც კოტრიკაძე დარჩენილა.

სომხური სერგოსაც ეხერხება...

**დემიკო ლოლაძე**

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### ქართველი NBA-ში

# ზაზა, 81:83...

31 დეკემბერს „ატლანტა ჰოქსი“ „ოკლაჰომას“ ესტუმრა და შინ განბილებული გაბრუნდა. მასპინძლებმა პირველივე პერიოდში უჩვენეს, რომ შედარებით უკეთესი გუნდი ჰყავთ - საწყისი მეოთხედი 33:24 მოიგეს. „ატლანტას“ შემტევებს მწყობრად მოთამაშე ოკლაჰომელების წინააღმდეგობის დაძლევა გაუჭირდათ: მეოთხედის ბოლო 4 წუთში მხოლოდ **ზაზა ფაჩულიამ** ჩააგდო ოთხი საჯარიმო და სირენასთან ერთად **ჯამალ კროუფორდმა** სამიანი შეაშველა...

მესამე პერიოდის ბოლომდე ატლანტელებმა მასპინძლებს „კუდში“ სდიეს, მეოთხედის დასრულებამდე 1:53 წუთით ადრე ზაზამ ორქულიანით სხვაობა 5-მდე შეამცირა (75:80), რასაც **ჯონსონის** და კროუფორდის ზუსტი ტყორცნები მოჰყვა (საპასუხოდ **ჰარდენმა** სამქულიანი ჩააგდო).



მეოთხე რაუნდი ფაჩულიამ გახსნა - 81:83. ეს იყო და ეს, მომდევნო 6 წუთში „ატლანტამ“ თამაშიდან ქულა ვერ ჩააგდო, „ოკლაჰომა“ 10:2 წინ გაიჭრა და 93:83 დაწინაურდა. როგორც წესი, მატჩის ბოლო წუთებს „ატლანტა“ ერთი შემადგენლობით ატარებს: ჯონსონი, **ბიბი**, კროუფორდი, **სმიტი**, **ჰორფორდი**. ხუთივე კარგი მსროლელია, თუმცა ამჯერად თამაშის შემოსატრიალებლად ძალა არ ეყოთ.

„ოკლაჰომას“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს **რასელ უესტბრუქმა** (23 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი) და **კევინ დურანტმა** - 33 ქულა. „ატლანტას“ 26 ქულით შეეწია სათადარიგო ჯამალ კროუფორდი. „ოკლაჰომას“ სათადარიგოების მონაგარს რომ გადახედოთ, ნამდვილად შეგშურდებათ: სამმა კალათბურთელმა 26-30 წუთი ითამაშა, ერთმა - 11 წუთი. ცხადია, ყველა მათგანი მწვრთნელის ნდობას გრძნობს და შესაძლებლობების გამოვლენაც არ უჭირს. „ატლანტაში“ კი ერთადერთი სათადარიგოა, რომელსაც მწვრთნელი სათანადოდ ენდობა - კროუფორდმა 37 წუთი ითამაშა, დანარჩენმა ოთხმა შემცვლელმა - 4-დან 15 წუთამდე. მათ ზოგ მატჩში 10-ზე ნაკლები დრო ეძლევათ...

სათადარიგოების არასათანადოდ გამოყენებაზე კი ვლაპარაკობთ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ჰოქსის“ სასტარტო ცენტრად თამაშობს კალათბურთელი, რომელიც სეზონში საშუალოდ 2.2 ქულასა და 2.1 მოხსნას აგროვებს: **ჯეისონ კოლინზი** კარგი ადამიანია, მაგრამ სასტარტოსთვის ზაზა ფაჩულია უფრო გვემეტება. „ოკლაჰომასთან“ კოლინზმა 22 წუთში 4 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა, მაშინ, როცა ფაჩულიას 15 წუთში 8 ქულა, 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა ჰქონდა.

„ატლანტა ჰოქსი“ 2011 წელს მეხუთე ადგილზე (აღმოსავლეთის კონფერენციაში) შეხვდა - 21 მოგება, 14 წაგება. მეოთხეა „ორლანდო“ (21 გამარჯვება, 12 მარცხი).

„ატლანტა“ წლის პირველ მატჩს დღეს გამთენიისას გამართავდა - ლოს ანჯელესში „კლიპერსთან“ უნდა ეთამაშა.

**ოკლაჰომა-ატლანტა 103:94**

ზაზა ფაჩულია: 14:43 წუთი, 8 ქულა (6-დან 2 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი.

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:34 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 02:40 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 02:39 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 19:27) |
| 01:51 | ფოლი: 1 |
| 01:36 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:59 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ, 21:31) |
| **II პერიოდი** | |
| 10:21 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:46 | ჩაჭრა: 1 (კოლისონს ჩაუჭრა) |
| 09:46 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| 01:02 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 03:12 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 01:53 | ორქულიანი: 6ქ (75:80) |
| 01:28 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:43 | ორქულიანი: 8ქ (81:83) |
| 10:51 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 09:26 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 08:39 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 08:38 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:19 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვიქტორ სანიკიძე

# დიდ კაცთან...

**იტალიის ჩემპიონატი**

**მონტეპასკი-ვირტუსი 90:82**

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 12 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 4 ფოლი.

**კანტუ-მილანი 67:59**

მანუჩარ მარკოიშვილს არ უთამაშია (ტრავმა)

ევროპაში საკალათბურთო სეზონი გუშინ, 2 იანვარს განახლდა. **ვიქტორ სანიკიძისა** და **მანუჩარ მარკოიშვილის** გუნდებს სერიოზული გამომცდელები ჰყავდათ: „ვირტუსი“ „მონტეპასკის“ ესტუმრა, „კანტუმ“ „მილანი“ მიიღო. ორივე მეტოქე ევროლიგის წარმომადგენელია.

კანტუელებისა და მილანელების მატჩის საბოლოო ანგარიშს სტატისტიკაშიც იხილავდით. იქვე წერია - მარკოიშვილს ტრავმის გამო არ უთამაშია. მას ფეხის ცერი აქვს დაზიანებული.

ტრავმა სანიკიძესაც აწუხებს - იდაყვი აქვს ნატკენი, თუმცა „მონტეპასკისთან“ მატჩში მან ხელშეხვეულმა ითამაშა. იგი სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა, ვინც მატჩი ნახა, დაგვეთანხმება, რომ ტრავმა ჩვეულად თამაშში ხელს უშლის. ეს მის სათამაშო დროზეც ისახება - „მონტეპასკისთან“ მოედანზე 12 წუთი გაატარა. ვერ ვიტყვით, რომ მთელი ძალით მოთამაშე სანიკიძე გუშინ შეაჩერებდა „მონტეპასკის“, რომელმაც მატჩი სტაბილურად ჩაატარა და მეოთხე პერიოდის დასაწყისში 23-ქულიან უპირატესობას მიაღწია (82:79). მაშინ, როცა ყველას მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონა, **უინსტონმა** და **კოპონენმა** „ყუმბარმტყორცნები“ მოიმარჯვეს, ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე სამქულიანი ჩააგდეს და სხვაობა 11 ქულამდე დაიყვანეს (71:82). მაგრამ, „მონტეპასკი“ იმ მატჩის დამთმობი რომ არ იყო, ესეც ყველას მოეხსენებოდა.

უინსტონმა 26 ქულა ჩააგდო, კოპონენმა - 15. „მონტეპასკის“ მთავარი მექულე **ლავრინოვიჩი** გახდა - 17 ქულა.

დეკემბრის ბოლოს „ვირტუსის“ ხელმძღვანელობამ კალათბურთელებს დიდი წვეულება მოუწყო, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვიქტორ სანიკიძეც ესწრებოდა (იხილეთ ფოტო).

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**ლაგუნ არო-ალიკანტე 56:61**

ნიკა ცქიტიშვილი (ლაგუნ არო): 13 წუთი, 3 მოხსნა, 1 ფოლი.

**ვალიადოლ.-გრან კანარია 73:70**

ტორინ გრინი (გრან კანარია): 23 წუთი, 8 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 2 ფოლი.

**ხუვენტუდი-უნიკახა 89:85**

ქუინტონ ჰოსლი (ხუვენტუდი): 22 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 4 ფოლი.

წარუმატებლად გახსნა 2011 წლის ესპანური ACB საქართველოს ნაკრების ორმა წევრმა. **ნიკა ცქიტიშვილის** „ლაგუნ არომ“ შინ „ალიკანტესთან“ წააგო, ხოლო **ტორინ გრინის** „გრან კანარია“ სტუმრად ვალიადოლიდში დამარცხდა.

მწვრთნელმა ნიკას სათამაშო დრო შეუზღუდა, მხოლოდ 13 წუთი ათამაშა. საკმარისი დრო ერგო გრინს, სტატისტიკაც ნორმალური ჰქონდა (8 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი), მაგრამ მისი მონაგარი გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჩვენი ნაკრების წევრები გუშინ სრული ფიასკოსგან **ქუინტონ ჰოსლიმ** იხსნა. მისმა „ხუვენტუდმა“ მალაგის „უნიკახას“ 89:85 აჯობა. ქუინტონმა გრინის მსგავსად 8 ქულა და 2 პასი მიითვალა.

კატალონიელები („ხუვენტუდი“ სწორედ იქაურია) სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზე არიან (8 გამარჯვება, 6 მარცხი). მომდევნო მერვე-მეთერთმეტე ადგილებს ოთხი გუნდი ინაწილებს, რომელთა შორისაა „ლაგუნ არო“ და „გრან კანარია“. ორივეს 7-7 მოგება-წაგება უწერია.

**გერმანიის ჩემპიონატი**

**გისენი-ფენიქსი 76:92**

ლაშა გამყრელიძე (გისენი): 8 ქულა, 3 პასი, 1 მოხსნა, 5 ფოლი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ჩოგბურთი

# ტატიშვილმა ორი მოგება დაიბედა

მაშინ, როცა მთელი საქართველო ისვენებდა, **ანა ტატიშვილი** (134) ლამის ერთადერთი ქართველი სპორტსმენი იყო, რომელიც სამშობლოსგან შორს ტურნირზე იმყოფებოდა - ანამ 31 დეკემბრიდან მოყოლებული წარმატებით იასპარეზა ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში, სადაც WTA-ს ტურნირის საკვალიფიკაციო ბადის თამაშები მიმდინარეობდა. ჩვენმა 20 წლის თანამემამულემ წარმატებით გადალახა 3 ბარიერი და 220-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში თამაშის უფლება მიიღო. მაშ ასე, ანა ტატიშვილი იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას ასეულისთვის...

ქართველი ჩოგბურთელის პირველი მეტოქე 24 წლის ბელარუსი **დარია კუსტოვა** (161) გახლდათ. ანამ დაძაბულ ბრძოლაში (რაზეც ორი ტაი-ბრეიკი მეტყველებს), მაგრამ ორ სეტში დაამარცხა მოწინააღმდეგე - 7:6 (4), 7:6 (1).

მომდევნო მეტოქე ანას უკვე 2011 წელს ელოდა, 1 იანვარს ბრისბენის კორტზე ქართველის წინააღმდეგ მსოფლიოს 94-ე ჩოგანი (ადრე მე-17-ც ყოფილა) ხორვატი **კაროლინა შპრემი** დადგა. თავიდან ყველაფერი ცუდად დაიწყო, ჩვენებურმა მალევე დათმო სეტი - 2:6, მეორე კი დაიწყო კარგად (3:1), მაგრამ მაინც სულზე



მოუსწრო იშვიათმა ავსტრალიურმა წვიმამ. გუშინ კი ანამ ერთი ამოსუნთქვით აჯობა საკვალიფიკაციო ბადის ფავორიტს - 2:6, 7:5, 6:3 და... ორიოდ საათში კვლავ კორტზე მოუწია გასვლამ. ახლა მისი მეტოქე 20 წლის ჰოლანდიელი **არანჩა რუსი** (139) იყო. ქართველმა, მოულოდნელად, ძალზე იოლად დაამარცხა ჰოლანდიელი და ძირითად ბადეში გავიდა - 6:2, 6:4. მოკლედ, ბედობა დღეს ტატიშვილმა ერთბაშად ორი მოგება დაიბედა.

მაშ ასე, ანა ტატიშვილი წლის პირველივე WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეშია, სადაც პირველი ჩოგანი **სამანტა სტოსური**, ავსტრალიელი, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-6 ადგილზეა. მე-2 ჩოგანი, ისრაელის წარმომადგენელი **შაჰარ პეერი** მსოფლიოს მე-13 ჩოგანია. გაგაცნობთ სხვა განთესილებსაც: 3. **ნადია პეტროვა** (რუსეთი, 15), **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი, 16), 5. **ანასტასია პავლიუჩენკოვა** (რუსეთი, 21), 6. **ფლავია პენეტა** (იტალია, 24), 7. **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი, 25), 8. **ალექსანდრა დულგერუ** (რუმინეთი, 29). კენჭისყრაში ანას გაუმართლდა, რადგან ჩეხი **ბარბორა ზაჰლავოვა-სტრიჩოვა** შეხვდა. 24 წლის ბარბორა მსოფლიოს 67-ე ჩოგანია. სხვათა შორის, თუკი დღეს ანა გაიმარჯვებს, უკვე ცნობილია, ვის შეხვდება მერვედფინალში - ეს არის 19 წლის ავსტრალიელი **სალი პეერსი** (154), რომელმაც გუშინ რუსი კლეიბანოვა გამოთიშა - 3:6, 6:4, 6:3. თუკი საქართველოს პირველი ჩოგანი I რაუნდს გაივლის, 30 სარეიტინგო ქულას და 2,9 ათას დოლარს მიიღებს, II რაუნდის დაძლევის შემთხვევაში კი 70 ქულას და 5,3 ათას დოლარს მიიღებს. ახლა კი მან 17 ქულა და 1,7 ათასი დოლარი გაინაღდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

თარაზულად: 1. მეკლდეურობა; 8. პრესკონფერენცია; 9. "როტორი"; 10. კაჩალინი; 13. ანანდი; 14. ლიოვი; 17. აბუ დაბი; 18. კროსი; 20. ვოლჩკოვი; 22. ტარნატი; 23. ორი; 25. ბაია; 27. ესპანეთი; 28. ტონი; 29. ბეკი; 30. იტალია; 31. ბუცი.

შვეულად: 2. ევერტი; 3. ლა კორუნია; 4. რაევაცი; 5. "ბრედა"; 6. სმირნოვი; 7. აპერტურა; 11. ლაინსმენი; 12. ანდიევი; 15. დუბლი; 16. კრატასიუკი; 19. თუშიშვილი; 20. ვენგერი; 21. კორჩნოი; 24. აპია; 25. ბიბა; 26. კოკუ.

### წრეთაშორისი ზომა-წონა

# შსს და არმია ივსებიან

პირველი წრის შემდეგ სუპერლიგის კლუბებმა საკუთარი შესაძლებლობები კარგად აწონ-დაწონეს და ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, გაძლიერებაზეც იზრუნა. დღეს რასაც დავწერთ, ზოგი ტრანსფერი გადაწყვეტილია, ზოგი ჯერაც მოლაპარაკების სტადიაშია და ამიტომ ვამბობთ: გადადის, აფორმებს და ა.შ...

წრის ჩემპიონი „არმიაა“, რომელსაც წინა ხაზში პრობლემა არ შექმნია, არც უკანახაზელები ჩამოუვარდებიან ვინმეს, **კოტე ტულუში**, **ანატოლი ბოისა** და **გივი ბაქრაძე** ღირსეულად უმკლავდებოდნენ მეტოქეებს, თუმცა მწვრთნელმა, **ლევან მოსეშვილმა** საჭიროდ ჩათვალა „ქუთაისის“ უკანახაზელის **ბუბა ბერიშვილის** დამატება. იგი ქუთაისელთა ლიდერი იყო და „არმიას“ დიდად წაადგება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ბერიშვილის წასვლით „ქუთაისი“ სერიოზულად დასუსტდება. იმედი დავიტოვოთ, რომ იმერლები ბუბას შემცვლელს მალე იპოვიან. შეიძლება მწვრთნელ **მალხაზ კოხრეიძეს თემურ ბაბუნაშვილის** იმედი აქვს, რომელსაც რუსეთის ნაკრებში თამაშით დიდი გამოცდილება აქვს შეძენილი და პირველ წრეში ტრავმის გამო არასრულად იტვირთებოდა.

აქვე უნდა დავამატოთ: „არმია“ გუშინ სლოვენიაში გაემგზავრა და თან ბუბა ბერიშვილი იახლა. გუნდი ამჟამად ლაშკოშია. ამ ქალაქის გუნდ „პივოვარნაში“ (ამჟამად „ზლატოროგი“) არმიელთა ცენტრი **დავით უგრეხელიძე** თამაშობდა.

ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა რუსთავის „ენერჯი“, რომელიც იმის ნაცვლად, რომ გაძლიერებულიყო, მეორე წრის წინ დასუსტდა - გუნდი დატოვა უკანახაზელმა **ბექა წივწივაძემ**, რომელმაც შსს-ს მიაშურა. ჯერჯერობით საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი **ჟულიენ ტუჯანის** საკითხი. მასაც შსს ეპატიჟება. აქვე იმედი დავიტოვოთ, რომ „ენერჯი“ ამ ორი კალათბურთელის შემცვლელებზე სათანადოდ იზრუნებს და ფავორიტიდან აუტსაიდერად არ იქცევა.

ახლა იანვრის მთავარ ტრანსფერზე: შსს-ს ხელმძღვანელობამ თავისთან იხმო საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთელი **დავით უსტიაშვილი**, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში „ბათუმს“ ხელმძღვანელობდა. მანამდე რუსთავის „ენერჯის“ სამჯერ მოაგებინა ჩემპიონობა. დავით უსტიაშვილი და **არჩილ ჟღენტი** შსს-ში მწვრთნელთა დუეტს შექმნიან.

დეკემბრის ბოლო დღეებში განხორციელდა კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერი: **მიხეილ ბერიშვილი** „არმიადან“ თსუ-ში გადავიდა. იგი უკვე სტუდენტებთან ვარჯიშობს. შეგახსენებთ, რომ სამი წლის წინათ მიშა სწორედ თსუ-ს ღირსებას იცავდა. შემდეგ „ვითაში“ თამაშობდა, საიდანაც „აგრარულში“ გადავიდა, ხოლო გასულ სეზონში ესპანური „არიდანეს“ ღირსებას იცავდა. მიშა სეზონის დასაწყისში „არმიაში“ ჩაირიცხა, თუმცა სათამაშო დრო მეტად შეზღუდული ჰქონდა და მისივე კარიერისთვის ისეთი კლუბის მოძიება იყო აუცილებელი, სადაც სათანადო დრო გამოუჩნდებოდა. თავის მხრივ, თსუ-ს ტანმაღალი ფორვარდი ნამდვილად სჭირდებოდა. მიშა გუნდს პერიმეტრიდანაც დაეხმარება და მოხსნებშიც.

რამდენიმე სიტყვა „სოხუმზეც“ უნდა ვთქვათ. გუნდი შეკრებისთვის ანტალიაში აპირებს წასვლას. სოხუმელებს გამოაკლდათ ლიტველი **პეტრას ბალოჩკა**, რომელმაც საფრანგეთის ქვედა ლიგის გუნდს მიაშურა - სეზონის დასკვნით მონაკვეთს კლუბ „ლიევენში“ გაატარებს. სავარაუდოდ, გუნდში აღარ ითამაშებს ამერიკელი **მაიკ მაქქერი**...

იანვარში კიდევ არაერთი შიდა ტრანსფერი განხორციელდება და იმედი დავიტოვოთ, რომ ახალ ლეგიონერებსაც ვიხილავთ.



**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერები



მამუკა გორგოძე (ბურთით) და მის გვერდით გოდერძი შველიძე

# გორგოძე ტურის სიმბოლურშია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-14 ტურის შეხვედრები ახალი წლის წინა დღეს გაიმართა. ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან სამმა მოიგო, ორმა წააგო და ერთმაც ფრეს მიაღწია. ისევ ბრწყინვალედ ითამაშა "მონპელიემ" და მისმა ლიდერმა **მამუკა გორგოძემ**, რომელიც ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

მონპელიელებმა მე-14 ტურში ბასკურ "ბიარიცს" უმასპინძლეს და 22:16 მოუგეს. ჩვენებურთა გუნდი პირველ ტაიმში დიდ უპირატესობას ფლობდა და 16 ქულის სხვაობით 19:3 მოიგო. მეორე ნახევრაში ბასკები, რომლებსაც დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ, უფრო თამამად და სწრაფად ათამაშდნენ. შედეგად, "მონპელიემ" თავის მონაგარს მხოლოდ 3 ქულა შემატა, მაშინ, როცა ბასკებმა 13 ქულას მოუყარეს თავი.

"ბიარიცის" შეტევებს მასპინძლები მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ: "მონპელიემ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება ლიდერების ფულენსე უოდრაოგოსა და მამუკა გორგოძის შესანიშნავი, უნარიანი თამაშის წყალობით შეძლეს" – წერს ფრანგული ყოველდღიური სარაგბო გაზეთი "მიდი ოლიმპიკი".

"მონპელიემ" ამ გამარჯვების შემდეგ 45 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდს, წესით, პლეი ოფში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა სასურველი იქნება, რეგულარული გათამაშება პირველ ან მეორე ადგილზე დაასრულოს, რაც საშუალებას მისცემს პირდაპირ ნახევარფინალში იასპარეზოს.

გორგოძემ და **გიორგი ჟღენტმა** "ბიარიცთან" სრულად ითამაშეს, **გოდერძი შველიძე** თამაშში 33-ე წუთიდან ჩაერთო, **გიორგი ჩხაიძე** და **მიხეილ ნარიაშვილი** განაცხადში არ იყვნენ.

ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან, "მონპელიეს" შემდეგ, ყველაზე უკეთესი სატურნირო მდგომარეობა **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** "კასტრს" აქვს. კასტრელებმა მეორე წრის პირველ მატჩში ერთ-ერთ აუტსაიდერ, "ლა როშელს" უმასპინძლეს და 25:10 მოუგეს.

ჩვენებურთა გუნდმა მეტოქე პირველ ტაიმში მშრალი ანგარიშით დაამარცხა – 18:0. "ლა როშელმა" მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოიღო ხელი, თუმცა გვიანღა იყო. აღსანიშნავია, რომ "კასტრის" სამოელმა მეორეხაზელმა **იოსეფა ტიკორიმ** სამი ლელო მიითვალა.

"კასტრს" ახლა 39 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა. ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო, გიორგაძეს არ უთამაშია.

"კასტრს" ერთი ქულით ჩამორჩება და მე-6 ადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონი". საფრანგეთის ჩემპიონმა შარშანდელ ფინალისტ "პერპინიანს" უმასპინძლა და 22:16 მოუგო.

აღსანიშნავია, რომ კატალონიელებმა მასპინძლები პირველ ტაიმში 13:9 დაამარცხეს. "ვულკანებმა" მეორე ნახევარში უფრო აქტიურად, მეტი შემართებით ითამაშეს და შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად დაძაბუნებულ მეტოქეს გამარჯვება ხელიდან გამოსტაცეს.

თამაშს სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. ვულკანების" კანადელმა მეორეხაზელმა **ჯიმი კუდმორმა** მეტოქეს, **გრეგორი ლე კორეკს** განზრახ უხეში თამშით ტრავმა მიაყენა და ახლა სერიოზული სასჯელი ელოდება. საქმე იმაშია, რომ კუდმორს 10-კვირიანი დისკვალიფიკაციის ვადა ახლახან ამოეწურა. თანაც კანადელი პირველად არ არის ლე კორეკს რომ ერჩის.

2010 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის დავით ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 74-ე წუთზე შეცვალეს.

პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის კიდევ ერთი ქართველის, **დავით ქუბრიაშვილის** "ტულონი". ჩვენებურის გუნდს ამჯერად არ გაუმართლა და სტუმრად ბასკურ "ბაიონთან" დამარცხდა – 9:20. ტულონელებმა პირველი ტაიმი მხოლოდ ორი ქულის სხვაობით წააგეს – 6:8, თამაშის მოგება სავსებით შესაძლებელი იყო, თუმცა "ტულონის" მწვრთნელმა **ფილიპ სენ-ანდრემ** უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. შესვენებაზე მან ორი ცვლილება განახორციელა. მოედანი **ჯონი ვილკინსონმა** და დავით ქუბრიაშვილმა დატოვეს. შედეგად, როგორც ვთქვით, სტუმრებმა 9:20 წააგეს.

"ტულონს" ახლა 36 ქულა აქვს და მე-8 ადგილზეა. ამბიციური მულტიმილიონერი მეპატრონის, **მურად ბურჯელალის** გუნდს პლეი ოფში გასაღწევად დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

**დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** "ბრივი" დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ბრიველებს უმძიმესი ბრძოლა გადახდათ პარიზში, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ "მეტრო რასინგთან". ჩვენებურთა გუნდმა ლიდერთან ფრე გაახერხა – 6:6.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს, კაკოვინი განაცხადში არ იყო.

საკმაოდ რთული სატურნირო მდგომარეობა აქვს **ანტონ ფეიქრიშვილის** "აჟენსაც", რომელმაც შინ წააგო გათამაშების ლიდერ "ტულუზთან" – 8:25. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**XIV ტური**

**მონპელიე-ბიარიცი 22:16, ბაიონი-ტულონი 20:9, აჟენი-ტულუზი 8:25, კასტრი-ლა როშელი 25:10, ბურგენი-სტად ფრანსე 16:26, მეტრო რასინგი-ბრივი 6:6, კლერმონი-პერპინიანი 22:16.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1.ტულუზი – 47 ქულა, 2. მონპელიე – 45, 3. მეტრო რასინგი – 41, 4. ბიარიცი – 39, 5. კასტრი – 39, 6. კლერმონი – 38, 7. ბაიონი – 36, 8. ტულონი – 36, 9. სტად ფრანსე – 33, 10. პერპინიანი – 29, 11. ბრივი – 21, 12. აჟენი – 20, 13. ლა როშელი – 19, 14. ბურგუენი – 10.

**XV ტური**

ტულონი-ბიარიცი, პერპინიანი-ბრივი, აჟენი-ბაიონი, კლერმონი-ბურგუენი, ლა როშელი-სტად ფრანსე, მეტრო რასინგი-მონპელიე, ტულუზი-კასტრი.



დავით ზირაქაშვილი

3 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

## 1967 წელი

ამ დღეს დაიბადა სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ფრანსუა პინარი.** შერკინების მესამეხაზელმა "ბოკეს" შემადგენლობაში 29 კეპი მოიხვეჭა. მის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 1995 წლის მსოფლიო თასის მოგება იყო. მაშინ სამხრეთ აფრიკაში გამართულ შეჯიბრებაში "ბოკემ" ფინალში ახალი ზელანდიის ნაკრები დაამარცხა 15:12.

"ვებ ელისის" სახელობის მსოფლიო თასი პინარს სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ გადასცა. ამ ფაქტის ამსახველი ფოტო ლამის მსოფლიო სპორტის ხატად გადაიქცა.

პინარმა კარიერა "ტრანსვაალში" დაიწყო და ამ გუნდთან ერთად „ქარის თასს" ათჯერ დაეუფლა. მისი სანაკრებო კარიერა კი სამარცხვინოდ დასრულდა. 1996 წელს "ბოკეს" მწვრთნელმა **ანდრე მარკგრაფმა** პინარს კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა. ამის შემდეგ ფრანსუა ინგლისში გადაბარგდა და რაგბის თამაში იქაურ "სარასენზში" 2000 წელს დაასრულა.

## 1892 წელი

ინგლისის ნაკრებმა სეზონი წარმატებით დაიწყო. ბლეკჰიტში "პომებმა" უელსის ნაკრები მშრალი ანგარიშით 17:0 დაამარცხეს.

## 1911 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა საერთაშორისო მატჩებში პირველი გამარჯვება მოიპოვა. "ლე ბლემ" პარიზში მინიმალური სხვაობით – 16:15 დაამარცხა შოტლანდიის ეროვნული გუნდი.

## 1932 წელი

სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ინგლისის ეროვნულ გუნდს "თვიქნემზე" 7:0 მოუგო. მატჩში ერთადერთი ლელო **გარი ბრენდმა** გაიტანა.

## 1941 წელი

გერმანელების მიერ დამბომბილ კარდიფში საგრძნობლად დაზიანდა უელსელთა მთავარი სარაგბო არენა "არმს პარკი".

## 1982 წელი

ინგლისის ნაკრებმა ერიკ როუსა და ბილ ბეომონტის ბრწყინვალე თამაშის წყალობით "თვიქნემზე" ავსტრალიის ეროვნულ გუნდს პირველი ტაიმი 15:11 მოუგო. თუმცა "ვოლაბებმა", ფლანკერ **ნიკ ჯივონსის** ლელოთი და ფულბექ **მარკუს როუზის** სამი საჯარიმოთი, მასპინძლებს გამარჯვება ხელიდან გამოსტაცეს. მარცხის მიუხედავად, "პომების" მწვრთნელთა შტაბი თამაშის ხარისხით კმაყოფილი იყო.



ნელსონ მანდელა და ფრანსუა პინარი

ამბები

# ისევ კუდმორი

ფრანგულ რაგბიში ახალი სკანდალი აგორდა. საფრანგეთის ჩემპიონატის მე-14 ტურის მატჩში **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონისა" და "პერპინიანის" შორის, "ვულკანების" კანადელმა მეორეხაზელმა **ჯიმი კუდმორმა** მეტოქეს, **გრეგორი ლე კორეკს** განზრახ უხეში თამშით ტრავმა მიაყენა.

კუდმორს 10-კვირიანი დისკვალიფიკაცია ახლახან დაუმთავრდა და ისევ სასჯელი ემუქრება. ლე კორეკი თამაშის შემდეგ შოკში იყო და სავადმყოფოში წაიყვანეს. ის მინიმუმ რვა დღე ვერ ითამაშებს. კანადელი რაგბის დროებით ჩამოაშორეს და, თუ სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ბინძური თამაში დაუმტკიცდება, 35-დღიანი დისკვალიფიკაცია ელოდება.

მომხდარის გამო აღშფოთება ვერ დამალა "კლერმონის" წარმომადგენელმა **ჟან მარკ ლერმემ:**

"ჩვენ კუდმორის საქციელს არ ვამართლებთ. რაც მან გააკეთა ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ იქნა მიღებული იგივე სანქციები "პერპინიანის" მესამეხაზელ **ჰენრი ტუილაგის** მიმართაც, რომელმაც "კლერმონის" კაპიტან **ორელიან რუჟერის** მიაყენა ტრავმა." – თქვა მან.

"კლერმონის" ოფიციალური ვებ გვერდის ინფორმაციით რუჟერი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება და თამაშს მინიმუმ ათი დღე ვერ შეძლებს.

კლერმონელთა გამოხდომა უპასუხოდ არ დატოვა კატალონური კლუბის პრეზიდენტმა **პოლ გოზმა**, რომელმაც ლერმეს ნათქვამს "გროტესკი" უწოდა:

"ტუილაგის დადანაშაულებით მათ სურთ სიტუაცია თავიანთთვის სასარგებლოდ შემოაბრუნონ. ასეთი საქციელი ამაზრზენია. კლერმონელებს ვურჩევდი, პატარა ბავშვებივით ნუ იქცევიან და თავი დაანებონ ყველასთვის ჭკუის სწავლებას" – თქვა "პერპინიანის" პრეზიდენტმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ჯიმი კუდმორი

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავტოსპორტი. რალი-რეიდი დაკარი

ფოლკსვაგენი ისევ ფავორიტია



# ძველი ფავორიტებით

ბუენოს აირესში სტარტი აიღო პლანეტის ყველაზე ცნობილმა რალი-რეიდმა - ლეგენდარულმა „დაკარმა". ზედიზედ მესამედ ეს რბოლა სამხრეთ ამერიკაში - არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე ჩაივლის. 15 დღის განმავლობაში მარათონის მონაწილეებს 9500 ათასი კილომეტრის დაფარვა მოუწევთ, რომელთაგანაც ხუთი ათასი კილომეტრი სპეცმონაკვეთებზე მოდის.

ორგანიზატორების განცხადებით, წლევანდელი მარშრუტი შარშანდელზე რთული იქნება - არგენტინის დედაქალაქიდან ქარავანი კურსს ქვეყნის ჩრდილოეთით აიღებს, შემდეგ ჩილეს უდაბნოებში გაგრძელდება, ხოლო ტრადიციული დასვენების დღის (8 იანვარი) შემდეგ, მონაწილეები უკან ბუენოს აირესისკენ გამოუშურებიან, სადაც 16 იანვარს ფინიშია დანიშნული. მთავარი სირთულეები სპორტსმენებს ცნობილი უდაბნოს ატაკამასა და კორდილიერების გადალახვისას ელით.

მანქანების კლასში ფავორიტად „ფოლკსვაგენის" ქარხნული გუნდი მიიჩნევა, რომელმაც ბოლო ორი „დაკარი" მოიგო. „ტუარეგის" საჭეს ისევ მიუჯდებიან მოქმედი ჩემპიონი, ესპანელი **კარლოს საინსი**, კატარელი **ნასერ ალ-ატიია**, სამხრეთაფრიკელი **ჟინელ დე ვილიერსი** და ამერიკელი **მაიკლ მილერი**.

„ფოლკსვაგენის" მთავარი კონკურენტია - ავსტრიული გუნდი X-Raid, რომელიც კონცენრ BMW-ის მხარდაჭერით გამოდის. მის პილოტებს შორის არის „დაკარის" ექვსგზის ტრიუმფატორი, ფრანგი **სტეფან პეტერანსელი**. მის მანქანას BMW X3 CC ჰქვია, ხოლო X-Raid-ის კიდევ ერთი ეკიპაჟი ყოფილი სამთომოთხილამურის **გერლენ შიშერის** ხელმძღვანელობით სტარტზე სულ ახალ მოდელს - Mini All4 Racing-ს გამოიყვანს.

ასევე არ უნდა დავივიწყოთ ნასკარისა და ინდიკარის სერიების ცნობილი მრბოლელი, ამერიკელი **რობი გორდონი**, რომელიც ტრადიციულად ძლიერად გამოდის „ჰამერის" ავტომობილით.

მოტოციკლისტების კლასში ძირითადი ბრძოლა KTM-ის წარმომადგენლებს შორის არის მოსალოდნელი. ესენი არიან: ფრანგი **სირილ დესპრე**, ესპანელი **მარკ კომა** (ორივეს მოგებული აქვს „დაკარი") და ნორვეგიელი **პოლ ანდერს ულეველსეტერი**. მათ „იამაჰას" საქარხნო მოტოციკლებით კონკურენციას გაუწევენ პორტუგალიელი **ელდერ როდრიგესი**, ამერიკელი **იოჰან სტრიტი** და ესპანელი **ჰორდი ვილადომსი**. არ ღირს „კერძო" გუნდებში მოასპარეზე მოტომრბოლების დავიწყება. ერთ-ერთია ფრანგი **დავიდ კასტო** Sherco-დან.

2011 წელს „დაკარის" მონაწილეებს შორის ფორმულა 1-ის სამი ყოფილი პილოტია: არგენტინელი **ნორბერტო ფონტანა**, რომელიც 1997 წელს „ზაუბერის" ღირსებას იცავდა; ჩილელი **ელისიო სალასარი** („სამეფო რბოლებში" 80-იანი წლების დასაწყისში გამოდიოდა) და ჰოლანდიელი **იან ლემერსი**, რომელიც ეტაპებში 1979-92 წლებში გამოდიოდა.

საერთო ჯამში, რიგით 33-ე „დაკარის" სტარტზე 455 მონაწილე გავიდა. მათ შორის 225 მოტომრბოლია, 157 - მსუბუქი ავტომობილის კლასის და 73 - სატვირთო ავტომობილების მძღოლი.

ფორმულა 1

# რომის გრან-პრი იქნება: 2013 წელს!

იტალიის დედაქალაქის მთავრობის წევრებმა დაადასტურეს რომის გრან-პრისთვის მზადების დაწყება. ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **მაურიციო ფლამინიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქალაქის მთავრობა სრულ მხარდაჭერას უცხადებს ქუჩის რბოლის პროექტს.

*„მოხარული ვარ, რომ მთავრობამ ოფიციალურად დაუჭირა მხარი პროექტს, ახლა დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ რომის გრან-პრის დებიუტი 2013 წელს შედგება"*, - განაცხადა ფლამინიმ.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში რომის ეტაპის გამოჩენას მონცას მხრიდან ნეგატიური რეაქცია ჰქონდა - ისინი შიშობენ, რომ ფორმულა 1-ის ორგანიზატორები იტალიას ორ ეტაპს არ მისცემენ და ამიტომაც მონცაზე იტალიის გრან-პრი არ გაიმართება.

■ ■ ■

ამასობაში, ამერიკის ქალაქ ოსტინში დაიწყო ფორმულა 1-ის ტრასის მშენებლობა. ბიუროკრატიული პრობლემების მოგვარების შემდეგ, ამერიკის გრან-პრის პრომოუტერმა **ტავო ჰულმუინდმა**, როგორც იქნა, გახსნა ვონდერიკ კრიკში მშენებლობა.

ტრასა ფორმულა 1-ის მთავარმა არქიტექტორმა **ჰერმან ტილკემ** დააპროექტა, მშენებლობას კი ერთ-ერთი დალასური კომპანია ახორციელებს. პროექტის საერთო ბიუჯეტი 250 მილიონი დოლარია.

ჯერჯერობით ყველაფერი გრაფიკის მიხედვით მიდის და თუ რაიმე შეფერხება არ შეიქმნება, ტრასა 2012 წლის დებიუტისთვის მზად იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



რომის გრან-პრის სქემა

კალათბურთი

# ფილი წელს დაასრულებს



ფილ ჯექსონი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ტიტულოვანმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 65 წლის სპეციალისტმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონი ბოლო იქნება მის კარიერაში. 11 საჩემპიონო ბეჭდის მფლობელს უბრალოდ მობეზრდა თავისი სამუშაო.

*„მთელი კარიერის განმავლობაში ჩემი სამუშაოს მიმართ ყოველთვის კეთილსინდისიერად ვიყავი განწყობილი, ვცდილობდი ბოლომდე გამომევლინა საკუთარი შესაძლებლობები. მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ წასვლის დრო მოვიდა. ვმუშაობდი იქამდე, სანამ სურვილი მქონდა"*, - განაცხადა ფილ ჯექსონმა.

კითხვაზე, შესაძლებელი იქნება თუ არა მომავალში კარიერის განახლება, მწვრთნელმა კატეგორიული უარი განაცხადა.

# როის სეზონი დაასრულა?

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ლიდერმა **ბრენდონ როიმ**, შესაძლოა, წლევანდელ რეგულარულში საერთოდ ვერ შეძლოს მოედანზე დაბრუნება. კლუბის ხელმძღვანელობა უკვე განიხილავს მოვლენათა განვითარების ასეთ ვარიანტს.

ბოლო დროს მცველს ტრავმები მოეძალა, რის გამოც ვერაფრით შევიდა ოპტიმალურ ფორმაში. ამიტომაც საჭიროა ხანგრძლივი პაუზა, რომლის დროსაც კალათბურთელი სრულად გამოჯანმრთელდება და ფორმას აღიდგენს.





ბრენდონ როი სათადარიგოთა სკამს შეეჩვია

როის ბოლო ექვსი მატჩია არ უთამაშია და სამწვრთნელო შტაბს ის ჯერაც არ შეჰყავს შემადგენლობაში. მცველი ისევ ჩივის მუხლში ტკივილების გამო.

■ ■ ■

როისთან შედარებით უმნიშვნელოა **კევინ გარნეტის** პრობლემები. „ბოსტონ სელტიქსის" ლიდერს მყესი აქვს დაჭიმული, რის გამოც, შესაძლოა, ორი კვირა ვერ შეძლოს თამაში. „სელტიქსის" გენერალური მენეჯერის **დენი ეინჯის** განცხადებით, დეტალურმა სამედიცინო შემოწმებამ დაადასტურა, რომ ეს ახალი ტრავმაა და ვეტერანის ძველ დაზიანებებთან არ აქვს კავშირი. 2009 წელს ფორვარდმა მუხლის ტრავმის გამო პლეი ოფი გამოტოვა და ოპერაცია გაიკეთა.

მიმდინარე სეზონში გარნეტი საშუალოდ 15.4 ქულასა და 9.8 მოხსნას აგროვებს.

■ ■ ■

დაახლოებით 10 დღე არ ეყოლება თავისი ლიდერი „ფილადელფია სიქსერზს". **ანდრე იგუოდალა** წლევანდელ რეგულარულში ფეხის მცირე ტრავმით თამაშობდა და ახლა პაუზის აღება დასჭირდა. კალათბურთელი 10 იანვრამდე ვერ შეძლებს თამაშს და ამ დროის განმავლობაში 5 თამაშს გამოტოვებს. სავარაუდოდ, იგუოდალა 11 იანვარს „ინდიანას" წინააღმდეგ ითამაშებს.

■ ■ ■

„შარლოტთან" მატჩში სახის ძვალი გაიტეხა „კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდმა **ანდერსონ ვარეჟაომ**. ბრაზილიელს **დესაგანა დიოპის** იდაყვი მოხვდა სახეში.

ჯერჯერობით უცნობია გამოჯანმრთელების თარიღი, მაგრამ როცა ექიმები მას მოედანზე გასვლის უფლებას მისცემენ, ვარეჟაოს დამცავი ნიღბის ტარება მოუწევს.

# შარასი ფენერბაჰჩეშია

ცნობილმა ლიტველმა გამთამაშებელმა **შარუნას იასიკიავიჩუსმა** კიდევ ერთხელ შეიცვალა კლუბი. ცოტა ხნის წინ ვეტერანი კალათბურთელი „ლეტუვოს რიტასში" გადავიდა და ამ გუნდის რიგებში დაახლოებით ორი თვე გაატარა. ახლა კი შარუნასმა კარიერის გასაგრძელებლად „ფენერბაჰჩე" აირჩია, რომელსაც წელს სერიოზული ამბიციები აქვს და ევროლიგის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. იასიკიავიჩუსმა თურქულ კლუბში გადასვლა სწორედ ევროლიგაში თამაშის სურვილით ახსნა.

„ლეტუვოს რიტასში" იასიკიავიჩუსმა ექვსი მატჩის ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 7.3 ქულა და 4.3 შედეგიანი პასი დააგროვა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**30 დეკემბერი**

**ორლანდო-ნიუ იორკი 112:103**

22:23, 40:21, 20:27, 30:32

**ო:** ჰოვარდი (24+18 მოხსნა), თურქოგლუ (17+9 მოხსნა), ანდერსონი (14+5 მოხსნა), ბასი (14+7 მოხსნა), რედიკი (14), ნელსონი (10+7 პასი), არენასი (10+6 პასი)

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (30+4 დაფარება), ჩენდლერი (29+9 მოხსნა), უილიამსი (15), ფელტონი (14+6 პასი), გალინარი (10+7 მოხსნა)

**დალასი-სან ანტონიო 93:99**

27:29, 19:24, 18:18, 29:28

**დ:** ბატლერი (30), კიდი (12+10 მოხსნა+13 პასი), მერიონი (10), ჩენდლერი (8+11 მოხსნა)

**ს-ა:** ნილი (21+5 მოხსნა), დანკანი (17+11 მოხსნა), ჯინობილი (15+8 მოხსნა), პარკერი (14+6 მოხსნა+5 პასი), ჰილი (12+6 მოხსნა)

**პორტლენდი-იუტა 100:89**

29:25, 17:16, 33:27, 21:21

**პ:** მეტიუზი (30+4 ჩაჭრა), ოლდრიჯი (27), მილერი (16+10 პასი)

**ი:** უილიამსი (19+8 პასი), მილსეპი (17+5 მოხსნა), ჯეფერსონი (13+10 მოხსნა), ჰეივორდი (11)

**31 დეკემბერი**

**ბოსტონი-ნიუ ორლეანი 81:83**

19:23, 20:14, 18:29, 24:17

**ბ:** ალენი (18+6 მოხსნა), პირსი (12+7 მოხსნა), რობინსონი (11+6 მოხსნა), დენიელსი (10), ო'ნილი (10)

**ნ-ო:** პოლი (20+11 პასი+6 ჩაჭრა+5 მოხსნა), უესტი (19+5 მოხსნა), ოკაფორი (18+13 მოხსნა), ბელინელი (10)

**ჩიკაგო-ნიუ ჯერსი 90:81**

23:21, 23:23, 24:19, 20:18

**ჩ:** ბუზერი (20+15 მოხსნა), როუზი (19+9 პასი), დენგი (19+8 მოხსნა), ბრიუერი (10)

**ნ-ჯ:** ლოპესი (19+8 მოხსნა), გრემი (16+7 მოხსნა), აუთლოუ (16+6 მოხსნა), ჰარისი (10+9 პასი)

**ინდიანა-ვაშინგტონი 95:86**

25:22, 24:12, 27:28, 19:24

**ი:** კოლისონი (18+6 პასი), გრეინჯერი (18), ჰიბერტი (17+8 მოხსნა), ჯორჯი (13+7 მოხსნა), რაში (11)

**ვ:** უოლი (25), ლუისი (15+6 მოხსნა+5 პასი), ტორნტონი (10), ბლეტჩი (8+12 მოხსნა)

**შარლოტი-გ. სტეიტი 95:96**

28:30, 18:22, 24:25, 25:19

**შ:** ჯექსონი (22+6 მოხსნა), უოლასი (20+8 მოხსნა), ოგუსტინი (12+6 პასი), დიაო (10+7 მოხსნა), ჰენდერსონი (10+6 მოხსნა)

**გ-ს:** ელისი (25+5 პასი), კარი (24), რაიტი (17+5 მოხსნა)

**ჰიუსტონი-ტორონტო 114:105**

20:34, 42:21, 22:20, 30:30

**ჰ:** ბადინგერი (22+5 მოხსნა), მარტინი (20), პატერსონი (15+10 მოხსნა), სკოლა (13+7 მოხსნა), ლი (12+5 მოხსნა), მილერი (11+7 მოხსნა+6 პასი).

**ტ:** დეროზანი (37), კლეიზა (17+12 მოხსნა), ბარბოზა (17), ჯონსონი (14+11 მოხსნა), კალდერონი (11+11 პასი+7 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ატლანტა 103:94**

33:24, 27:29, 23:26, 20:15

**ო:** დურანტი (33), უესტბრუკი (23+10 მოხსნა+10 პასი), ჰარდენი (15), იბაკა (10+10 მოხსნა), გრინი (10).

**ა:** კროუფორდი (26+5 ჩაჭრა), სმიტი (23+9 მოხსნა), ჯონსონი (16+11 პასი), ჰორფორდი (14+7 მოხსნა).

**ფინიქსი-დეტროიტი 92:75**

24:14, 26:18, 18:26, 24:17

**ფ:** კარტერი (19+8 მოხსნა), დადლი (19+5 მოხსნა), ჰილი (12), პიეტრუსი (11).

**დ:** გორდონი (19+6 მოხსნა), პრინსი (12), ვილანუევა (10).

**ლეიკერსი-ფილადელფია 102:98**

29:19, 23:25, 30:29, 20:25

**ლ:** ბრაიანტი (33), გასოლი (20+8 მოხსნა), ოდომი (18+7 მოხსნა), არტესტი (11).

**ფ:** ჰოლიდეი (19+11 პასი), უილიამსი (18), იანგი (14+5 მოხსნა), ნოჩიონი (13+8 მოხსნა), ტერნერი (12+6 მოხსნა).

**1 იანვარი**

**ჩიკაგო-კლივლენდი 100:91**

24:28, 29:33, 32:9, 15:21

**ჩ:** როუზი (28+11 პასი), დენგი (23), ბუზერი (20+11 მოხსნა)

**კ:** ჰიქსონი (21+8 მოხსნა), ჯეიმისონი (19+9 მოხსნა), პოუ (14+6 მოხსნა), სეშენსი (13+6 მოხსნა), ჰარისი (11)

**ვაშინგტონი-ნიუ ორლეანი 81:92**

23:24, 24:18, 15:26, 19:24

**ვ:** იანგი (24+5 მოხსნა), ლუისი (14+6 მოხსნა), მაკგი (12+13 მოხსნა), უოლი (12+10 პასი)

**ნ-ო:** არიზა (22+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), ოკაფორი (17+15 მოხსნა), პოლი (13+11 პასი+7 ჩაჭრა+5 მოხსნა), ჯეკი (12), ბელინელი (11), უესტი (10+5 მოხსნა+5 პასი)

**მაიამი-გ. სტეიტი 114:107**

28:36, 30:36, 25:12, 31:23

**მ:** ჯეიმსი (25+10 პასი+7 მოხსნა), უეიდი (25+8 პასი+6 მოხსნა), ბოში (20+11 მოხსნა), ჯონსი (13), არროიო (11)

**გ-ს:** რაიტი (30), ელისი (25+7 პასი), კარი (15+6 პასი), ლი (13+12 მოხსნა)

**მინესოტა-ნიუ ჯერსი 103:88**

36:29, 18:26, 23:9, 26:24

**მ:** ლავი (23+10 მოხსნა), მილიჩიჩი (16), ბიზლი (10), უებსტერი (10)

**ნ-ჯ:** ვუიაჩიჩი (22+5 მოხსნა), აუთლოუ (17), ჰარისი (16+8 პასი), ჰემფრიზი (12+14 მოხსნა)

**სან ანტონიო-ოკლაჰომა 101:74**

31:17, 18:19, 28:17, 24:21

**ს-ა:** დანკანი (21+9 მოხსნა), ჰილი (16), პარკერი (14+10 პასი), ბლეირი (12+9 მოხსნა)

**ო:** დურანტი (16), იბაკა (14+13 მოხსნა), ჰარდენი (12)

**დენვერი-საკრამენტო 104:86**

23:23, 28:16, 18:21, 35:26

**დ:** ბილაპსი (22+5 პასი), სმიტი (17), ნენე (16+14 მოხსნა), ენტონი (16+10 მოხსნა), ფორსბი (11)

**ს:** ტომპსონი (17+7 მოხსნა), კაზინსი (16+8 მოხსნა), ლენდრი (13), ევანსი (12+5 პასი), გარსია (10)

**მილუოკი-დალასი 99:87**

25:18, 27:32, 21:21, 26:16

**მ:** ბოიკინსი (26), სალმონსი (21+6 მოხსნა+5 პასი), ილიასოვა (16+17 მოხსნა)

**დ:** ბარეა (29), კიდი (14+9 პასი+7 მოხსნა+6 ჩაჭრა), ჩენდლერი (11+5 მოხსნა)

**იუტა-მემფისი 98:92**

21:21, 27:17, 23:31, 27:23

**ი:** მილსეპი (22+10 მოხსნა), უილიამსი (19+5 პასი), ჰეივორდი (13), ჯეფერსონი (11), ბელი (10)

**მ:** რენდოლფი (27+16 მოხსნა), მაიო (18+6 მოხსნა), კონლი (17+7 პასი), გასოლი (16)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ზამთრის კლასიკა ვაშინგტონმა მოიგო

ამინდის კაპრიზების მიუხედავად, ახალი წლის პირველ დღეს ტრადიციად ქცეული „ზამთრის კლასიკა" მაინც გაიმართა. მისი რამდენჯერმე გადატანის მიზეზი თბილი ამინდი და წვიმა გახდა. თუმცა ბოლოს პრინციპული მეტოქეები - „პიტსბურგ პინგვინზი" და „ვაშინგტონ კეპიტალზი" მაინც გავიდნენ სახელდახელოდ მოწყობილ ყინულზე.

პირველი პერიოდი თითქმის ყველა კომპონენტში თანაბარი აღმოჩნდა და ლოგიკურად საყაიმო ანგარიშით დასრულდა. დედაქალაქელთა მცველმა **ჯონ კარლსონმა** შორიდან ძელს გაარტყა შაიბა, შემდეგ კი მასპინძლების ფორვარდს **მარკ ლეტესტუს** ასევე ძელმა შეუშალა ხელი ანგარიშის გახსნაში. „პიტსბურგის" რიგებში, პირველ რიგში, **ჯორდან სტაალის** დაბრუნება იყო აღსანიშნავი. მან ჯამში 15 წუთი გაატარა ყინულზე და ხანგრძლივი პაუზის ფონზე ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა.

მეორე პერიოდი მცირე წვიმითა და **ოვეჩკინის** ერთი-ერთზე გასვლით დაიწყო, მაგრამ **ფლერიმ** თავისი პარტნიორები გადაარჩინა, ერთ წუთში კი სეზონში პირველი შედეგიანი პასი გაიფორმა - გოლკიპერის დაწყებული კომბინაცია **ლეტანგმა** გააგრძელა და **მალკინმა** დაასრულა. „ვაშინგტონმა" მალე გაათანაბრა ანგარიში. ეს რიცხობრივი უპირატესობისას მოხდა - **ტელბოტის** გაძევებისთვის „პინგვინები" **ნუბლმა** დასაჯა, რომელმაც ახლო მანძილიდან შეაგდო შაიბა ფლერის კარში. როგორც ჩანს, ყინულის ხარისხი არც ისე მაღალი იყო და „პიტსბურგის" მეკარე რამდენჯერმე შეცდა. ერთ-ერთი შეცდომა ძვირად დაუჯდა - **იოჰანსონმა** თავისუფალი **ერიკ ფერი** მონახა და მანაც მშვიდად გაიტანა ცარიელ კარში. მასპინძლების თამაში არ იყო ჩვეულ დონეზე, მაგრამ „პინგვინზს" მაინც შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, თუმცა **რუპის** გოლი მეკარეზე თავდასხმის გამო არ ჩათვალეს.

ბოლო პერიოდის ნახევარი ამინდის გაუარესებით აღინიშნა, თამაში კი „პიტსბურგის" მცირე უპირატესობით მიდიოდა. „პინგვინებს" შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მალკინმა ხელსაყრელი სიტუაციიდან ძელს გაარტყა შაიბა. დანარჩენ შემთხვევებში „ვაშინგტონი" დამაჯერებლად იცავდა თავს, ბოლოს კი ლამაზი კონტრშეტევა გამოუვიდა, რის შემდეგაც ფერმა დუბლი შეასრულა - 3:1.

ამის შემდეგ „პიტსბურგმა" საბოლოოდ შეწყვიტა ბრძოლა და მეოთხე შაიბაც მიიღო, მაგრამ ის არ ჩათვალეს, რადგან ოვეჩკინმა ხელი უბიძგა ფლერის. მიუხედავად ამისა, „ვაშინგტონმა" სამართლიანად გაიმარჯვა და ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა „პიტსბურგთან".

■ ■ ■

საახალწლო დღეებში ერთი საინტერესო ტრეიდიც განხორციელდა. „ტამპა ბეის" ხელმძღვანელობამ მეკარის პრობლემის მოგვარება გადაწყვიტა და „ნიუ იორკ აილენდერსიდან" 41 წლის ვეტერანი **დუეინ როლოსონი** გადაიბირა. არადა, ბოლო მატჩებში „ლაითნინგის" რიგებში კარგად გამოიყურებოდა 25 წლის გოლკიპერი **სედრიკ დეჟარდენი**. მანამდე კი „ტამპას" მეკარეები იყვნენ - **დენ ელისი** და **მაიკ სმიტი**, თუმცა მათ ბევრჯერ დაალალატეს გუნდი.

ერთი პირობა ეს გუნდი რუსეთიდან წამოსული **ევგენი ნაბოკოვის** დამატებას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი როლოსონზე შეაჩერა. ამ მეკარის სანაცვლოდ „ტამპამ" „აილენდერსს" 22 წლის მცველი **ტაი ვისგარტი** დაუთმო, რომელსაც 2006 წლიდან მოყოლებული ლიგაში მოლოდ 5 მატჩი აქვს ჩატარებული.



ჰოკეი ღია ცის ქვეშ

### 30 დეკემბერი

**ატლანტა-ბოსტონი 3:2 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ენსტრიომი-6 (ბიფულინი-25, ბერგფორსი-12), 1:1 პ. ბერჟერონი-8, 1:2 ველერი-9 (კრეისი-18), 2:2 ენსტრიომი-7.

**ბულიტები გაიტანეს:** ლიტლი (ატლანტა), ველერი (ბოსტონი), სტეპლტონი (ატლანტა).

**ტორონტო-კოლამბუსი 2:3**

2:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 კულემინი-13 (მაკარტური-19, ბოისი-1), 1:1 ჰუსელიუსი-7 (ჰეიდა-5, ვერმეტი-11), 2:1 ბოჟაკი-5 (კესელი-9), 2:2 ჰუსელიუსი-8 (ნეში-12, ვერმეტი-12), 2:3 უმბერგერი-11 (ნეში-13, რასელი-6).

**ტამპა ბეი-მონრეალი 4:1**

0:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 პასიორეტი-2 (გომესი-13), 1:1 სენტ ლუისი-16 (ლეკავალიე-9, სტემკოსი-24), 2:1 კუბინა-2 (სენტ ლუისი-34, სტემკოსი-25), 3:1 სტემკოსი- 30 (ბულიტი), 4:1 სტემკოსი- 31 (მელოუნი-20, ჰედმანი-12).

**ჩიკაგო-სან ხოსე 3:5**

1:1, 2:2, 0:2

**გოლები:** 1:0 შარპი-21 (კოპეცკი-16, სიბრუკი-19), 1:1 ნიკოლი-4 (ვლასიჩი-4), 1:2 ფერეირო-4 (კუტური-9, დ. ბოილი-22), 1:3 პიტლი-15 (დემერსი-10, დ. ბოილი-23), 2:3 ბროუერი-10 (პ. კეინი-17, შარპი-17), 3:3 ბ. კემპბელი-2 (ბოლანდი-9, ბიკელი-11), 3:4 ჯ. ტორნტონი-10 (ვლასიჩი-5, პიტლი-20), 3:5 ქლოუ-10.

**ედმონტონი-კოლორადო 3:4 (ბ)**

0:3, 1:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 გალიარდი-7 (პ. შჩასტნი-21, რ. უილსონი-6), 0:2 პ. შჩასტნი-14 (დ. ჯონსი-10, გალიარდი-4), 0:3 ფლიშმანი-10 (დუშენი-22), 1:3 ჰოლი-12 (სემ განიე-15, ებერლე-14), 2:3 ჰემსკი-8 (კოლიანო-7, პენერი-12), 3:3 კოლიანო-4 (ჰემსკი-13, პენერი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰეიდუკი (კოლორადო).

**ლოს ანჯელესი-ფილადელ. 4:7**

2:2, 2:4, 0:1

**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-13 (სკუდერი-9, სტოლი-14), 1:1 ბრიერი-18 (მ. რიჩარდსი-22, მ. კარლი-15), 2:1 ჯასტინ უილიამსი-15 (დაუტი-17, კოპიტარი-26), 2:2 მ. რიჩარდსი-12 (ჟირუ-17, ო'დონელი-8), 2:3 ჰარტნელი-9 (ჟირუ-18, პოუ-8), 2:4 მ. რიჩარდსი-13 (ვან რიმსდიკი-9, ბრიერი-11), 3:4 ჯ. ჯონსონი-4, 3:5 ჯ. კარტერი-15 (მ. რიჩარდსი-23, ჟირუ-19), 3:6 ვან რიმსდიკი-8, 4:6 რ. სმიტი- 14 (სტოლი-15, დაუტი-18), 4:7 ლეინო-9 (ჯ. კარტერი-16, ნოდლი-6).

### 31 დეკემბერი

**ფლორიდა-მონრეალი 2:3 (ო)**

0:0, 2:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ვეისი-11 (ჰაგინსი-7, ვიდემანი-14), 2:0 კულიკოვი-3 (სანტორელი-6, ბუტი-10), 2:1 ვიშნიევსკი-4 (ჰამრლიკი-14, გომესი-15), 2:2 ჯონტა-13 (გომესი-15, ვიშნიევსკი-19), 2:3 ვიშნიევსკი-5 (კამალერი-17, პლეკანეცი-20).

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 3:1**

1:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ფეინი-2 (არნოტი-7), 2:0 ლანგენბრუნერი-4 (არნოტი-8), 2:1 ბიფულინი-15 (ბურმისტროვი-10, ე. სტიუარტი-15), 3:1 კოვალჩუკი-9.

**მინესოტა-ნეშვილი 1:4**

0:1 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ფრენსონი-5 (ო'ბრაიენი-4, ლეგვანდი-7), 0:2 ჰორნკვისტი-9 (შ. უებერი-11, დუმონი-7), 1:2 კობესიუ-6 (ჰავლატი-26, კულენი-15), 1:3 ჯ. უორდი-4, 1:4 ს. კოსტიცინი-7 (ლეგვანდი-8, შ. უებერი-12).

**კოლამბუსი-ოტავა 4:3 (ო)**

1:0, 2:1, 0:2, 1:0

**გოლები:** 1:0 უმბერგერი-12 (ტიუტინი-7, ვორაჩეკი-15), 2:0 პალსონი-3 (კ. კლარკი-8), 3:0 ნეში- 18 (ჰუსელიუსი-4, ვერმეტი-13), 3:1 ფიშერი-11, 3:2 ფოლინო-5 (ვინჩესტერი-4, კ. ნილი-8), 3:3 ალფრედსონი-12 (მ. მიხალეკი-7, კოვალიოვი-10), 4:3 ვორაჩეკი-7.

**დეტროიტი-აილენდერსი 3:4 (ო)**

1:2, 1:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ფრანცენი-17 (ზეტერბერგი-30, ჰოლმსტრიომი-9), 1:1 მოულსონი-12 (ენდრიუ მაკდონალდი-7, ტავარესი-12), 1:2 ტავარესი-11 (ჟერვე-3, კონოპკა-4), 1:3 იოენსუ-3 (იურჩინა-2, მ. მარტინი-1), 2:3 ფილპულა-9 (ჰელმი-9, ლიდსტრიომი-25), 3:3 ტატარი-1 (ჰელმი-9, რაფალსკი-25), 3:4 პარენტო-9 (ტავარესი-13, ენდრიუ მაკდონალდი-8).

**ანაჰაიმი-ფილადელფია 5:2**

1:0, 2:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ჯ. ბლეიკი-7 (ლიდმანი-12, ჰილერი-1), 2:0 ვიშნოვსკი-6 (სელიანე-23, ს. კოივუ-10), 3:0 ჯ. ბლეიკი- 8 (ლუპული-2, ს. კოივუ-11), 3:2 ნოდლი-9 (მ. კარლი-16, ჯ. კარტერი-17), 3:2 ჯ. კარტერი-16, 4:2 რაიანი-15 (ლიდმანი-13, პერი-23), 5:2 ვიშნოვსკი-7 (სელიანე-24, მაკმილანი-4).

**სენტ ლუისი-ფინიქსი 4:3**

1:0, 2:0, 1:3

**გოლები:** 1:0 ბოიესი-9 (სტინი-14, ბ. ჯეკმენი-7), 2:0 ე. ჯონსონი-3 (ბეკსი-20, ჯეკმენი-8), 3:0 პიეტრანჯელო-5 (კოლაიაკოვო-12, ბერგლუნდი-13), 4:0 სტინი-12, 4:1 დოუნი-8 (ბელანჟე-12, აპშოლი-7), 4:2 კორპიკოსკი-9 (იენდლი-22, მორისი-5), 4:3 დოუნი- 9 (ა. ოკუანი-13, აპშოლი-8).

**დალასი-ვანკუვერი 1:4**

0:2, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-20 (ჰ. სედინი-40, ერჰოფი-14), 0:2 ტორესი-11 (ჰანსენი-8, ბიეკსა-7), 0:3 ჰ. სედინი-9 (ედლერი-21, დ. სედინი-27), 0:4 ბიეკსა-4 (ჰამჰუისი-7, მალორტა-11), 1:4 მოროუ-14 (ოიბეირო-25, ლ. ერიქსონი-25).

**კალგარი-კოლორადო 3:2**

0:0, 3:0, 0:2

**გოლები:** 1:0 კოსტოპულოსი-4 (ტ. ჯეკმენი-4, ჯორდანო-17), 2:0 იგინლა-16 (ტანგეი-20, ო. იოკინენი-12), 3:0 ტ. ჯეკმენი-4 (კოსტოპულოსი-4, ბაბჩუკი-10), 3:1 ვინიკი-6 (რ. ო'რაილი-10), 3:2 ფლიშმანი-11 (დუშენი-23).

### 1 იანვარი

**პიტსბურგი-ვაშინგტონი 1:3**

0:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 მალკინი-14 (ლეტანგი-27, მ-ა. ფლერი-1), 1:1 ნუბლი-9 (ბექსტრიომი-26, მაიკ გრინი-11), 1:2 ფერი-6 (მ. იოჰანსონი-4), 1:3 ფერი-7 (ჩიმერა-7, ერსკინი-6).

**ბაფალო-ბოსტონი 7:6 (ბ)**

3:4, 2:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ფერენსი-2 (მაკუეიდი-4, სავარი-4), 1:1 პომინვილი-7 (ვანეკი-13, მ. უებერი-3), 1:2 საიდენბერგი-2, 1:3 მარჩანდი-6 (ბოიჩუკი-7, რეკი-15), 2:3 ვანეკი-14 (ტიმ კონოლი-9, პომინვილი-10), 2:4 ხარა-5 (პ. ბერჟერონი-16, რეკი-16), 3:4 სტეფორდი-11, 4:4 სტეფორდი-12 (გოსტადი-8), 5:4 პომინვილი-8 (სეკერა-11, ჰეხტი-10), 5:5 სეგუინი-6 (პეი-4), 5:6 კამპფერი-2 (სეგუინი-7, ხარა-11), 6:6 სტეფორდი-13 (ტიმ კონოლი-10, პომინვილი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** სტეფორდი (ბაფალო), რაიდერი (ბოსტონი), ვანეკი (ბაფალო), სეგუინი (ბოსტონი), ენისი (ბაფალო).

**კაროლინა-ნიუ ჯერსი 6:3**

4:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ტ. რუუტუ-9 (კორვო-8), 2:0 სკინერი-10 (გლისონი-7, ლაროუზი-7), 3:0 სამსონოვი-7 (კორვო-9, მაკბეინი-10), 4:0 დელპი-1 (ტ. რუუტუ-17, მაკბეინი-11), 4:1 პელეი-2 (კორენტი-5, სალმელა-1), 4:2 ზაიაცი-6 (ელიაში-18, ვოლჩენკოვი-1), 5:2 სამსონოვი-8 (ტ. რუუტუ-18, ე. სტაალი-19), 5:3 ელიაში-8 (კორენტი-6), 6:3 სკინერი-11 (ლაროუზი-8, ტ. რუუტუ-19).

**ოტავა-ტორონტო 1:5**

0:3, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 მაკარტური- 10 (ტ. კაბერლე-22), 0:2 ბოჟაკი-6 (კრები-3, კესელი-10), 0:3 ბოჟაკი-7 (კრები-4, კესელი-11), 0:4 ბოისი- 1 (ვერსტეეგი-15, კ. არმსტრონგი-2), 0:5 შენი-2 (ტ. კაბერლე-23, კულემინი-11), 1:5 გონჩარი-5 (ე. კარლსონი-16, ალფრედსონი-12).

**ტამპა ბეი-რეინჯერსი 2:1 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტირელი-4 (ტომპსონი-8), 1:1 გაბორიკი-11 (ჟირარდი-17), 2:1 ტომპსონი-6 (ტირელი-5, ლუნდინი-8).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 სეტოგუჩი-7 (პასკინსი-4, ვლასიჩი-6).

**ედმონტონი-კალგარი 1:2**

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ტ. ჯეკმენი-5 (მოსი-5, ბოუმისტერი-10), 1:1 რ. ჯონსი-9 (გილბერტი-8, პენერი-14), 1:2 ჯორდანო-4 (ტანგეი-21, ო. იოკინენი-13).

ზვიად მოამბაძე
გია თვალაბეიშვილი

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **შოტლანდია** | |
| აბერდინი-დანდი იუნ | 1:1 |
| ჰემილტონი-მოზერველი | 0:0 |
| ჰართსი-ჰიბერნიანი | 1:0 |
| რეინჯერსი-სელტიკი | 0:2 |
| სტ. ჯონსტონი-ინვერნესი | 1:0 |
| **I დივიზიონი** | |
| დანდი-როსი | 2:0 |
| ფალკირკი-სტირლინგი | 4:2 |
| რეითი-დანფერმლაინი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ეირი-დამბარტონი | 2:0 |
| ისტ ფაიფი-პიტერჰედი | გადაიდო |
| სტენჰაუზმური-ალოა | 2:3 |
| **III დივიზიონი** | |
| ალბიონი-ქუინზ პარკი | გადაიდო |
| ანანი-სტრანრარი | გადაიდო |
| მონროუზი-არბროა | 0:5 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ავეში-ოლანენსე | 3:2 |
| არუკა-ფეირეირა | 2:3 |
| ჟილ ვისენტე-ბეირა მარი | 2:1 |
| ეშტორილი-პენაფიელი | 0:1 |
| პორტუ-ნასიონალი | 1:2 |
| ბენფიკა-მარიტიმუ | 2:0 |
| **უელსი** | |
| ებერისტვითი-ჰავერფორდვეს. | 0:2 |
| ტნს-ნიუთაუნი | 4:0 |
| კარმართენი-ლანელი | 1:3 |
| ბალა-ეირბასი | 1:2 |
| პორტ ტელბოტი-ნითი | 1:3 |
| პრესტატინი-ბანგორი | 4:2 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (რ-გ)-ბნეი იეჰუდა | 1:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (ჰ) | 5:0 |
| აშდოდი-ჰაპოელი (აკ) | 3:1 |
| ბნეი შახნინი-ირონი | 1:0 |
| ბეითარი-მაკაბი (ნ) | 0:0 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (ფ-თ) | 2:1 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-ჰაპოელი (აშ) | 0:2 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნი ჰ.-ნ. ქუინსლენდი | 2:0 |
| ადელაიდა-ბრისბენი | 0:1 |
| **იაპონიის თასი** | |
| კაშიმა-შიმიცუ | 2:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ერაყი-ჩინეთი | 2:3 |
| იორდანია-უზბეკეთი | 2:2 |
| საემიროები-სირია | 2:0 |
| ირანი-ანგოლა | 1:0 |
| ალ აჰლი-მილანი | 1:2 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| ნიუ იორკი-ინდიანა | 98:92 |
| **საფრანგეთი** | |
| ლიმოჟი-ნანსი | 77:78 (ო) |
| ტულონი-ვიში | 76:68 |
| ჰავრი-ვილერბანი | 63:87 |
| ლე მანი-ორლეანი | 59:70 |
| პარიზი-გრაველენი | 55:76 |
| როანი-პო ორტეზი | 88:78 |
| სტრასბური-პუატიე | 64:62 |
| **გერმანია** | |
| გოტინგენი-მიტელდოიჩე | 67:46 |
| ბრემერჰავენი-ულმი | 93:100 (ო) |
| ჯაიანტსი-ოლდენბურგი | 65:77 |
| ბაიროიტი-ბამბერგი | 57:74 |
| გისენი-ჰაგენი | 76:92 |
| ბრაუნშვაიგი-ტელეკომ ბონი | 75:73 |
| ტიუბინგენი-ალბა | 74:70 |
| **იტალია** | |
| კაზერტა-რომა | 68:60 |
| ვარეზე-ბიელა | 73:75 |
| ბრინდიზი-სკავოლინი | 80:66 |
| მონტეპასკი-ბოლონია | 92:80 |
| მონტეგრანარო-ტერამო | 83:80 |
| ვანოლი-ბენეტონი | 91:72 |
| სასარი-აველინო | 71:80 |
| კანტუ-მილანი | 67:59 |
| **ესპანეთი** | |
| მენორკა-ფუენლაბრადა | 79:88 |
| მანრესა-სარაგოსა | 58:42 |
| ვალენსია-კახასოლი | 78:73 |
| ბილბაო-ბარსელონა | 63:65 |
| რეალი-გრანადა | 84:57 |
| ვალიადოლიდი-გრან კანარია | 73:70 |
| ხუვენტუდი-უნიკახა | 89:85 |
| ხირონა-ალიკანტე | 56:61 |
| **თურქეთი** | |
| ბანვითი-ალიაგა | 96:91 |
| ბორნოვა-ტ. ტელეკომი | 59:90 |
| ოიაქი-მერსინი | 65:72 |
| ერდემი-ტრაბზონი | 89:94 |
| ბეგშიქთაში-გალათასარაი | 71:73 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **NHL** | |
| მონრეალი-ატლანტა | 3:4 (ო) |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ზალცბურგი | 3:5 |
| კლაგენფიურტი-აკრონი | 4:6 |
| ლინცი-გრაცი | 1:2 |
| ალბა-ოლიმპია | 1:5 |
| ვილახი-ზაგრები | 5:2 |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-ბრნო | 4:2 |
| სლავია-კლადნო | 4:3 |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 2:3 |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 4:1 |
| ვიტკოვიცე-ზლინი | 2:3 |
| პლზენი-ბოლესლავი | 2:4 |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 2:1 |
| **გერმანია** | |
| მიუნხენი-ჰამბურგი | 2:4 |
| აისბარენი-იზერლონი | 4:2 |
| ვოლფსბურგი-შტრაუბინგი | 2:3 |
| აუგსბურგი-მანჰაიმი | 5:1 |
| კრეფელდი-ნიურნბერგი | 4:2 |
| **ნორვეგია** | |
| ლორენსკოგი-სტიორნენი | 3:1 |
| სტავანგერი-მანგლერუდი | 9:1 |
| ლილეჰამერი-რუსენბორგი | 6:1 |
| **შვედეთი** | |
| მოდო-ლინჩოპინგი | 5:2 |
| ბრიუნასი-ლულეო | 2:0 |
| აიკ-ტიმრა | 3:1 |
| ჰ371-იურგორდენი | 6:2 |
| ფრიოლუნდა-სიოდერტალე | 4:0 |
| ფერიესტადი-შელეფტეო | 3:2 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| ბილი-სერვეტი | 1:4 |
| ცუგი-ლუგანო | 1:2 (ო) |
| კლოტენი-რაპერსვილი | 4:2 |
| ბერნი-დავოსი | 4:5 |
| ლანგნაუ-ამბრი | 3:2 (ო) |
| ფრიბურგი-ციურიხი | 3:2 (ო) |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP** | |
| ფ. ლოპესი-პეტცშნერი | 6:4, 7:6 |
| დე ბაკერი-ისტომინი | 6:7, 4:6 |
| **WTA** | |
| პეერსი-კლეიბანოვა | 3:6, 6:4, 6:3 |
| იოვანოვსკი-როდიონოვა | 2:6, 6:2, 6:3 |
| საფაროვა-ამანმურადოვა | 6:3, 3:6, 6:2 |
| პავლიუჩენკოვა-კუდრიავცევა | 6:2, 6:7, 6:3 |
| გროტი-პარა სანტონხა | 6:2, 7:5 |
| **ჰოფმანის თასი** | |
| ივანოვიჩი-შვედოვა | 7:6, 6:1 |

## TV პროგრამა

### 3 იანვარი. ორშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ალმერია (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

15:25 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. „ტურ დე სკი". კაცები. 20 კმ. ობერზაქსენი. შვეიცარია (LIVE).
18:40 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. „ტურ დე სკი". ქალები. 10 კმ. ობერზაქსენი. შვეიცარია (LIVE).
00:25 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. 1/2 ფინალი. აშშ (LIVE).
04:25 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. 1/2 ფინალი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-გოლდენ სტეიტი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

13:00 ჩოგბურთი. ჰოფმანის თასი. აშშ-საფრანგეთი. პერტი. ავსტრალია (LIVE).

**SPORT+**

15:25 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. „ტურ დე სკი". კაცები. 20 კმ. ობერზაქსენი. შვეიცარია (LIVE).
18:40 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. „ტურ დე სკი". ქალები. 10 კმ. ობერზაქსენი. შვეიცარია (LIVE).
00:25 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. 1/2 ფინალი. აშშ (LIVE).
04:25 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. 1/2 ფინალი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT**

15:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. „ტურ დე სკი". კაცები. 20 კმ. ობერზაქსენი. შვეიცარია (LIVE).
16:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. ოთხი ტრამპლინის ტურნე. HS130. ინსბრუკი. ავსტრია (LIVE).
18:40 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. „ტურ დე სკი". ქალები. 10 კმ. ობერზაქსენი. შვეიცარია (LIVE).
23:30 რალი-რეიდი დაკარი 2011. II ეტაპი. არგენტინა (LIVE).

**EUROSPORT-2**

16:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. დოჰა. კატარი (LIVE).
00:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. 1/2 ფინალი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ტურნირების მიმოხილვა

## ნადალმა როჯერის დამარცხებით დაიწყო

ახალი საჩოგბურთო სეზონი აბუ დაბიში პრესტიჟული საგამოფენო ტურნირით გაიხსნა. ჩოგბურთის მოყვარულთა გასახარად, 2011 წლის პირველ ფინალში თანამედროვე ჩოგბურთის კლასიკა შედგა - **რაფაელ ნადალმა** ორი ტაი-ბრეიკით დაამარცხა **როჯერ ფედერერი**.

ზედიზედ მესამე წელია, ნადალი და ფედერერი ახალ წელს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ხვდებიან. მათ გარდა, წელს ორგანიზატორებმა შვედი **ტომას სიოდერლინგი**, ჩეხი **ტომაშ ბერდიხი**, ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** მიიწვიეს. რეგლამენტი უცვლელი დარჩა. პირველი და მეორე ნომრები ავტომატურად ხვდებოდნენ ნახევარფინალში, მათი მეტოქეები კი მეოთხედფინალში ირკვეოდა.

ტურნირის გახსნის პატივი ბაღდატისსა და ბერდიხს ერგოთ. კვიპროსელმა წინა სეზონი ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა, მაგრამ უკვე მოასწრო კარგი ფიზიკური ფორმის აღდგენა. მეტოქეებმა პირველი ორი სეტი გაცვალეს, რის შემდეგაც ბერდიხი გადამწყვეტ პარტიაში 5:2 დაწინაურდა, მაგრამ მარკოსმა კინაღამ გადაარჩინა მატჩი. ზედიზედ სამი გეიმის მოგებით ანგარიში გაათანაბრა, თუმცა ბოლო რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და 5:7 წააგო.

მეორე შეხვედრაში სიტუაცია პირველს ჰგავდა. ასევე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნდა კორტზე ცონგა და დიდი ბრძოლა გაუმართა სიოდერლინგს. მაგრამ ბოლო პარტიაში ფრანგმა ბევრი შეცდომა დაუშვა, რითაც შვედმა კარგად ისარგებლა - 6:4, 6:7, 6:1.

მეორე დღეს გაიმართა ნახევარფინალები. ორგანიზატორები ზედიზედ სამი წელი ელოდნენ კლასიკურ ფინალს, მაგრამ წინა ორ შემთხვევაში ფედერერმა დაალალატა. სადებიუტო წელს მან **ენდი მიურეისთან** წააგო, მომდევნო სეზონში კარიერაში პირველად დამარცხდა სიოდერლინგთან. მესამე ცდა როჯერისთვის წარმატებული აღმოჩნდა. შვეიცარიელს ნახევარფინალში ისევ რობინი ელოდა. შვედს შარშანდელი წარმატების იმედი მიეცა, როცა სასტარტო სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო, მაგრამ ფედერერმა შეამცირა შეცდომები და თითქმის თანაბარ თამაშში დაამარცხა სკანდინაველი - 6:7, 6:3, 6:3.

მეორე ნახევარფინალში პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელმა სეზონისთვის კარგი მომზადება გამოამჟღავნა. ნადალი ბერდიხს ორ პარტიაში გაუსწორდა - 6:4, 6:4. პირველ სეტში მან გადამწყვეტი ბრეიკი პარტიის ბოლოს გააკეთა, მეორე სეტში კი მისი უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა.

ფინალმა გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი. რაფაელი მეთოდურად მოქმედებდა, როჯერმა კი გარკვეულ ექსპერიმენტებს მიმართა. სეტის შუა ნაწილამდე ჩოგბურთელები ძალებს ზოგავდნენ, მაგრამ, როცა სეტი ფინალისკენ წავიდა, ორივემ გაზარდა ტემპი. ამასთან, მომწოდებლებს სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ.

მთელი თამაშის განმავლობაში ვერც ერთმა ვერ გააკეთა ბრეიკი, თუმცა ამის შანსი ორივეს ჰქონდა. შესაბამისად, ორივე პარტიის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. პირველი ტაი-ბრეიკი შვეიცარიელმა რამდენიმე ბრწყინვალე დარტყმით დაიწყო, მაგრამ შემდეგ მიზანი გაუფუჭდა. ფედერერმა ძირითადად საკუთარი არაზუსტი დარტყმების გამო ბოლო რვა გათამაშებიდან შვიდი წააგო. მეორე ტაი-ბრეიკზე ესპანელი ოდნავ უფრო ყურადღებით თამაშობდა - 7:6(4), 7:6(3).

ნადალმა წარმატებით დაიცვა აბუ-დაბიში მოპოვებული შარშანდელი ტიტული. რაფაელი პირველივე მატჩებიდან ამტკიცებს, რომ კვლავაც პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელია, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა ჩოგბურთელმა ახალი სეზონისთვის კარგი მომზადება აჩვენა.

■ ■ ■

ამასობაში, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციამ (AIPS) 2010 წლის საუკეთესო მამაკაც სპორტსმენად რაფაელ ნადალი გამოაცხადა. 24 წლის ჩოგბურთელმა მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს - **ლეონელ მესისა** და **ანდრეს ინიესტას** გაუსწრო.

საუკეთესო ქალ სპორტსმენად ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი **ბლანკა ვლასიჩი** აღიარეს. ამ ნომინაციაშიც ფიგურირებდნენ ჩოგბურთელები: მესამე იყო ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**, ათეულში მოხვდნენ ამერიკელი **სერენა უილიამსი** და იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე** - მათ შესაბამისად მეექვე და მეცხრე ადგილები დაიკავეს.

**კაცები**

1. რაფაელ ნადალი (ჩოგბურთი) - 758 (16,32 %)
2. ლეონელ მესი (ფეხბურთი) - 695 (14,97 %)
3. ანდრეას ინიესტა (ფეხბურთი) - 684 (14,73 %)

**ქალები**

1. ბლანკა ვლასიჩი (მძლეოსნობა) - 884 (19,76 %)
2. ლინდსი ვონი (სამთო თხილამურები) - 682 (15,25 %)
3. კიმ კლაისტერსი (ჩოგბურთი) - 637 (14,24 %)

**Mubadala World Tennis**

აღუ დაბი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 250 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)**-მარკო ბაღდატისი (კვიპ) 6:3, 3:6, 7:5; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) 6:4, 6:7 (5:7), 6:1.

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 6:7 (3:7), 6:3, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) 6:4, 6:4.

**მე-3 ადგილისთვის**

**რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) 6:4, 7:6 (7:4).

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ)**-როჯერ ფედერერი (შვეიც) 7:6 (7:4), 7:6 (7:3).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ნადალმა პირველი ტიტული მოიგო



კიმი და კარო კარგ ხასიათზე არიან

# კიმმა კაროს მოუგო

კიდევ ერთი საჩვენებელი შეხვედრა ტაილანდში გაიმართა, სადაც WTA-ის ტურის პირველმა და მესამე ნომრებმა - დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** გაარკვიეს ურთიერთობა. გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის ჩატარება გახდა საჭირო. პირველი ორი სეტის (6:3, 4:6) გაცვლის შემდეგ, მესამე სეტში საჩემპიონო ტაი-ბრეიკი გაიმართა, რომელიც კლაისტერსმა 12:10 მოიგო.

მატჩის დასრულების შემდეგ ჩოგბურთელებმა საკუთარი ავტოგრაფებით დამშვენებული 84 ბურთი გაუშვეს ტრიბუნებისკენ. რიცხვი - 84 შემთხვევითი არ ყოფილა: 2011 წელს მონარქი **პუმიპონ ადულიადეტი** 84 წლის გახდება. ჩოგბურთელები ტაილანდში მეფის პირადი მოწვევით ჩავიდნენ.

# კიფერმა დაამთავრა



კიფერი აღარ ითამაშებს

ცნობილმა გერმანელმა ჩოგბურთელმა **ნიკოლას კიფერმა** პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. ვეტერანმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ოჯახთან მეტი დროის გატარებით არის განპირობებული.

კიფერს ATP-ის ტურში ექვსი ტურნირი აქვს მოგებული, თუმცა ბოლო ტრიუმფი 2000 წლით თარიღდება. სწორედ მაშინ მიაღწია მან რეიტინგში საუკეთესო შედეგს - ATP-ის კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. გარდა ამისა, ნიკოლასმა 2004 წელს ათენში ოლიმპიადაზე წყვილთა თანრიგში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

*„ჩვენი ქალიშვილის მაბელ ემელიენის დაბადების შემდეგ ასრულდა ჩემი მთავარი ოცნება. ახლა მინდა ახალი ცხოვრების ჩამოყალიბებაში მივიღო მონაწილეობა, რომელშიც ჩოგბურთს ყველაზე ნაკლები როლი ექნება“*, - ამბობს 33 წლის კიფერი.

ადრეულ ასაკში კიფერს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 1995 წელს მან იუნიორთა შორის ავსტრალიისა და ამერიკის ღია პირველობები მოიგო და მისგან ლეგენდარული თანამემამულის **ბორის ბეკერის** წარმატებების გამეორებას ელოდნენ, მაგრამ კიფერმა ვერ გაამართლა გაცემული ავანსები და კარიერა ისე დაასრულა, რომ ერთხელაც არ უთამაშია „დიდი სლემის“ ტურნირების ფინალში.

ოლიმპიზმი

# რიოში დიდი პრეზენტაცია გაიმართა

ახალი წლის დადგომამდე ორი საათით ადრე რიო დე ჟანეიროში კოპაკაბანას სახელგანთქმულ პლაჟზე 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლოგოს ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართა.

2016 წლის ზაფხულის თამაშების ემბლემა რიოს მთებს, მზესა და ზღვას გამოხატავს. ლოგო დაკლაკნილი შეკრული წრის სახით არის გამოსახული. ის ცისფერი, ყვითელი და მწვანე ფერებით არის გაფორმებული, რაც ბრაზილიის ეროვნული დროშის ფერები გახლავთ. ამავდროულად, ლოგო მოგვაგონებს სამ ადამიანს, რომლებიც ხელჩაკიდებული ცეკვავენ.

რიო დე ჟანეიროს მერიის განცხადებით, კოპაკაბანაზე ფეიერვერკი - საუკეთესო მომენტი იყო თამაშების ლოგოს პრეზენტაციისთვის, რადგან ეს ტურისტების სეზონის პიკია და ის ყოველწლიურად ორ მილიონ ადამიანს აერთიანებს. პიროტექნიკური შოუს წინ ოლიმპიადის ლოგო პლაჟზე დამონტაჟებულ ერთდროულად ოთხ ეკრანზე გამოისახა. შემდეგ პუბლიკის წინაშე გაშალეს ოთხი ათასი კვადრატული მეტრის ტილო თამაშების სიმბოლოს გამოსახულებით.

რიოს თამაშების ემბლემა

